5
577/N/10 928
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული
# საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი. № 18 (2797) გამოცემის 60-ე წელი, 1991 3 მაისი. ფასი 40 კაპ.

## და გაშავდა მზე...








### საქართველოს მწერალთა კავშირის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების კომისიისაგან

ქართველმა მწერლებმა მთელ ქართველ ხალხთან ერთად გულთან ახლოს მიიტანეს მიწისძვრისაგან დაზარალებულთა ტრაგედია. მათ დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად გაიღეს თავიანთი დანაზოგი თანხები, კერძოდ, 1000-1000 მანეთი — **ირაკლი აბაშიძემ, ხუტა ბერულავამ, გიორგი გაჩეჩილაძემ, გურამ გვერდწითელმა, თემურ გძელიძემ, აკაკი ვასაძემ, ლაშა თაბუკაშვილმა, ამირან კალაძემ, ელგუჯა მაღრაძემ, მუხრან მაჭავარიანმა, რომან მიმინოშვილმა, ენვერ ნიჟარაძემ, ხოსო სიგუამ, გურამ ფანჯიკიძემ, შალვა ფორჩხიძემ, ჯანსუღ ღვინჯილიამ, იორამ ჩადუნელმა, თენგიზ ჩალაურმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, სარგის ცაიშვილმა, თამაზ წივწივაძემ, ტარიელ ჭანტურიამ, თამაზ ჭილაძემ, ოთარ ჭილაძემ, ელიზბარ ჯაველიძემ**; 500-500 მანეთი: **ნუნუ კერესელიძემ, ზაზა აბზიანიძემ, რამაზ კობიძემ, ზურაბ ჭუმბურიძემ.**

ბევრმა მწერალმა შემოიტანა სხვადასხვა ოდენობის თანხა.

გამომცემლობა „მერანმა“ ჩარიცხა 20 000 მანეთი, ამავე გამომცემლობის თანამშრომლები კი ყოველთვიურად გაიღებენ თითო დღის ხელფასს. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ გაიღო 20 000 მანეთი, მისმა თანამშრომლებმა კი — თითო თვის ხელფასი; მწერალთა კავშირთან არსებულმა რესპუბლიკურმა სამშენებლო-სარემონტო გაერთიანებამ — 10 000 მან; საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანის საკოორდინაციო-საგამომცემლო ცენტრის თანამშრომლებმა — 5 000 მან; ჟურნალ „ცისკრისამ“ — 3 800 მან. და ერთი ნომრის ჰონორარი; ერთი ნომრის ჰონორარი გაიღო ჟურნალ „დილის“ რედაქციამ; ალმანახ „ალაზნის“ რედაქციისა და მწერალთა კავშირის თელავის განყოფილების თანამშრომლები ჩარიცხავენ თითო თვის ხელფასს, ხოლო საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაციის საზოგადოება „სამრეკლო“ — 5 000 მანეთს.

დახმარების შემოტანა გრძელდება.

### თბილისი, მაჩაბლის 13, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მუხრან მაჭავარიანს

ბატონო მუხრან, წერამწერელი ეს მეორედ შემოგვწყრა მოძმე ხალხებს. გამხნევდით ჩემო ძვირფასებო, მიწიერი და ზეციური ძალები ვერ დაგვაჩოქებენ. თქვენთვის ამ მძიმე დღეებში სომეხი მწერლები თქვენთან ერთად დასტირიან სტიქიური უბედურების მსხვერპლთ. კიდევ ერთხელ: გამხნევდით, ჩვენო ძმებო, ჩვენ თქვენთან ვართ.

**სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე**
**სერო ხანზადიანი,**

**მდივანი**
**ოვანეს მელქონიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# და გაშავდა მზე...

**იქმნა მიწისძვრა დიდი, და გაშავდა მზე, როგორც ძაძა, და სისხლივით გაწითლდა მთვარე.**

გამოცხადება, 6, 12.

მიწისძვრა!

ეს სიტყვა ზარივით მოედო მთელ საქართველოს. დიდი და პატარა შეგვძრა ამ ცნობამ, გულში შიშისა და უმწეობის ზზარი გაგვიჩინა.

განგების ხელს კვლავ აპრილის თვე მოუნიშნავს ჩვენი უბედურების დროდ. 29 აპრილს, 13 საათსა და 13 წუთზე მოხდა მიწისძვრა, რომელმაც დაანგრია საჩხერის, ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და ჯავის რაიონები, დააზიანა ჭიათურისა და ტყიბულის რაიონები. არიან დახოცილები, დასახიჩრებულები. ასი ათასზე მეტი ადამიანი ღია ცის ქვეშ აღმოჩნდა.

სტიქიამ განსაკუთრებული სისასტიკით იჩინა თავი საჩხერეში, სადაც მიწა 7-8 ბალის სიმძლავრით იძრა.

უბედურების მაუწყებელმა ზარმა პირველად აქ მიგვიყვანა.

ბოლო ხანებში არაერთ კატასტროფულ მიწისძვრას შევესწარით, არაერთხელ შეგვძრა გაუგონარმა ნგრევებმა, მაგრამ შენს ქვეყანაში, შენს თავზე გარდახდილი ეს ჭირი მეტად შემზარავი და აუტანელი ყოფილა.

აუწერელია შეძრწუნებისა და შიშნარევი უმწეობის გრძნობა, რომელიც ამ კატასტროფის მხილველს გეუფლება. ან კი რა უნდა თქვა, რის გამოთქმად მოგიბრუნდება ენა, როცა უყურებ მთლიანად ჩამოქცეულ ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლს, რომლის ნანგრევებში ახლაც ეძებენ ადამიანთა სხეულებს. როცა ხედავ, თუ სტიქიას როგორ მოუსრავს და მიწის პირზე გაუსწორებია მთელი ქუჩა, ეკლესია და სასაფლაოც კი.

„მიწისძვრამდე ცხელი, რაღაც უცნაურად მქროლავი ქარი ამოვარდა,—იხსენებს ავთო ტალახაძე, რომელსაც ხელდახელოდ გაშლილ კარვებთან შევხვდით, — მერე მიწამ, ისეთი გუგუნი და ქშუილი დაიწყო, მართალი გითხრათ, შემეშინდა და დავიბენი. უცებ ვერცკი მივხვდი, ეს რა უნდა ყოფილიყო, მხოლოდ მაშინღა მოვეგე გონს, სახლი რომ შეზანზარდა და ისე ატოკდა, როგორც ნავი ზღვის ტალღაზე. კიბის თავთან ვიდექი, მოვასწარი გადმოხტომა. ყველაფერი რამდენიმე წამში მოხდა“.

ამ რამდენიმე წამმა მოსრა საჩხერის რაიონი;

დაინგრა საცხოვრებელი სახლების 80%;

რაიონის ცენტრში დაინგრა ხუთსართულიანი შენობა;

მთლიანად განადგურდა წმინდა ნინოს ქუჩა;

დაინგრა ჯრუჭისა და წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიები, ისტორიული ძეგლი „მოდინახე“;

დაინგრა სოფლები — ცხომარეთი, მოხვა, ორღული, ერევი, სინგური. მთის ნამზღვლევში ჩაიმარხა ხახიეთი და ამ სოფლის 40 მცხოვრები. ეს არის წარმოუდგენელი ტრაგედია: მომწყდარი მთის მასამ მთლიანად დაფარა და ერთ კილომეტრზე გაიტანა სოფელი;

რაიონის სკოლების ყველა შენობა დაინგრა, ოთხი მოსწავლე დაიღუპა.

მწყობრიდან გამოვიდა ყოველგვარი კომუნიკაცია: ელექტროქსელები, წყალსადენები. სატელეფონო ხაზები და გაზსადენები;

ამ რაიონში დაიღუპა სამოცი ადამიანი, დასახიჩრებულია — ორასი.

ეს ცნობები მოგვაწოდეს დაზარალებულთა დახმარების საჩხერის შტაბში, რომელსაც დღე და ღამე უამრავი ხალხი ახვევია. უსახლკაროდ დარჩენილ საჩხერელებს შტაბი ეგულებათ მხსნელად და იმედად. თუმცა, როგორც ჩანს, ეს იმედი უმრავლესობას ჯერ ვერ უმართლდება: არ ყოფნით კარვები, სურსათი, წყალი. დეფიციტი უფრო ამწვავებს შოკისგან გამოწვეულ ფსიქოზს — აქა-იქ ვრცელდება პანიკური ჭორები, უარესი მიწისძვრაა მოსალოდნელიო, აყრას და გადასახლებას გვიპირებენო... ხმა გავარდა, სოფელ ორღულში ვულკანმა ამოხეთქაო. რომ გაარკვიეს, აღმოჩნდა, ვილაცას გაზის ბალონი აფეთქებია. ტროლეიბუსი დაიძრა და მგზავრებმა უცაბედად შეჰკივლეს, მიწა იძრაო.

მაგრამ ეს ყოველივე გასაგებია, გასაგებია თვით საჩხერელებისთვისაც, რომელთა შორის მშვიდი და გულდადინჯებული უფრო მეტია, ვიდრე პანიკასა და ჭორებს აყოლილი. ახეა, დიდი ჭირი დიდ თმენასაც ითხოვს. ეს კი ქართველ კაცს არ ესწავლება.

წმინდა ნინოს ქუჩაზე ერთ ასეთ ჭირთამთმენ კაცს შევხვდით—ნოდარ მუმლაძეს. თავისი სახლის ნანგრევებიდან ბლოკებს არჩევდა და ცალკე აწყობდა. ამბავი ვკითხეთ. სასწაულად გადარჩენილა. „ამ უბედურების მერე მუშაობას გულს როგორ უდებთო“—რომ ვკითხეთ, მწარედ გაეღიმა, — საით გავიქცე, ჩემი ძველი სახლის ადგილი აქ არის და ახალიც აქ უნდა ავაშენოო.

დიახ, შერჩენიათ საჩხერელებს ძალა და უნარი ჭირსა შიგან გამაგრებისა, მაგრამ, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ჩვენგან არ ესაჭიროებათ განსაკუთრებული ყურადღება, მხარში დგომა, გამხნევება და, რაც მთავარია, მატერიალური დახმარება.

გამხნევება და დახმარება სჭირდებათ იმავე ნოდარ მუმლაძესა და ავთო ტალახაძეს, რომლებიც სასწაულმა გადაარჩინა და ახლა ცარიელი ხელებით პატრონობენ ოჯახებს, თანადგომას ითხოვს ლენა იაკობიძე, რომელიც დაღუპულ შვილიშვილსა და რძალს დასტირის, მხარში დგომა სჭირდება ნუგზარ შეყლაშვილს, სამი შვილის მამას, რომელსაც საჩხერეშიც დაენგრა სახლი და ჭიათურაშიც. ყველა საჩხერელი მოელის ჩვენგან გულის სითბოს, ყველა, ვინც ხელდახელოდ გაშლილ კარავში ათენ-აღამებს.

სწორედ ამისთვის შეიქმნა დახმარების შტაბი, ამ მიზნით ჩამოვიდა აქ საქართველოს გვარდიის ხუთასკაციანი რაზმი, ამავე მიზნით ჩამოვიდნენ მაშველები ქალაქ კიროვაკანიდან. გავესაუბრეთ კიროვაკანელ მეგობრებს, თუ რატომ — გასაგებია, მათ აქვთ მიწისძვრის რაიონებში მუშაობის საკმაო გამოცდილება — სამი წლის წინათ მთელი მსოფლიო შესძრა სომხეთის მიწისძვრამ, რომლის შედეგების ლიკვიდაცია დღესაც მიმდინარეობს.

„როგორც კი შევიტყვეთ საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შესახებ, მაშინვე აქეთ გამოვეშურეთ, — გვითხრა სომეხ მაშველთა რაზმის მეთაურმა ალბერტ გევონდიანმა, — თან წამოვიღეთ კარვები, საძილე ტომრები, სამუშაო იარაღები, წყალი და ტონანახევარი საკვები პროდუქტი. 30 აპრილს, ღამის ორ საათზე ჩამოვედით. ერთ დღეში სოფელ ივანწმინდაში საჩხერელი დაზარალებულებისთვის ათი კარავი დავდგით. სამწუხაროდ, მეორე დღეა, ჩვენი ათი კვალიფიციური მაშველი უქმად დგას, საქმეზე ვერ დააყენეს, შტაბი თითქოს დაბნეულია, ორგანიზებულობა არ ჰყოფნის. ნათქვამს საყვედურად ნუ ჩამითვლით. ამ საქმეში მეტი გამოცდილება მაქვს და ნაკლსაც, ძალაუნებურად, ადვილად ვამჩნევ“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ საჩხერის რაიონის მონახულება მოვასწარით დროის სიმცირის გამო. ონისა და ამბროლაურის მოხილვას მხოლოდ საჰაერო ტრანსპორტითღა თუ მოვასწრებდით, ამიტომ ბევრი ვეცადეთ რაჭისკენ მიმავალ შვეულმფრენს დავმგზავრებოდით, მაგრამ ვერსად და ვერავისთან დავადგინეთ არათუ შვეულმფრენის ამბავი, არამედ, საერთოდ, საჩხერესა და რაჭის რაიონებს შორის არის თუ არა საჰაერო კავშირი.

დაბოლოს, გვინდა მადლობა მოვახსენოთ საჩხერის საშუალო სკოლის პედაგოგს, შტაბის წევრს ბატონ გიორგი ხვედელიძეს, რომელიც დაგვეხმარა რეპორტაჟის მომზადებაში.

სხვათა შორის, სწორედ ბატონმა გიორგიმ შენიშნა ეს ღირსსაცნობი დეტალი: საჩხერის ერთ-ერთ ქუჩაზე ცარიელი პოსტამენტის წინ ეყარა მიწისძვრისაგან დანგრეული რომელიღაც ძეგლის ნაფშვენები, მის შორიახლოს კი იდგა აკაკის ძეგლი — მრთელი და შეუბღალავი.

მწუხარებით დამძიმებულ გულს ზოგჯერ მცირეოდენი ნიშანიც კი იმედად შეეხიდება.









ივანე ამირხანაშვილი
მურმან ჩაჩუა

საჩხერე, 1 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დემოკრატია, ანუ პასუხისმგებლობა

## ზაურ კილაძე

„მხოლოდ პასუხისმგებლობით ჯილდოვებული პიროვნება არის თავისუფალი და მხოლოდ თავისუფალი პიროვნებაა პასუხისმგებლობით აღჭურვილი“.

ნ. ბერდიაევი

ნ. ბერდიაევის ეპიგრაფად მოყვანილი სიტყვების პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ — უპასუხისმგებლობა და არათავისუფლება ერთი და იგივეა.

არათავისუფლება რისგან? ცხადია, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობისაგან და სხვა დანარჩენი უკვე ჯაჭვური რეაქციის მსგავსად, შეიძლება ვთქვათ, საბედისწერო უპასუხისმგებლობისაგან მომდინარეობს, და თუ შეიძლება სინონიმებად მივიჩნიოთ დემოკრატია-თავისუფლება-პასუხისმგებლობა, ასევე შეგვიძლია სინონიმებად დავსახოთ ტირანია — არათავისუფლება — უპასუხისმგებლობა.

პოლიტიკური უპასუხისმგებლობის სათავე შეიძლება იყოს მრავლის უმრავლესი ფაქტორი, რომელთა ჩამოთვლა და მით უმეტეს განხილვა ძალზე შორს წაგვიყვანდა, აქ შეგვიძლია მხოლოდ ორი, როგორც ჩანს, უმთავრესი აღვნიშნოთ — უმეცრება და აღზევებისაკენ სწრაფვა, ანუ როგორც ახლა ხშირად უწოდებენ ამას, პოლიტიკური ამბიციები.

●

დღევანდელ საქართველოში თითქმის ყველას აკერია პირზე ეს სანუკვარი და ლამაზი სიტყვა — დემოკრატია, მაგრამ თუ განიხილება ეს ცნება მთელი თავისი სირთულით, ანუ ისე, რომ სრულიად გვესმოდეს ამ ცნებაში ჩადებული შინაარსი და არა მხოლოდ ამა თუ იმ პოლიტიკური პროცესის თუ პარტიის ასეთივე ლამაზი იარლიყის მისაკერებლად ვიყენებდეთ მას.

როგორც ჩვენი ნერვიული და დაძაბული სინამდვილე გვიჩვენებს, ეს ცნება, ძირითადად, მარტივად აღიქმება და კიდევაც გვაქვს გარკვეული სავალალო შედეგები ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში. დემოკრატიის მარტივ გაგებას, როგორც ჩანს, გაუმსჭვალავს ჩვენი საზოგადოების გარკვეული, არც თუ ისე მცირე ნაწილი.

სწორედ ამ მარტივი გაგების საფუძველზე ხალხში ბოგინობს აზრი დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების შესახებ, რადგან ის არ არის ტოტალიტარული ხელისუფლება, ამიტომ არც უნდა იყოს ძლიერი, მის წინააღმდეგ შეიძლება ყოველ წამს და ყოველ წუთს მიმართონ აქციებს და ამავე დროს ამ ხელისუფლებას არ უნდა შეეძლოს თავის დაცვა და ის აქციები, შეიძლება სრულიად უსაფუძვლო და სუბიექტური, უნდა დაკმაყოფილდეს.

მათი აზრით, დემოკრატიის არსებობას სწორედ ეს უნდა ადასტურებდეს.

რაღა თქმა უნდა, ეს მცდარი აზრია. დემოკრატიის ზემოთ ხსენებული სირთულე ისიც არის, რომ დემოკრატიული ხელისუფლება ძლიერი უნდა იყოს და ცალკეულმა პირებმა და, თუ გნებავთ, ცალკეულმა ორგანიზაციებმა ვერც უნდა მოახდინოს ზეგავლენა ასეთ ხელისუფლებაზე.

მაგრამ, როგორც ვიცით, ამ 70-წლიანი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ბოროტებამ და სიცრუემ მარტივი გახადა ხალხის აზროვნება და სწორედ ასეთ პირობებში უხდებოდა ქართველ კაცს ცხოვრება, რამაც ერთობ პრიმიტიული და მდარე გახადა მრავლის აზროვნება. ცხადია, ასე მოაზროვნე ხალხის ნაწილს დღეს უჭირს დემოკრატიული იდეების სწორად გაგება და დემოკრატიული თავისუფლება ბევრმა თავისი მეობის თავისუფალ გამოვლინებაზე დაიყვანა. ამას კი, ცხადია, შეიძლება შემზარავი შედეგები მოჰყვეს.

თავმოზღუდულობა, ზომიერება, აუმღვრევლობა და მოვლენათა მრავალმხრივი, მაქსიმალურად გონებისმიერი განსჯა აუცილებელი პირობაა დემოკრატიული გზით იმ სანუკვარი თავისუფლების მიღწევისა.

დემოკრატიის იდეის სირთულეს ვერა და ვერ გაითავისებენ ბაბილონის გოდოლის კომპლექსით შეპყრობილი ადამიანები.

●

ჩვენი ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი თავკაცი დიდი და რთული მიზნის მიღწევას მარტივი და სწორხაზოვანი საშუალებებით ცდილობს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, ხსენებული სიმარტივე და სწორხაზოვნება ფრიად სახიფათოც ჩანს ამავე დროს, სწორედ ასეთი სახიფათო ჩანს რადიკალური მოთხოვნები თავისუფლების მოსაპოვებლად, რომელიც რეალურად შეიძლება მხოლოდ თანდათანობით განხორციელდეს. თავისდა უნებურად ეს თავკაცები ქართველი ერის ნების მეორე მხარეზე მდგომ ძლიერ ძალებს უგულვებელყოფენ. ეს კი შეიძლება საბედისწერო გახდეს.

მაგრამ აქ იქნებ ასეთი ვარაუდი გამოითქვას, ქართველი ერის თანდათანობითი განთავისუფლების პროცესიც შეიძლება ჩახშობილ იქნას.

მართლაც, ამ აზრის კატეგორიული უარყოფა შეუძლებელია.

ოღონდ თუ პირველ შემთხვევაში ეს ალბათობა განუზომლად იზრდება, მეორე შემთხვევაში ეს ალბათობა შედარებით მცირე ჩანს. ეს ჯერ ერთი; მეორე მხრივ, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ის მეორე, საპირისპირო მხარეც განიცდის ტრანსფორმირებას, რომლის ალტერნატივა შეიძლება სამხედრო გადატრიალება გახდეს.

ხოლო სამხედრო გადატრიალებას რაც დაერქმევა და როგორც აღიქმება მსოფლიოს მიერ, ეს ყველას კარგად მოეხსენება.

რთული მიზნის მიღწევა იოლი, მარტივი საშუალებებით შეუძლებელია.

შეუძლებელია იმიტომ, რომ ერთობ ძნელია პოლიტიკური პერსპექტივის ზუსტი განჭვრეტა და პროგრამირება. დღეს ეს გარემოება უდავო ფაქტი უნდა იყოს, რადგან უკვე ვიცით, სამომავლოდ პროექცირებული პოლიტიკა, ანუ იმის გათვალისწინება, რაც მომავალში უნდა მოხდეს, მრავალვარიანტულია წარსულში მომხდარისაგან განსხვავებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, წარსულში მომხდარი ისტორიული ფაქტი უკვე ცნობილია, შეიძლება ვთქვათ, უნიკალურია, ამიტომ ის უვარიანტოა, ესე იგი, ის უკვე ნათელი, ჩვეულებრივი ისტორიული ფაქტია, რომელზეც ასე ამბობენ, მოსახდენი მოხდაო.

მომავლის პოლიტიკური პერსპექტივის განსჭვრეტა რომ ძნელი იყო, ამისი მრავალი მაგალითი მოგვეპოვება. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, დაწყებული გეორგიევსკის ტრაქტატით და დამთავრებული სტალინის პიროვნებით, საქართველოს დამოუკიდებლობის მესაფლავის თაყვანისმცემლები დღესაც არ გამოლეულა ჩვენში.

ვის მოუვიდოდა თავში ასეთი პერსპექტივა, პირველ შემთხვევაში XVIII ს. ბოლოს, ანუ 1801 წლამდე და მეორე შემთხვევაში — 1917-1921-1924 წწ.

მწარე ისტორიული გაკვეთილები გვაიძულებს, გვისაბუთებს, გვიმტკიცებს იმას, რომ კატეგორიულობა ისტორიული პერსპექტივის განჭვრეტაში ფრიად საზიანოა ეროვნული მოძრაობისათვის და ყოველთვის ღია უნდა იყოს კარი დიალოგისათვის, აზრთა ურთიერთგაზიარებისათვის, პოზიციების დაახლოებისათვის, შეთანხმებისათვის და საბოლოოდ ერთობლივი მოქმედების დასახვისათვის.

ამის მიღწევა ყოველთვის ძნელი იყო და დღესაც ასეა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის.

ეროვნულ პოზიციაზე მდგარი ძალების შეუთანხმებლობა და შეურიგებლობა, რა მოტივითაც არ უნდა იყოს ნაკარნახევი, ბოლოს მაინც სუბიექტური აღმოჩნდება, ხოლო სუბიექტურობა პოლიტიკაში დიდად საშიშია ყოველთვის.

ქართული ეროვნული მოძრაობის ზოგიერთ მესვეურს დემოკრატიული პროცესი, როგორც ჩანს, თავისდა უნებურად თვითმიზნურად ესახება, ანუ, შეიძლება ვივარაუდოთ, რელიგიურ რიტუალად წარმოუდგენიათ. რიტუალი კი სულაც არ საჭიროებს ზუსტ დასაბუთებას, ის განუსჯელად უნდა გაიზიაროს ადამიანმა.

რელიგიურ რიტუალამდე დაყვანილმა პროცესმა კი, შეიძლება, მაგალითად, ასეთი სურათი მოგვცეს: „ოკუპაციის პირობებში ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი, რომელიც მიღებულია ადგილობრივი ან საკავშირო უმაღლესი საბჭოს მიერ, არის უკანონო“ — ვკითხულობთ საქართველოს ეროვნული კონგრესის რეზოლუციაში კანონმდებლობის თაობაზე (გაზ. „თბილისი“, 1990, № 279).

სწორედ ეს არის იმის ნიმუში, თუ როგორაა ამ შემთხვევაში დემოკრატია რელიგიამდე დაყვანილი, ანუ ჩვენ იძულებული ვართ დავიჯეროთ იმიტომ, რომ უნდა დავიჯეროთ.

ხოლო თუ არ დავიჯერებთ, მაშინ ასეთი კითხვა დაგვებადება, რა ვუყოთ იმ საკანონმდებლო აქტს, რომელიც მიღებული იქნება ადგილობრივი უმაღლესი საბჭოს მიერ და თავისი შინაარსით იმას სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება ქართველი ერისთვის?

და თუ არ დავიჯერებთ, ესეც უნდა ვიფიქროთ, თუკი „უკანონოდ გამოვაცხადებთ ასეთ დიდმნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტს, მაშინ უთუოდ მოგვივა თავში ლათინური ტერმინი Cui bono? (ვისთვისაა კარგი?), ანუ ვის წისქვილზე ასხამს წყალს ასეთი განცხადება?

შეიძლება მავანმა და მავანმა თქვას, რაღაა ისეთი კანონის მიღება, განხორციელება რომ არ უწერია?

კანონი შეიძლება მართლაც განუხორციელებელი გახდეს, მაგრამ საკითხავი ისაა, სრულიად განუხორციელებელი იქნება თუ ნაწილობრივ, თუ სულ მცირე, პროცენტით მაინც მოხდება ამ კანონის ხორცშესხმა.

ჩვენ პირობებში კი ყოველ ასეთ პროცენტს დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ ახლა ისეთი დრო და ისეთი წამია (ვაჟა-ფშაველას არ იყოს), რომ ამ შეურიგებლობის პროცესის გაღრმავებასა და გაარჯლებას წინ უნდა აღუდგეს ქართული ეროვნული მოძრაობა და არ დაუშვას გარდამავალი პერიოდის უდიდესი ძნელბედობისა და განსაცდელის ხანს ეროვნული ძალების შესუსტება და დაკნინება.

წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება საქართველოში გამეფდეს ისეთი მძიმე ატმოსფერო, რომელმაც რობესპიერს მრავალნი აიყვანინა გილიოტინაზე და ბოლოს თავადაც გახდა ამ მანქანის მსხვერპლი.

თუმცა შეურიგებლობისა და უკომპრომისობის ეს გამოვლინება, რაც უნდა იყოს, დღევანდელ საქართველოში, ზოგადკაცობრიულ გამოცდილებას ნაზიარები მრავალი შესანიშნავი მამულიშვილის მოღვაწეობის პირობებში, შავბნელი ფანტაზიის ნაყოფად უნდა ჩავთვალოთ.

●

ხსენებული შეურიგებლობისა და უკომპრომისობის ნიღბით ადვილი შესაძლებელია მოქმედებდეს გარკვეული სახის უარყოფითი გრძნობა, რომელიც, თუმცა პოლიტიკური ცხოვრების წიაღშია აღმოცენებული, მაგრამ მას უფრო ობიექტური კი არა, სუბიექტური, ანუ ფსიქოლოგიური, ადამიანის ბუნების ერთი საყურადღებო, თუმცა კი ნაკლებად გამოკვლეული ფენომენი აქვს საფუძვლად.

პოლიტიკაში ხშირად ხდება ხოლმე — კაცი კაცს ისე სასტიკად შეიძულებს, რომ ასეთი სიძულვილი პირადი ურთიერთობისას იშვიათი მოვლენაა და შედარებით იოლი მოსავლელიც, რამდენიმე ხნით ურთიერთობის გაწყვეტა და სიძულვილი თანდათანობით განქარდება.

თუკი ამ ფენომენს ცნების კატეგორიაში გადმოვიყვანთ, შეიძლება ამას „პოლიტიკური სიძულვილი“ დავარქვათ. ამ ძლიერ და ყოვლისმომცველ გრძნობას შეუძლია სრულიად ჩაახშოს პასუხისმგებლობის გრძნობა და თავის სამსხვერპლოზე მთელი ერის ინტერესები დააგდოს.

ჩვეულებრივი სიძულვილისაგან განსხვავებით პოლიტიკური სიძულვილი ადვილი მოსაცილებელი არ არის და შეიძლება მთელი სიცოცხლე გაჰყვეს ადამიანებს, და თუნდაც მათ შორის ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი იყოს, მაინც ამ გრძნობის ზეგავლენას ვერაფერი ვერ გაანელებს.

სტალინისა და ტროცკის ურთიერთობა გავიხსენოთ. და უკვე ცხადია, ეს გრძნობა მომაკვდინებელი და ყოვლისშემძლე ხდება ტოტალიტარული, ფაშისტური, ავტოკრატიული მმართველობის პირობებში, როდესაც ის დღენიადაგ მოქმედ უპასუხისმგებლობის დამოკლეს მახვილად გარდაისახება.

დესპოტურ სახელმწიფოებში მხოლოდ ერთეულები თუ ახერხებენ ამ გრძნობის გათავისებას, მასთან ბრძოლას და ბოლოს უკუგდებას, მხოლოდ ხანგრძლივი ტრადიციების მქონე დემოკრატიული მმართველობის ხანს, ანუ, საყოველთაო პასუხისმგებლობის დამკვიდრებისას ამ საშინელი გრძნობის გამოვლინება როგორც სუბიექტურად, ისე ობიექტურად უმნიშვნელო ხდება და ადვილი ასალაგმავიც — დემოკრატიულ ქვეყნებში იმდენად ძლიერია მასობრივი პასუხისმგებლობის სული, რომ აქ არ შეიძლება, შეუძლებელია ამ ამაზრზენი გრძნობის გამოვლინება იმთავითვე არ იქნას გამოაშკარავებული, ნიღაბახდილი ინფორმაციის მრავალი და თავისუფალი, დემოკრატიული საშუალებებით და ამისდა კვალად ჩანასახშივე ჩახშობილიც.

●

ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრება ისეთი მმართველობის პირობებში, როდესაც საშიშროებაა შექმნილი ორხელისუფლებიანობისა, დღითი დღე დაძაბული ხდება და, თუ გნებავთ, სამხელისუფლებიანობასაც, თუკი იმ ეგრეთწოდებულ „ცენტრსაც“ ვიგულისხმებთ, მაგრამ თუ ეს მესამე ძალა ქართველი ხალხის ცნობიერებაში ერთმნიშვნელოვნად არის დაფიქსირებული, თავად ქართული მოძრაობის ორ ნაწილად გახლეჩა მრავალს უბნევს თავგზას და უჭირს ნათელი ორიენტირების მიკვლევა.

ამ დროს ყოველი საჯარო განცხადება, ყოველი სიტყვა უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა იყოს მომართული. რა ნათელი ორიენტირები უნდა ჰქონდეს ხალხს, როდესაც ისეთი მამულიშვილი და ღირსეული პიროვნება, როგორიცაა ბატონი აკაკი ბაქრაძე, შეიძლება თავისდა უნებურად, შეიარაღებული ფორმირებების დამცველად გვევლინება და მერე ასეთი მკვეთრი რეაქცია სწორედ ამ უპასუხისმგებლო განცხადებას მოჰყვა. წრე შეიკრა. ოღონდ ვერ ვიტყვით, ჯადოსნური წრეო, საბედისწერო კი შეიძლება დავარქვათ, რადგან ხსენებულმა განცხადებამ და შემდეგ რეაქციამ მასზე დაძაბა ისედაც დაძაბული პოლიტიკური ატმოსფერო — და მრავალ, ამა თუ იმ მხარეზე მდგარ ქართველს კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩინა.

თავი და თავი ამ ფაქტებისა ის არის, რომ ქართველი ხალხის ნება ასე არაბუნებრივად, შეიძლება ვთქვათ, ობიექტურად უსაფუძვლოდ, ხელოვნურად ორადაა დანაწილებული, და სულ ერთია, შეიძლება ამ ორი ნაწილიდან ერთი შედარებით დიდი იყოს და მეორე შედარებით მცირე. რადგან ხალხის ნება ამა თუ იმ ზომით პარალიზებული ხდება და შინაგანად უკვე მიელტვის იმას, რომლის საშიშროებაზეც ჯერ კიდევ ნ. ბერდიაევი მიუთითებდა: „უმრავლესობის ნებას, მახობრივი რაოდენობის ნებას არ უნდა ჰქონდეს უფლება იბატონოს ყველანაირ მიმართულებაზე, ჰქმნას ის, რაც ნებავს, რაც უნდა ის გასცეს და წაართვას“.

მაგრამ სავალალო სწორედ ის არის, რომ ორხელისუფლებიანობის დროს, თუ გნებავთ, ანარქიის დროსაც, დემოკრატია სახეცვლილებას განიცდის და „ხალხის ნებამ შეიძლება ისეთი ტრანსფორმირება განიცადოს, რომ „იბატონოს ყველანაირ მიმართულებაზე, ჰქნას ის, რაც ნებავს...“

და თუკი ეს ნება შეიძლებოდა შედარებით უმტკივნეულოდ აღკვეთილიყო დამოუკიდებელ და ძლიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში, დღევანდელ საქართველოში ის შეიძლება მომაკვდინებელი გახდეს.

●

როგორც ვხედავთ, ჩვენი ეროვნული მოძრაობის ზოგიერთ მიმდინარეობას აშკარად აკლია დემოკრატიისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ნიშანი — პასუხისმგებლობა. ის პასუხისმგებლობა, რომელიც ამავე დროს უდიდესი უდა იყოს, რადგან ეროვნული მოძრაობა, ცხადია, ცალკეული პიროვნებებით არ შემოიფარგლება და მთელი ერია ამ დროს სასწორზე შეგდებული.

ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმული ყველა ქართველი უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა იყოს აღჭურვილი. პასუხისმგებლობა უნდა მსჭვალავდეს მის ყოველ სიტყვას, მის ყოველ საქმეს; პასუხისმგებლობა ეროვნული მოძრაობის განვითარების პერსპექტივისადმი, პასუხისმგებლობა მომავლისადმი, რომელიც დღეს იჭედება და ყოველი მცდარი ნაბიჯი მერმისში იჩენს თავს.

ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩაბმული პირები თითქმის ყოველ თავის გამოსვლაში ამბობენ, ჩვენი მიზანი წმინდა არისო. ეს სიტყვები ხშირად გაგვიგონია მიტინგებსა და ტელეგადაცემებში, და, ცხადია, ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ მათი მიზნისა და განზრახვის სიწმინდეში.

მართლაცდა, მათი განზრახვა და მიზანი წმინდაა, მაგრამ რამდენადაა ეს განზრახვა და მიზანი პასუხისმგებლობით გაჯერებული!

თავიდათავი ეს არის, მიზანი წმინდა უნდა იყოს შედეგის მიხედვით, რეალურად მხოლოდ შედეგია დამადასტურებელი მიზნის

(დასასრული მე-4 გვ.)

(დასასრული)

სიწმინდისა, ანუ ერთია მიზნის სიწმინდე შედეგის მოპოვებამდე და მეორეა მიზნის სიწმინდე შედეგის მოპოვების მერმე.

მაგრამ სწორედ შედეგის განჭვრეტაა ძნელი დღევანდელი საქართველოს პირობებში, ამიტომ, კიდევ უნდა გავიმეოროთ, მიზნის სიწმინდე უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა იყოს დაურვებული.

ზემოთქმული შეიძლება ასე დავაზუსტოთ.

როგორი საშუალებებით შეიძლება მივაღწიოთ წმინდა მიზანს? განა ყველა საშუალება გამოდგება ამ მიზნის მისაღწევად? ხომ შეიძლება ამ საშუალებამ თუ ხერხმა ისეთი უკურეაქცია გამოიწვიოს, რომ ეს მიზანი შედეგის მიხედვით სულაც არ იყოს წმინდა, ანდა საპირისპირო შედეგით დამძიმებული აღმოჩნდეს სულაც.

დღეს კი ჩვენს ირგვლივ ისეთი საზოგადოებრივი გარემოებაა შექმნილი, რომ არის საშიშროება, შეიძლება თავისუფლების მიღწევის იდეა ქართველი კაცის ნებისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდეს და რაღაც დაუმორჩილებელ დინებაში მოექცეს, დაუსხლტეს კონტროლს, უმართავი გახდეს, რამაც შეიძლება ჩიხში მოაქციოს ეს მოძრაობა ან უფსკრულში გადაჩეხოს.

როგორც ვხედავთ, ქართველი ერის თავისუფლების საკითხი სიხლხორცეულადაა დაკავშირებული უდიდეს პასუხისმგებლობასთან, რომლითაც უნდა აღჭურვილი იყოს ყოველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. თავისუფლება როგორც ეროვნული, ისე პიროვნული და უპასუხისმგებლობა შეუთავსებელია.

ბოლშევიკების მიერ 1922 წ. რუსეთიდან გაძევებული ცნობილი ფილოსოფოსის, ნიკოლოზ ბერდიაევის მიხედვით (იხ: გაზ. „სახალხო განათლება", 1990, № 31), „დემოკრატია ეს ორგანიზებული და ცხადლივ წარმოჩენილი ხალხის ადამიანური ბუნების პოტენციაა. მისი მოპოვებული უნარი თვითმმართველობისა და ძალაუფლების. ძალაუფლება შეუძლია მხოლოდ იმას ეპყრას, ვისაც თავის ფლობაც შეუძლია, პიროვნული და ეროვნული თავის ფლობის დაკარგვა, ქაოსის ზეობა არა მარტო შეარყევს დემოკრატიას, არამედ, შეუძლებელს ხდის მას — ამას ყოველთვის დესპოტიზმისაკენ მივყავართ".

თუკი დემოკრატიის ამ მნიშვნელოვან მოთხოვნილებას გავითვალისწინებთ, ცხადლივ დავინახავთ, ამ მხრივაც რთულია საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა.

სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ჩვენთან იმიტომ ჭირს ადამიანური ბუნების პოტენციის გამოვლინება, თავის ფლობა, როგორც ეროვნულის, ისე პიროვნულის, რომ ჩვენ კიდევ დამოკიდებული ქვეყანა ვართ.

ამ თავისთავად ცხადი ფაქტის კონსტანტირება იმიტომ დაგვჭირდა, რომ დემოკრატიის დამკვიდრება დამოუკიდებელ ქვეყანაშიც ძნელია და ჩვენთან მით უმეტეს. ამისდა კვალად, ნათლად გამოჩნდება ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც აკისრია საქართველოს მთავრობას და საერთოდ ეროვნულ მოძრაობას. მაშინ, როდესაც ეროვნული და პიროვნული თავის ფლობა მხოლოდ ქართველებსა და ჩვენზე, როგორც პიროვნებებზე არ არის დამოკიდებული. როდესაც, ასევე, ქაოსის ზეობას შეუძლია გარეშე, იმ მესამე ძალამ გამოიწვიოს და მოახდინოს ამა თუ იმ სახეობის დესპოტიზმის რესტავრირება.

მაგრამ აქ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ჩანს, თავად ჩვენ კი, ქართველები, ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს ანუ, შეიძლება სხვანაირადაც ვთქვათ, ხშირად, ძალიან ხშირად სწორედ იმას არ ვაკეთებთ, რომ ქაოსის ზეობამ იმძლავროს ჩვენში და უფსკრულის ზედ კიდეზე მიგვაგდოს ისედაც უფსკრულის პირას მყოფნი.

ქართველმა ერმა რამდენს უნდა გაუძლოს, რათა არ დაკარგოს თავის ფლობის უნარი, რომელ ერთ ძალას აღუდგეს წინ, გარეგანს თუ შინაგანს.

ერთი რამ კი ცხადზე ცხადია, შინაგანი დამანგრეველი სტიქიონის გამკლავება გარეგანი სტიქიონის გამკლავების საწინდარი უნდა გახდეს. სხვანაირად განწირულნი ვართ დასამარცხებლად.

ქართველ ერს ჰქონდა ისტორიული შემთხვევა დაემტკიცებინა, რომ ძალუძს სძლიოს, გაიმარჯვოს შინაგან ირაციონალურ სტიქიონზე და მერე გარეშე, მტრულ ძალებზეც.

დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა გავიხსენოთ.

ამ ეპოქაში მოპოვებული გამარჯვება ნათლის სვეტად ადგა მთელი საუკუნეები ქართველი კაცის ნაგვემ-ნატანჯ სულს.

სწორედ ამ ეპოქაში საქართველოს მამამთავრებს აღმოაჩნდათ ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ბალავრად დაედო ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობას, გაძლიერებას და ის წმინდა მიზანი ახევე წმინდა შედეგად გარდაისახა და განსხეულდა.

# ბიძინა აბულაძე და მისი თარგმანები

მიმდინარე წლის 4 იანვარს „ლიტერატურულ საქართველოში" ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ გამოაქვეყნა გრიგოლ რობაქიძის წერილი „გულნადები", რომელშიც, გერმანიაში მოხვედრილ ქართველ ტყვეთა შორის, ნახსენებია მწერალი ბიძინა აბულაძე. ავტორს მიუღია ცნობა, თითქოს იგი საბჭოეთში დაბრუნების შემდეგ ჩამოახრჩვეს. გრიგოლ რობაქიძის აზრით, თუ ეს მოხდა, „მაშინ მისი დაღუპვა ძალიან მტკივნეულად დაურჩება ქართულ მწერლობას".

რადგანაც ქართველი საზოგადოებისათვის ბიძინა აბულაძის სახელი ამჟამად თითქმის უცნობია, გვინდა მივაწოდოთ რამდენიმე ცნობა მის შესახებ.

ბიძინა აბულაძე დაიბადა 1904 წ. სოფელ ზედა საქარაში, მღვდლის ოჯახში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლის დროს იგი გაიტაცა პოეზიამ, დაუკავშირდა მემარცხენე მწერლების ჯგუფს, იყო ფუტურისტთა მანიფესტის ერთ-ერთი ავტორი. მისი ლექსები და ესეები იბეჭდება ჟურნალებში „$H_2SO_4$", „ლიტერატურა და სხვა", „მნათობი"... შემდგომში ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას: იყო გაზეთ „გუდოკის" ამიერკავკასიის სარედაქციო განყოფილების გამგე, „იზვესტიის" საკუთარი კორესპონდენტი, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" პასუხისმგებელი მდივანი, „კომუნისტის" ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე; ომის დაწყებისთანავე ბიძინა აბულაძე ჯარში გაიწვიეს, რედაქტორობდა დივიზიის გაზეთს. 1942 წ., სევასტოპოლთან ტყვედ ჩავარდა. გერმანიაში ქართველმა ემიგრანტებმა იხსნეს საკონცენტრაციო ბანაკიდან, ცხოვრობდა ბერლინში, კარლსბადსა და ვენაში. ტყვედნამყოფ ქართველებთან ერთად ეწეოდა ანტიფაშისტურ საქმიანობას. ამავე დროს აგრძელებდა ლიტერატურულ მოღვაწეობასაც. თარგმნა გოეთეს, შილერის, ჰაინეს, რილკეს, პეტეფის პოეტური ქმნილებები.

ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წ. სამშობლოში მომავალი ბიძინა აბულაძე მოსკოვში დააპატიმრეს და ათი წლით გადასახლება მიუსაჯეს. გერმანიაში შესრულებული თარგმანები, რომლებიც თან მოჰქონდა, ჩამოართვეს: როგორც თვითონ იგონებდა, ამ თარგმანებს დაკითხვის დროს თვალწინ უწვავდნენ. შესაძლებელია თარგმანების ნაწილი მაინც გადარჩა და დღესაც სადღაც ინახება...

გადასახლებიდან ბიძინა აბულაძე 1955 წლის ბოლოს უკვე დაავადებული ბრუნდება, მაგრამ კვლავ აგრძელებს ლიტერატურულ საქმიანობას. მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში" (1963 წლიდან „ლიტერატურა და ხელოვნების") უფროს რედაქტორად, რუსულ ენაზე თარგმნა „სიბრძნე ბალაჰვარისა", „ამირანდარეჯანიანი", ქართულ ენაზე თარგმნიდა ესენინის, მაიაკოვსკის, ბლოკის პოეზიას. მის სიცოცხლეში გამოქვეყნდა „სიბრძნე ბალაჰვარისა" ილია აბულაძის წინასიტყვაობითა და რედაქციით, ხოლო გარდაცვალების შემდეგ — „ამირანდარეჯანიანიც".

ბიძინა აბულაძე ახლობლებთან იშვიათად იხსენებდა ხოლმე გერმანიაში ცხოვრების პერიოდს, უამბნია გრიგოლ რობაქიძესთან შეხვედრების შესახებ, მაგრამ მაშინ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი არ შეიძლებოდა. სამწუხაროდ, არც ჩანაწერები დაუტოვებია.

ბიძინა აბულაძე გარდაიცვალა 1964 წელს.

გთავაზობთ ბიძინა აბულაძის მიერ თარგმნილ რამდენიმე ლექსს.

## სერგეი ესენინი

### საქართველოს პოეტებს

წინათ თუ სწერდნენ
ლექსებს ოქტავით,
ახლა მარხავენ კლასიკურ ფორმას,
მე ავაყენე
ეს მომაკვდავი
და, ვფიქრობ, ძალას შევმატებ ორმაგს.
შორო ქვეყანავ!
უცნობო მხარევ!
ქართულ ლორღიან გზაზე მეც გავწევ,
ქარვისფერ ღვინოდ
ილვრება მთვარე
თვალებში, რომ ჰგავს ღრმა ცისფერ ყანწებს.
თქვენს,
საქართველოს პოეტებო, —
ხსოვნას საამოს
ვაცოცხლებ ახლა
და გისურვებთ კეთილ საღამოს!
ამხანაგებო!
გრძნობათა ღვარით,
კალმით, სიტყვების ხვავით, ბარაქით —
მიყვარხართ, როგორც მჩქუხარე მტკვარი
თქვენი ნადიმით და ლაპარაკით.
თქვენს ჩრდილოელ ძმას
მომეცით ხელი!
პოეტებს სისხლი ერთი გვაქვს ყველას!
მეც ჩემი განცდით
ვარ აზიელი
და ჩემი სიტყვაც
თქვენსავით ელავს
აზრით, ზრახვებით
და საქციელით!
და ამიტომაც
უცხო მხარეში
ახლო არვინ მყავს
მე თქვენს გარეშე!
წალეკავენ წლები
ჟამთა სიმწარეს,
ენებს ექნებათ თავის დინება!...
ისტორიკოსი, შრომას რომ დაწერს,
ტომთა ომებზე გაეცინება.
იტყვის:
— გავსინჯე დროთა ქვიშანი...
ტომს მოუსპია მეორე ტომი,
მაგრამ ასეთიც არის ნიშანი:
პოეტებს როდი ჰქონიათ ომი!
ეს ბრძნული დასკვნა
დარჩება მოწმედ: —
პოეტს პოეტი
ეგულვის მოძმედ!
თვითმპყრობელური რუსეთის წლები
კარგებს ახრჩობდა, სპობდა უკლებლად;
მას საბოლოდ დავეცით მეხი,
ფრთები გაშალა თავისუფლებამ!...
ყველა ჩვენგანი თავისი ერის
ჰანგებს აულერებს, უკრავს ჭიანურს
და თვითეული თვის ტომს უმღერის —
საკუთარ გრძნობებს, ადამიანურს.
დაემხო ბედი დასალონები,
ჩვენ აღარა ვართ მეტად მონები!
თქვენს, —
საქართველოს პოეტებო, —
ხსოვნას საამოს
ვაცოცხლებ ახლა
და გისურვებთ კეთილ საღამოს!
ამხანაგებო!
განცდათა ღვარით,
კალმით, სიტყვების ხვავით, ბარაქით,
მიყვარხართ, როგორც მჩქუხარე მტკვარი,
თქვენი ნადიმით და ლაპარაკით!

## ალექსანდრ ბლოკი

### კლეოპატრა

პანოპტიკუმის ღიაა კარი
აგერ მეორე, მესამე წელიც.
მთვრალ, უზრდელ ბრბოსთან ერთად
ვიჩქარი...

იქ დედოფალი კუბოში გველის.
შუშის კუბოში წევს იგი უტყვად,
არც ცოცხალია თითქოს, არც მკვდარი,
ხალხი საუბრობს აქ მასზე ურცხვად,
გადმოდის ავი სიტყვების ღვარი.
გადაწოლილა იგი ზარმაცად,
სურს დავიწყებას მისცეს ყოველი,
მის ცვილის გულ-მკერდს აუჩქარებლად
გესლავს და შხამავს უხამსი გველი.
მუქი ჩრდილებით თვალების ირგვლივ,
თვით უსირცხვილო და გამყიდველი,
მისთვის მოვსულვარ, რომ ვსჭვრეტდე
პროფილს
და ცვილის მკერდი ვნახო შიშველი.
ყველა გიყურებს ხარბად და მჯერა,
ცარიელი რომ არ იყოს კუბო,
მომესმებოდა მრავალჯერ, ალბათ,
გახრწნილ ბაგეთა ჩურჩული უხმო:
— მიკმიეთ ყველამ! მიფინეთ ვარდი!!!
ერთ დროს, უხსოვარ საუკუნეში
მე ეგვიპტეში დედოფლად გახლდით,
ახლა ცვილი ვარ, მიწა ვარ, ნეშტი...
— ო, დედოფალო, მე ტყვე ვარ შენი!
მე ეგვიპტეში ვიყავი მონა.
ახლა კი ბედის სხვა განაჩენით
პოეტი ვარ და მეფის მაქვს წონა!
— განა კუბოდან დღეს შენ ვერ ხედავ,
რომ გჭვრეტს რუსეთიც, ვით რომი,
ეგეოლით?
რომ ჟამთა სვლაში გამხადა ბედმა
მეც კეისარის სწორი და ტოლი?
დავდუმდი, ვუმზერ: არარა უთქვამს,
და ოდნავ მკერდი შეტოკდა მხოლოდ.
თხელ ქსოვილის ქვეშ შევნიშნე: სუნთქავს,
წყნარი სიტყვებიც მომესმა ბოლოს:
— მაშინ ვაფრქვევდი მეხებს და ელვებს!
და ვაფრქვევინებ, იცოდე, ახლაც:
მთვრალ პოეტს—ცხარე მდუღარე ცრემლებს,
მთვრალ მეძავ ქალებს—სიცილს და
ხარხარს!

### დემონი

მოდი, მომყევი, როგორც მორჩილი
მხევალი — ჩემი ერთგული მუდამ,
სადაც მთის თხემი ჩანს აქოჩრილი,
იქ გადავფრინდეთ მე და შენ უნდა.

მე გადაგავლებ უფსკრულის თავზე,
გამოგაჯავრებ უძირო სიღრმით.
ჩემს შთაგონებას თავზარით სავსე,
წყაროდ ექნება ეგ შენი შიში.

ეთეროვან მტვრის წვიმა-ქარიშხალს
არ მოგაკარებ—ამაოდ კრთები!
ამაოდ შიშობ ხელი გაგიშვა
და არ დაგიცვა კუნთით და ფრთებით!

იმ მთაზე, სადაც არ ძალუძთ ასვლა,
სად თეთრი მდელო ჩანს მოქათქათე,
მე შენს მშვენიერ, ღვთაებრივ ტანსაც
ჯერ არნახული ვნებით ავანთებ.

ო, რა წვრილმანად მოგეჩვენება,
რაც ადამიანს შეუთხზავს ყალბად,
ის მიწიერი ლტოლვა და ვნება,
რასაც შენ ველურს ეძახი ალბათ...

როდესაც მწუხრი დადგება წყნარი,
როცა ჯადოსნურს იგემებ ისარს,
შენ მოისურვებ გაშალო მხარი
და გადაიფრენ უდაბნოს ცისას!

დიახ! აგიყვან მაშინ ამ მკლავით,
ცეცხლოვან ცის თაღს მოგავლებ იმ წამს,
სად დედამიწად მოჩანს ვარსკვლავი,
სად თვით ვარსკვლავად ჩანს დედამიწა.

და საოცრებით დამუნჯებული,
სხვა სამყაროებს იხილავ მაშინ,
დარჩები იმით გაოგნებული,
რაც შექმნილია ჩემი თამაშით.

სისუსტე, შიში რომ აგაღელვებს,
შენ ჩამჩურჩულებ: „გამიშვი, აწი!"
მაშინ მე გავხსნი ნელ-ნელა ხელებს,
გეტყვი ღიმილით: „მაშ კარგი, გასწი!"
ღვთაებრივ ღიმით, ხელთა სავსავით,
არარაობად იქცევი მერე —
და მოწყვეტილი მძიმე ქვასავით
გშთანთქავს ბრწყინვალე სიცარიელე.

## ბორის პასტერნაკი

●

სანამ ჩვენ ერთად ვებლაუჭებით
კავკასიონის შემხუთველ ჩარჩოს,
სანამ შემომტევ მტკვარს ეურჩება
არაგვი, მთები რომელსაც ახრჩობს.
გაიკრიალეს აგვისტოს თაღში
თავმოკვეთილთა მხოლოდ ხორხებმა,
რომ მათი ხმელი ადამის ვაშლით
ჩვენ დასჯილ კოშკთა ვსცნათ აოხრება,

სანამ თავი მაქვს გადაგრეხილი
და ვუკვირდები კოშკებს ქვებიანს,
ვით გასცურავენ ცაზე ელვისებრ,
მერე უფსკრულში იძირებიან;
სანამ თელნარებს სცვლიან ხუჭუჭებს
წამოქოჩრილნი ბუჩქნი სიწყნარით —
რას მიკარნახებ? რას მიჩურჩულებ?
კავკასიონო, რა ვქნა? მითხარი,

შენი მოხვევის არ ყოფნის ძალა
ათას კაცს, ნეტავ რითი მძვინვარობ?
სად თვალს წარბის ქვეშ ეგრე რომ მალავ,
რა გეცინება, — მითხარ, მყინვარო!

გააქვს სლოკინი მწვერვალზე გულსაც,
სად საცეცხლურებს აკმევს მთებია,
ნუთუ გგონია, შენ, შორეულსა,
ჩემთვის არაფრით გიამებია?

ნუთუ ახლა მაგ შორეულ მხარეს,
სად ალპებს ასე გააქვს ჭახუნი,
შენ არაფერი აღარ გახარებს
და ცოდვა გაწევს ჯერ არნახული?

დღეთა მორევში ვარ დანაკარგი,
ისე მაგორებს კორიანტელი,
რომ მიჯობს ჩემი გამოვჭრა თარგი,
ვიდრე მდინარე ვჭრა მაკრატელით.
ნუ გეშინია სიზმრის, ნუ წვალობ,
მიყვარხარ, ვფიქრობ, ვიცი ყოველი:
მდინარეებსაც ველარ ჰყრის, ქალო,
დღევანდელ ყოფის მკაცრი ქსოვილი.

---

რედაქციისაგან: ბიძინა აბულაძის ბიოგრაფიული ცნობები და მის მიერ თარგმნილი ლექსები გადმოგვცეს მთარგმნელის შვილებმა ლია და გურამ აბულაძეებმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როდის გაათავისუფლა დავით აღმაშენებელმა თბილისი?

გოჩა ჯაფარიძე



მუსლიმთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობიდან თბილისის განთავისუფლება დიდი ხანია მზადდებოდა. ამისათვის თავგამოდებით იბრძოდა ბაგრატ IV, მაგრამ მხოლოდ მისმა შვილიშვილმა, დავით IV აღმაშენებელმა, უდიდესმა და უბრწყინვალესმა ქართველ მეფეთაგან, შესძლო აღესრულებინა ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება.

იოლი არ იყო დედა-სამშობლოსთან თბილისის დაბრუნება. ისლამური სამყაროსგან იზოლირებულ თბილისში გაბატონებული მუსლიმები თავგანწირვით იბრძოდნენ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და ამ მიზნით ყველა ხერხს ხმარობდნენ. ის, რომ 1121 წელს საქართველოში შემოიჭრა თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი ნაჯმ ად-დინ ილღაზის მეთაურობით, თბილისელ მუსლიმთა „დამსახურებაც" იყო.

1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორში მოხდა „ძლევაჲ საკვირველი". დავითმა გაანადგურა მრავალრიცხოვანი მტერი. ამიერიდან აღარ რჩებოდა რაიმე გარეშე სერიოზული ძალა, რომელიც ხელს შეუშლიდა მეფეს აეღო თბილისი. დავით აღმაშენებელი მაქსიმალურად იყენებდა ქვეყნის საკეთილდღეოდ ხელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებას. თავისი შანსი მან არც ახლა გაუშვა ხელიდან.

დიდგორის ბრძოლის შემდეგ მეფე შემოეწყო თბილისს — ძლიერსა და მტკიცედ გამაგრებულ ქალაქს. გარემოცვა დიდ ხანს გაგრძელდა. ქალაქზე გადამწყვეტი იერიში, ალბათ, იყო მძიმე და სისხლისმღვრელი. ამით აიხსნება ის, რომ ძლევამოსილმა დავითმა თავდაპირველად სასტიკად გაუსწორა ანგარიში ქალაქის დამცველებს. არ აპატია მათ ბრძოლაში დაცემული მრავალი ქართველის სიცოცხლე. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ რამდენიმე დღის შემდეგ იგი მოლბა და დიდი უფლებებიც უბოძა თბილისელ მუსლიმებს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოკლედ მოგვითხრობს, რომ დიდგორის ბრძოლიდან „მეორესა წელსა... აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი პირველსავე ომას". ეს მეორე წელი კი იყო „ქორონიკონი სამას ორმოცდაორი" (ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, გვ. 342). ამ მონაცემებით, თბილისის განთავისუფლება მოხდა 1122 წელს და ეს თარიღი, რომელიც უტყუარია, საყოველთაოდ არის მიღებული მკვლევართა მიერ.

სამწუხაროდ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რომელ თვესა და რომელ რიცხვში აიღო ქართველთა მეფემ თბილისი. მისი ძუნწი ცნობა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ მხოლოდ ამ ამბის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი.

თბილისი, როგორც ითქვა, განთავისუფლდა ქორონიკონის 342 წელს. აკად. კ. კეკელიძე წერდა, რომ 532 წლიანი ქორონიკონის ურყევი საფუძველია 1 მარტი. მარტის წელიწადი, როგორც სამოქალაქო, საქართველოში შემოვიდა დაახლოებით IX საუკუნის პირველი მეხუთედიდან და არსებობდა X საუკუნის მეორე ნახევრამდე. ამ დროიდან ის ხმარებიდან იდევნება იანვრის წელიწადით (კ. კეკელიძე. ძველი ქართული წელიწადი. „ეტიუდები", ტ. 1, თბ., 1956, გვ. 121, 128). მკვლევარი მიუთითებდა, რომ მარტი დარჩა მხოლოდ ქორონიკონური წელიწადის საფუძვლად და სამისო მაგალითებიც მოჰყავდა. მაგრამ, ასევე არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ იმის საილუსტრაციოდ, როცა ქორონიკონური წელი შეესაბამებოდა ჩვენი ერის წელიწადს, ე. ი. აითვლებოდა იანვრიდან (ვ. გუჩუა. ქრონოლოგიური შენიშვნები. კრ. „საქართველო და აღმოსავლეთი", თბ. 1984, გვ. 102). რომელი თვიდან იწყებდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ქორონიკონურ წელს? ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს მემატიანის ერთი ცნობა: დავითი აღესრულა ქორონიკონის 345-ს, 24 იანვარს, შაბათ დღეს („ქართლის ცხოვრება", I, გვ. 362). 24 იანვრის შაბათი მოდის 1125 წელზე. ქორონიკონი რომ მარტიდან ათვლილიყო, მაშინ დავითის გარდაცვალების თარიღი იქნებოდა 344 და არა 345 წელი. მაშასადამე, ქორონიკონური წლის დასაწყისად დავითის ისტორიკოსი იღებს იანვრის თვეს. აქედან გამომდინარე, 1122 წლის იანვარი არის თბილისის განთავისუფლების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი.

მუსლიმთა ბატონობიდან თბილისის გამოხსნის ზედა ქრონოლოგიური ზღვრის დასადგენად საჭიროა მივმართოთ უცხოურ წყაროებს.

მუსლიმთა კოალიციაზე ქართველთა გამარჯვებამ 1121 წელს, შემდეგ კი თბილისის აღებამ, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ინდოეთიდან ისლამურ სამყაროზე. ეს გასაგებია. დიდგორში მარცხი განიცადა სახელგანთქმულმა, დიდების ზენიტში მყოფმა ართუკიანმა ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზიმ, რომელმაც ორიოდე წლით ადრე სირიაში გაანადგურა ჯვაროსანთა ლაშქარი როჟერ ანტიოქიელის მეთაურობით. ილღაზი იყო მუსლიმთა მთავარი იმედი ჯვაროსნებთან და ქრისტიანულ საქართველოსთან მომავალ ომებში „შემოქმედის შემდეგ შენ ხარ საყრდენი" — ასე მიმართავდა მას სახოტბო ლექსში ერთი არაბი პოეტი და დავითმა ეს საყრდენი მუსლიმებს გამოაცალა, მათი იმედები გაუცამტვერა. რაც შეეხება თბილისს, ოთხასწლიანი ბატონობის შემდეგ მუსლიმები მას უკვე საკუთარ ქალაქად მიიჩნევდნენ. მისი დაკარგვა ძალზე მწარე აღმოჩნდა და დიდ ხანს მოუშუშებელ ჭრილობად დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებელი და მისი მემკვიდრეები ტოლერანტულ პოლიტიკას ახორციელებდნენ თბილისის მუსლიმებისადმი, ისინი მაინც ძველ დროებას მისტიროდნენ და ოდინდელი პოზიციების აღდგენაზე ოცნებობდნენ.

დიდგორის ბრძოლამ და თბილისის აღებამ შორს გაუთქვეს სახელი დავით აღმაშენებელს. ამ გამარჯვებათა წყალობით მისი სახელი შევიდა არაბულ მატიანეებში. XII საუკუნის ერთი ანონიმი არაბი ისტორიკოსი ავტორი თხზულებისა „ბუსთან ალ-ჯამი" საგანგებოდ იხსენიებს დავითის გარდაცვალებას და აღნიშნავს, რომ ის იყო ქართველთა მეფე, რომელმაც დაიპყრო თბილისი (ჟურნ. „ბიულეტენ დ' ეტიუდ ორიანტალ", ტ. VII-VIII, დამასკო, 1938, გვ. 118).

დიდგორის ბრძოლისა და თბილისის აღების შესახებ მრავალი არაბი და არაბულენოვანი ავტორი წერდა. ზოგი დაწვრილებით, ზოგიც — გაკვრით. მაგრამ ამ ამბების თარიღს ყველა ერთნაირად არ ასახელებს. ასე, მაგალითად, XIII ს. I ნახევრის ისტორიკოსი მუჰამედ ალ-ჰამავი ქართველთა გამარჯვებას მუსლიმებზე და თბილისის აღებას ჰიჯრის 516 წლით ათარიღებდა (თარიხ ალ-მანსური. პ. ა. გრიაზნევიჩის გამ. მოსკოვი, 1960, გვ. 78ა). ეს წელი დაიწყო ჩვენი ერით 1122 წლის 12 მარტს და დასრულდა 1123 წლის 29 თებერვალს. აღნიშნული თარიღი დიდგორის ბრძოლისთვის არაზუსტია და არც თბილისის აღებისათვის დასტურდება უფრო ზანდო სხვა არაბული წყაროებით.

იბნ ალ-ასირი (გარდ. 1233 წ.), რომელმაც ჩვენთვის უცნობ წყაროზე დაყრდნობით უაღრესად ორიგინალური ცნობები დაგვიტოვა დიდგორის ბრძოლის შესახებ, წერს, რომ ის მოხდა ჰიჯრის 514 წელს. გამარჯვების შემდეგ ქართველები შემოეწყვნენ თბილისს. ალყა გაგრძელდა 515 წლამდე და საბოლოოდ ისინი ქალაქს დაეუფლნენ ძალით (ალ-ქამილ ფით-თარიხ. ტ. X, ბეირუთი, 1966, გვ. 567). ჰიჯრის 514 წელი დაიწყო 1120 წლის 2 აპრილს და დასრულდა 1121 წლის 21 მარტს. დიდგორის ბრძოლისთვის ეს თარიღი არაზუსტია. 515 წელი დაიწყო 1121 წლის 22 მარტს და დასრულდა 1122 წლის 11 მარტს. თუ იბნ ალ-ასირის ცნობას ზუსტად ისე გავიგებთ, როგორც ის იძლევა, მაშინ ალყა გაგრძელებულა 515 წლის დასაწყისამდე, ე. ი. 1121 წლის მარტ-აპრილის თვეებამდე, რაც ასევე არ შეეფერება სინამდვილეს. მაგრამ თავისი თხზულების სხვა ადგილზე არაბი მემატიანე რაიმე დაკონკრეტების გარეშე გვთავაზობს 515 წელს და იმავე თარიღს ასახელებენ XII ს. არაბი ისტორიკოსებიც: ალ-აზიმი, იბნ ალ-კალანისი და ალ-ფარიკი. **ამ მონაცემით კი სრულიად აშკარაა, რომ მუსლიმთა ბატონობიდან თბილისის განთავისუფლების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ვერ გასცდება 1122 წლის 11 მარტს.**

1122 წლის 1 იანავრიდან 11 მარტამდე 71 დღეა. ამ მონაკვეთის კიდევ უფრო შემცირების საშუალებას იძლევა არაბი ისტორიკოსი **ალ-ფარიკი** (გარდ. 1181 წლის შემდეგ). მკვლევართათვის ეს სახელი კარგად არის ცნობილი, მაგრამ ფართო მკითხველისთვის, ვფიქრობ, საჭიროა ზოგიერთი ცნობის მოტანა ამ ავტორისა და მისი თხზულების შესახებ.

იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი იყო დიარ-ბაქრის (ჩრდილოეთ მესოპოტამია) ქალაქ მაიაფარიკინის მკვიდრი. ის ბევრს მოგზაურობდა და 1154 წელს ესტუმრა საქართველოსაც, სადაც შევიდა დემეტრე I-ის სამსახურში და მეფესთან ერთად მოიარა ჩვენი ქვეყანა. ალ-ფარიკიმ დაგვიტოვა უაღრესად საინტერესო ნაშრომი მშობლიური ქალაქის წარსულზე — „მაიაფარიკინის ისტორია", რომელიც შეიცავს, აგრეთვე, მრავალ ცნობას საქართველოს ისტორიის შესახებაც. ავტორი სხვა ამბებთან ერთად ვრცლად ეხება დიდგორის ბრძოლას და დავითის მიერ თბილისის აღებასაც. მთლიანად „მაიაფარიკინის ისტორია", რომელმაც ჩვენამდე მოაღწია ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ვრცელი (Or.5803) და მოკლე (Or.6310) ნუსხებით, დღემდე გამოუცემელია. მიზეზი ამისა არის ის, რომ აღნიშნული ნუსხები დაწერილია ცუდი ხელით, ხშირად დიაკრიტული ნიშნების გარეშე. რაც აძნელებს მათ წაკითხვასა და ტექსტის დადგენას. რამდენიმე ცდა მისი გამოცემისა წარუმატებლად დასრულდა. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ალ-ფარიკის ინფორმაციამ უკვე დიდი ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება.

ამ საუკუნის დასაწყისში ინგლისელმა ორიენტალისტმა ჰ. ამედროზმა ალ-ფარიკის ცნობები დამატების სახით დაურთო იბნ ალ-კალანისის „დამასკოს ისტორიას" (ბეირუთი, 1908). ამედროზი ეყრდნობოდა არაბი ავტორის თხზულების ვრცელ ნუსხას. 1949 წელს დიდმა ქართველმა მეცნიერმა აკად. გიორგი წერეთელმა თავის „არაბულ ქრესტომათიაში" დაბეჭდა ალ-ფარიკის ის ცნობები, რომლებიც ეხება დიდგორის ბრძოლასა და თბილისის აღებას. გ. წერეთელი იყენებდა „მაიაფარიკინის ისტორიის" როგორც ვრცელ ისე მოკლე ნუსხას. იგივე ცნობები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ინგლისურად — ვ. მინორსკისა და ქართულად — ეთერ სიხარულიძის მიერ (ალ-ფარიკი საქართველოში. „სემიტოლოგიური ძიებანი". II, თბ., 1985, გვ. 83-91).

ალ-ფარიკი. როგორც ზემოთ აღინიშნა, თბილისის აღების თარიღად ასახელებს 515 წელს. ასეა მისი თხზულების ვრცელ ნუსხაში, რომელსაც იყენებდნენ მინორსკი და სიხარულიძე. მინორსკი იცნობდა მოკლე ნუსხასაც, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლომდე არ გაუთვალისწინებია ის.

ალ-ფარიკის „ისტორიის" მოკლე ნუსხა ვრცელთან შედარებით არცთუ იშვიათად, დამატებით საინტერესო დეტალებს შეიცავს, სწორედ ამ ნუსხაში, რომელიც გათვალისწინებულია გ. წერეთლის „არაბულ ქრესტომათიაში" (გვ. 70-71) წერია, რომ დავითმა **თბილისი დაიკავა 515 წლის მიწურულს.** გ. წერეთლის „ქრესტომათიით" მრავალი თაობის არაბისტი სწავლობდა არაბულს. მაგრამ მოხდა ისე, რომ თბილისის აღების ამ მნიშვნელოვნად დაკონკრეტებული თარიღისათვის მკვლევარის თვალით არავის შეუხედავს. წინაალმდეგ შემთხვევაში ის აუცილებლად აისახებოდა დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურაში. მეც შედარებით გვიან მივაქციე მას ყურადღება და გამოვიყენე კიდევაც გასულ წელს ბატონ როინ მეტრეველის რედაქტორობით გამოცემულ კრებულში „დავით აღმაშენებელი" (გვ. 225, შენ. 99).

515 წლის მიწურული გულისხმობს ამ წლის უკანასკნელ თვეს ზუ ლ-ჰიჯას. ის დაიწყო 1122 წლის 10 თებერვალს და დასრულდა 11 მარტს. ამდენად, ალ-ფარიკის ახლადმოპოვებული ცნობა აზუსტებს თბილისის განთავისუფლების თარიღს. **არაბი მემატიანის თანახმად, ეს ამბავი მოხდა არა უადრეს 10 თებერვლისა და არა უგვიანეს 11 მარტისა.**

შეიძლება თუ არა კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ ეს 31 დღიანი მონაკვეთი? დასმულ კითხვაზე დადებითად ვუპასუხებთ. ამის საშუალებას გვაძლევს XII საუკუნის I ნახევრის სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი. მის „ჟამთააღმწერლობაში" აღნიშნულია, რომ დიდგორის ბრძოლა და თბილისის განთავისუფლება მოხდა ერთსა და იმავე 570 წელს სომხური ერით (ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ. 1966, გვ. 243-45).

სომეხი მემატიანის თხზულების ფრანგულ ენაზე პირველი მთარგმნელი მ. ე. დულორიე მიუთითებდა (პარიზი, 1858, გვ. 303), რომ 570 წელი სომხური ერით დაიწყო **1121 წლის 19 თებერვალს და დასრულდა 1122 წლის 18 თებერვალს.** ამასვე აღნიშნავს ჰ. ბართიკიანიც, რომელმაც ახალ სომხურ ენაზე თარგმნა ეს ნაშრომი (ერევანი, 1973, გვ. 233).

**ამრიგად, მათე ურჰაელის ცნობით დგინდება, რომ თბილისის განთავისუფლების ზედა ქრონოლოგიური ზღვარია 1122 წლის 18 თებერვალი.**

მათე ურჰაელმა და ალ-ფარიკიმ ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად მოიპოვეს თავიანთი ინფორმაცია თბილისის განთავისუფლების შესახებ (ერთმა ედესაში, მეორემ — საქართველოში) და ეს ამბავი სხვადასხვა ერით დაათარიღეს. დროის ათვლის პრინციპი მათ კალენდრებში განსხვავებულია, მაგრამ თუ სომეხი და არაბი მემატიანეების ცნობებს შევაპირისპირებთ, ვნახავთ, რომ მათი მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა 9-დღიან მონაკვეთში: 1122 წლის 10 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით.

**სწორედ ეს 9-დღიანი მონაკვეთი—1122 წლის 10-18 თებერვალი არის ის დრო, როცა ჩვენი დასკვნით, დავით აღმაშენებელმა მუსლიმთა ბატონობიდან გაანთავისუფლა თბილისი.** მისი უფრო დაზუსტება-დაკონკრეტება სამწუხაროდ აღარ ხერხდება.

ამრიგად, 1122 წლის თებერვლის შუა რიცხვებში დავით აღმაშენებელმა თბილისი თავის კანონიერ მფლობელს — ქართველ ხალხს დაუბრუნა. ერთ დროს ქართლის (იბერიის) სატახტო ქალაქი, შემდეგ კი არაბული საამიროს ცენტრი ერთიანი საქართველოს დედაქალაქი გახდა. მემატიანის ლაკონური, მაგრამ ტევადი ფრაზით დავითმა თბილისი **„ოთხას წელ ქონებული სპარსთა... დაუმკვიდრა შჳლთა თჳსთა საჰურჰლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ".**

**ავტორის მინაწერი:**

მრავალი ავბედითი დღე ახსოვს საქართველოს და მის დედაქალაქს. ასეთი იყო 1921-ის თებერვალიც. მაგრამ, როგორც ვნახეთ, თებერვლის თვე სიხარულის მომტანიც ყოფილა ჩვენი ერისთვის. შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ აფრიალდა 1122 წლის შუა თებერვალში თბილისის კალაზე და ამირების ყოფილ რეზიდენციაზე ქართული დროშები. როგორ ჰკრეს ძელს გამარჯვების აღსანიშნავად ქალაქში შემორჩენილ ეკლესიებში. როგორ აუწყეს ელვის სისწრაფით მალემსრბოლებმა სრულიად საქართველოს დავითის ახალი „ძლევაჲ საკვირველი". შეიძლება წარმოვიდგინოთ მეფისა და ერის განწყობა და ერთობა. მას შემდეგ 869 წელი გავიდა. თბილისის განთავისუფლების მნიშვნელობა შეაფასეს ისტორიკოსებმა, მაგრამ ის არ არის სათანადოდ დაფასებული საზოგადოების მიერ. ხომ არ დადგა დრო, რომ დავაწესოთ **დღე მოსაგონარი** იმ უცნობი ქართველი მეომრებისა, რომლებმაც დასავლეთის მხრიდან პირველებმა შეანგრიეს თბილისის ზღუდე და თავი დასდეს ქალაქის განთავისუფლებისათვის? ხომ არ დადგა დრო, რომ დავაწესოთ **დღე, პირობითად 14 თებერვალი,** როცა საზეიმოდ აღინიშნება თბილისის განთავისუფლებისა და გადედაქალაქების თარიღი?

# ვუშველოთ ქართულ კინემატოგრაფიას

**გივი ჩხიკვიშვილი**

ნაცნობი სიუჟეტია. მიზანი საერთო. სადავოც თითქმის არაფერია, კინკლაობა კი გაუთავებელი. თითქოს გავლენიანი ავტორის შაბლონური სცენარით დადგმულ მორიგ კინოსურათს ვესწრებით. ტრიალებს კინოაპარატი...

ეროვნული კინემატოგრაფია დაუყოვნებლივ შველას ითხოვს და ქართველი კინორეჟისორებიც დაირაზმნენ... კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის რეზო ჩხეიძის „საშველად“.

კოლეგების თანადგომა გასაგები იქნებოდა, ვინმეს კინორეჟისორ რ. ჩხეიძეზე „თავდასხმა“ რომ განეზრახა. გაუგებრობას იწვევს, როცა კინორეჟისორები კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის სავარძელს იცავენ.

ჭეშმარიტ პროფესიონალებს: თენგიზ აბულაძეს, ელდარ შენგელაიას, ლანა ღოღობერიძეს, ნოდარ მანაგაძეს, ქეთო დოლიძეს და სხვებსაც კარგად მოეხსენებათ ქართული კინემატოგრაფიის სატკივარი.

განა მათ შეძლეს საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაცია?

ეს შეუძლებელი იყო უმკაცრესი ცენზურის, ჩამორჩენილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამისდროინდელი აპარატურისა და ფირის ქრონიკული უქონლობის და ა. შ. გამო.

კინოსტუდიის ადმინისტრაციასთან შეხვედრაზე, სადაც უჩვეულო ოპერატიულობით და ორგანიზებულობით მოიყარა თავი კინემატოგრაფიულმა ელიტამ, საქართველოს კულტურის მინისტრმა ბატონმა ნოდარ წულეისკირმა მეტად ტაქტიანად აღნიშნა რეზო ჩხეიძის დამსახურება ქართველ კინემატოგრაფიაში.

რეზო ჩხეიძის, როგორც კინორეჟისორის, დამსახურებაზე შეიძლება განსხვავებული აზრი არსებობდეს. მისი, როგორც კინოსტუდიის დირექტორის, „ღვაწლი“ კი ნათლად აისახა ქართული კინოს კრიზისში.

მინისტრს არ უთქვამს, რომ თავისუფალ, ცივილიზებულ ქვეყნებში კინორეჟისორები კინოსტუდიების დირექტორებად არ გვევლინებიან.

კინორეჟისორები კინოფილმებს იღებენ, დირექტორები — კინოწარმოებას ხელმძღვანელობენ.

შეუძლებელია ერთდროულად კინორეჟისორიც იყო და კინოსტუდიის დირექტორიც. ან ერთი, ან მეორე! ასეთი შეთავსება მხოლოდ საბჭოურ კინოსისტემაში იყო შესაძლებელი.

კინორეჟისორებს არ მოეწონათ, რომ საქართველოს კულტურის მინისტრმა დანიშვნისთანავე გამოსცა ბრძანება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეორგანიზაციის შესახებ და ეს გაბედა მათი აზრის გაუთვალისწინებლად. თურმე კინორეჟისორებს საკუთარი აზრი ჰქონიათ კინოსისტემის რეორგანიზაციაზე. თუ ეს ასეა, იბადება კითხვა: ამდენ ხანს სად იყავით, თქვე დალოცვილებო?

ეგრეთ წოდებული, „გარდაქმნის“ პროცესი უკვე მეექვსე წელია მიმდინარეობს, მაგრამ ეროვნულ კინემატოგრაფს სასიკეთო ცვლილებები არ დასტყობია. ფაქტიურად უცვლელი დარჩა როგორც ცენტრის, ასევე ადგილობრივ ფუნქციონერთა დიქტატი.

„დიქტატისგან“ თავის გათავისუფლება კი მაშინ მოინდომეთ, როცა ხელისუფლების სათავეში ეროვნული მთავრობა მოვიდა?

შეხვედრაზე ისიც ითქვა, რომ კინოსტუდია უკვე 15 წელია(!) მოსკოვიდანაც კი არ ღებულობს ბრძანებას...

ამგვარი აღიარებით კოლეგებმა ცუდი სამსახური გაუწიეს კინოსტუდიის დირექტორს, რადგან უარყვეს ცენტრის დიქტატი და ამით ყველა ცოდვა მას გადააბრალეს.

მხოლოდ ყოფილ დირექტორს ნუ გავიმეტებთ სამისოდ. იგი საბჭოთა კინემატოგრაფიის ბიუროკრატიული აპარატის ადგილობრივი ფუნქციონერი გახლდათ და მოსკოვის დიქტატს ვერ გაექცეოდა.

„კინო მასობრივი აგიტაციის საუკეთესო საშუალებაა“, — ლენინის ლოზუნგით დარაზმული საბჭოთა „კინოაპარატი“ იმდენად გაფართოვდა, რომ რაოდენობრივად გადააჭარბა უშუალო მწარმოებლებს (ფილმის შემქმნელებს).

პოლიტიკური სიფხიზლის გამოჩენა და მოჩვენებითი კეთილდღეობის ილუზიის შექმნა იყო მრავალრიცხოვან კონტროლიორ-ცენზორთა მთავარი ამოცანა.

ვის-ვის და კინორეჟისორებს კარგად მოეხსენებათ, რომ შემოქმედებით თავისუფლებას ანუ „იდეოლოგიურ დივერსიას“, თავად საბჭოური კინემატოგრაფიის ცენტრალიზებული სტრუქტურა გამორიცხავდა.

კინოფილმის სცენარს ჯერ კინოსტუდიის, შემდეგ რესპუბლიკური კინოკომიტეტის და ბოლოს საკავშირო კინოკომიტეტის მკაცრი გამოცდა უნდა გაევლო.

ფილმის გადაღების დამთავრების შემდეგ ეს ინსტანციები ხელმეორედ, დაკანონებული თანმიმდევრობით წყვეტდნენ მისი ეკრანული ცხოვრების ბედ-იღბალს!

მრავალსაფეხურიანი კონტროლი ნაკლებად ემსახურებოდა ფილმის მხატვრული ღირსებებისა და ეკონომიკური შემოსავლის უზრუნველყოფას. იგი ძვირად დაუჯდა საბჭოთა კინემატოგრაფიას.

შემოქმედებით დანაკარგს მატერიალური დანახარჯიც ემატებოდა. იდეოლოგიურ-გეგმიური (!) კინემატოგრაფია ხშირად სახელმწიფო გეგმასაც ვერ ასრულებდა.

მოსკოველი ბიუროკრატების თამადობით უმზადებდნენ ქართველი ფუნქციონერები უმძიმეს განსაცდელს ეროვნულ კინემატოგრაფიას. მათი ერთობლივი „მოღვაწეობის“ შედეგად ქართული კინო დამოუკიდებელი არსებობის უნარს ჰკარგავდა.

საკავშირო და ადგილობრივი აპარატის გავლენიანი წარმომადგენლები ქართული კინოს პრობლემებზე, ხვალინდელ დღეზე ფიქრით თავს არ იტკიებდნენ.

ძნელი დასაჯერებელია, რომ საქართველოს კინემატოგრაფიულ ელიტას შეგნებული არ ჰქონდეს ყავლგასული სისტემის საფუძვლიანი რეორგანიზაციის აუცილებლობა.

კინოსტუდიის კინოსაწარმოდ გარდაქმნა და მმართველობის ახალი ფორმის შემუშავებამდე ადმინისტრაციული საბჭოს შექმნა კანონზომიერი ნაბიჯია ამ გზაზე.

საოცარია, მაგრამ მმართველობის დემოკრატიულმა და პასუხისმგებლობის კოლექტიურმა ფორმამ, რაც საეტაპო აუცილებლობაა, ქართველი კინორეჟისორების მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

კინორეჟისორებმა წარმოუდგენლად (?) მიიჩნიეს კინოსტუდიის კოლექტიური ხელმძღვანელობა. წამოიჭრა საკითხი — შემოქმედებით კოლექტივს მიეცეს უფლება თავად აირჩიოს ხელმძღვანელი!..

უფლების ხელყოფა რა შუაშია, როცა საქმე, შემოქმედებითი და საწარმოო პროცესების გამიჯვნას, კინოსტუდიის კინოსაწარმოდ გარდაქმნასა და კინოფილმის გადაღებისათვის სასიკეთო პირობების შექმნას ეხება?

ცხარე კამათში ეს უბრალო კითხვა არავის გახსენებია. დაივიწყეს, რომ ცივილიზებული ქვეყნების კინემატოგრაფიაში ფინანსური, ტექნიკური და შემოქმედებითი ძალების მექანიკური გაერთიანება კარგა ხანია უკვე დაუშვებლად მიაჩნიათ. მით უფრო, ერთი პიროვნების, თანაც კინორეჟისორის ხელში.

რამ გამოიწვია გაუგებრობა? სიტუაცია დაძაბა 4 იანვრის ბრძანებით კინოსტუდიების „ქართული ფილმისა“ და „მემატიანის“ დირექტორების თანამდებობის გაუქმებამ, ახალი პარტიის გამარჯვებასთან ძველი ხელმძღვანელის გადადგომის მოთხოვნამ.

გამოითქვა მოსაზრება, რომ კინოსტუდიის დირექტორის, კინორეჟისორ რეზო ჩხეიძის თანამდებობიდან გადაყენება „პოლიტიკური ანგარიშსწორებაა“.

ეს ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ რ. ჩხეიძე პარიტეტულ საწყისზე ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული საბჭოს წევრად დატოვეს.

პოლიტიკურის რა მოგახსენოთ, როცა კინოსტუდიის ყოფილ დირექტორთან კინემატოგრაფიული ანგარიშსწორებაც არავის მოსვლია აზრად.

არადა, ანგარიშგების საჭიროებას ვერავინ უარყოფს, რადგან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ და კინოკომიტეტის ხელმძღვანელებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს ქართული კინოს არნახულ ალმავლობაზე მითის გასავრცელებლად.

ეროვნული კინოს ავტორიტეტის გაზვიადება პიროვნული ავტორიტეტის მოხვეჭის შესაძლებლობას იძლეოდა.

მოსახვეჭი მოიხვეჭეს, მაგრამ ქართულ კინოს ისეთი ნაკლი გაუჩინეს, რომელიც თვით მის არსებობასაც კი უქმნის საფრთხეს.

საოცარია, მაგრამ მწვავე პოლემიკაში, რომელიც ხელოვნურად წარმოქმნილ კონფლიქტს მოჰყვა და უკვე რამდენიმე თვეა „მძვინვარებს“ რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე, სწორედ მთავარი და არსებითი იქნა დავიწყებული.

თავისთავად მრავლისმთქმელი ფაქტია, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ კინოფილმების წარმოებაზე დახარჯული ასი მილიონი მანეთიდან ლომის წილი თავად კინოსტუდიის დირექტორის შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის იქნა დაბანდებული.

რ. ჩხეიძეს ამ მხრივ პირველობას ვერავინ შეეცილებოდა და იგი საგრძნობი უპირატესობით ედგა სათავეში „ძვირფას“ რეჟისორთა იმ ათეულს, რომელზეც მთლიანი თანხის (100 მილიონის) მესამედზე მეტია გაღებული.

დაგვიანებულია და აზრი არა აქვს იმაზე მსჯელობას: ვინ რამდენი და რატომ დახარჯა. კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გამეფებული ატმოსფერო გამონაკლისი არ ყოფილა ჩვენი გუშინდელი ცხოვრების წესიდან, როცა კომუნისტური იდეოლოგიით შენიღბული მაფიური კლანები განაგებდნენ ყველა სფეროს, მათ შორის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებსაც.

არც მხატვრულად უსუსური ფილმის „მშობლიურო ჩემო მიწავ!“ გარშემო ატეხილი აურზაური მატებს რამეს ეროვნულ კინემატოგრაფიას.

პოლემიკის ამგვარ ჩარჩოებში მოქცევამ განაპირობა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (9 მარტი, 1991) გამოქვეყნებული წერილის „ცოტა არ იყოს, მეშინია...“ მცდარი პათოსიც. კინორეჟისორი ბ. ჩხეიძე საჯაროდ აცხადებს:

„ალბათ ჩემი დანაშაული იმაშია, რომ რეზო ჩხეიძის ვაჟად დამბადა ღმერთმა და ეტყობა არც იმის დავიწყება სურთ ზოგიერთებს, რომ თამრიკო ჩხეიძე დაა ჩემი! ვარ განათლებით კინორეჟისორი, ვმუშაობ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, იქ, სადაც სხვა ჩემი კოლეგები მუშაობენ! დიახ, ჩვენს ქვეყანაში ესეც შეიძლება იყოს დანაშაული (?!) და საერთოდ კინემატოგრაფიის სამმართველოს განცხადებას პირადი ანგარიშსწორების, პოლიტიკური ავანტურიზმის სუნი უდის, რაც ასე შეუთავსებელია საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას მრავალგზის განცხადებასთან, რომელიც მოგვიწოდებს ეროვნული თანხმობისა და ურთიერთობისაკენ“.

„ფრთხილად ბატონებო, ასე იწყებოდა 1937 წელი“ — პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ფრაზასაც იშველიებს „ცოტა არ იყოს, მეშინიას...“ ავტორი.

უნდა დავამშვიდოთ „შეშინებული“ კინორეჟისორი, 1937 წელი საქართველოში მხოლოდ იმ შემთხვევაში განმეორდება, თუ ჩვენში ისევ აღსდგება კომუნისტური რეჟიმი.

ღმერთმა დაგვიფაროს ამგვარი ბედუკუღმართობისგან! სხვა მხრივ, ძნელი დასადგენია, რა კავშირი აქვს 1937 წელს დღევანდელ საქართველოსთან და, მითუმეტეს, ეროვნული კინემატოგრაფიის რეორგანიზაციასთან?

მამის და დის, ანდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მუშაობის გამო კინორეჟისორი ბ. ჩხეიძე არავის დაუდანაშაულებია. გაუგებარია, საიდან და როგორ აუვიდა „საერთოდ კინემატოგრაფიის სამმართველოს განცხადებას პირადი ანგარიშსწორების, პოლიტიკური ავანტურიზმის სუნი“.

„მაპატიეთ, ძვირფასო მკითხველო, ასეთი შედარებისთვის, მაგრამ გამოდის, რომ ის უბედურება და ნაკლი, რომელიც დღეს ბლომად არსებობს ჩვენს კინემატოგრაფიაში, თურმე იმაში მდგომარეობს, რომ კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ ჰყავს დირექტორი (არყის ბოთლის არ იყოს), „დემოკრატიულ პრინციპზე აგებული საბჭო“ გვჭირდება, ავირჩევთ და ჩვენი გასაჭირიც ნელ-ნელა გაიფანტება“.

როცა შვილი მამის დასაცავად „მახვილგონიერად“ იშველიებს გორბაჩოვის არყის საწინააღმდეგო კომპანიას, რა თქმა უნდა, მოზომილ სიტყვას ვერ მოვთხოვთ.

მამა-შვილური გრძნობის პატივისცემით ამჯერად თავი ავარიდოთ პოლიტიკურ პოლემიკას და დავაიმედოთ თავგამოდებული მემკვიდრე, რომ ქართული კინოს მონაპოვარის ხელყოფა არავის მოსვლია აზრად.

ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ გადავვარდებით, მაგრამ დღეს მაინც მოგვეცით აზრის გამოთქმის საშუალება. ჩვენი საერთო მიზანი ხომ ეროვნული კინემატოგრაფიის კეთილდღეობაა.

თავის დროზე ნაკლის მხილების ნებისმიერ ცდას თანამდებობით და რეგალიებით დამშვენებული კინოსტუდიის დირექტორი პირად შეურაცხყოფად აღიქვამდა. ამ ამბიციური და ზემდგომ ინსტანციებში საკმაოდ გავლენიანი პიროვნების ავტორიტეტი იმდენად ხელშეუვალი იყო, რომ მის განაწყენებას ერიდებოდნენ. მისი და ქართული კინოს მესვეურთა შემწეობით მთელი ყურადღება გადატანილი იქნა კინოხელოვნების იმ თითო-ოროლა თვალსაჩინო ნიმუშზე, რომელიც მიღწევების დამადასტურებლად გამოდგებოდა და პარადული განწყობილების შექმნას შეუწყობდა ხელს.

წლების განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე სანთლითაც ვერ აღმოაჩენდით კრიტიკულ წერილებს ქართული ფილმების შესახებ. კინოკრიტიკოსები დუმილით ხვდებოდნენ მხატვრულად უსუსურ კინოფილმებს და მხოლოდ მაშინ აღიმაღლებდნენ ხმას, როცა ხოტბის საბაბი გაუჩნდებოდათ.

დუმდნენ ჩვენი კინემატოგრაფიული ელიტის წარმომადგენლებიც. ისმენდნენ საკუთარ ქება-დიდებას.

არავის ამოუღია ხმა ქართული კინოს სატკივარზე.

აუტკივარ თავს რატომ აიტკივებდნენ, როცა გავლენიან კოლეგასთან ურთიერთობის გაფუჭება მათ ინტერესებს არ უპასუხებდა.

ურთიერთმაამებლობის დამკვიდრებას რესპუბლიკაში გამეფებული ატმოსფეროც უწყობდა ხელს. ქართული ფილმების ხოტბა-დიდება ჩვენი მიღწევების, ეროვნული კულტურის აყვავების, კომპარტიის ბრძნული და მზრუნველი კურსის საილუსტრაციოდ გამოიყენებოდა.

ქართული კინოს ფარულმა სატკივარმა დღეს უკვე თვალსაჩინოდ და საგანგაშოდ იჩინა თავი. ნიშანდობლივია, რომ სწორედ შემოქმედებითი და ეკონომიკური დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე გამოაშკარავდა ხანგრძლივი კრიზისი, რომლის დაძლევა ეროვნული კინემატოგრაფიის საარსებო აუცილებლობითაა გაპირობებული.

დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საქართველო საბჭოურ სტრუქტურათა ბორკილებისგან გათავისუფლების გზას დაადგა. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადებული გარდამავალი პერიოდი მნიშვნელოვან ცვლილებათა განხორციელებას მოითხოვს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში.

დრომოჭმულ სტრუქტურასაც დემონტაჟი გარდუვალია ეროვნულ კინემატოგრაფიაშიც. არადა, ისე მიგვაჩვიეს ქართული კინოს ხოტბა-დიდებას, რომ შესაძლოა რიგითი მაყურებელი კრიზისზე მსჯელობამ განცვიფრებულიც კი დატოვოს.

გასაკვირი არაფერია, რადგან 70-წლიანი საკავშირო „მფარველობის“ და ადგილობრივ ფუნქციონერთა „უკუღმართობის“ ლოგიკურ შედეგს ვიმკით.

„სამამულო“ წარმოების პროდუქცია მხოლოდ საკავშირო ბაზარზე შეიძლება გასაღდეს. ამ ბაზრის (ეკრანის) დაკარგვის შემდეგ იგი დანახარჯს ვერ აანაზღაურებს და წამგებიანი ხდება.

სისტემის მანკიერებით დაკანონებული ზოგადი ტენდენცია წარმოების ყველა დარგს ეხება და კინემატოგრაფია გამონაკლისს არ წარმოადგენს.

საკავშირო „მფარველობა“ ქართულ კინოს შემოქმედებითი თავისუფლებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის ფასად დაუჯდა. სამაგიეროდ, „პატრონი“ საკავშირო ეკრანს უთმობდა და ამით არსებობის შესაძლებლობას ანიჭებდა კინოსტუდია „ქართულ ფილმს“.

„მზრუნველობა“ უანგარო როდი იყო. გამორჩეული ქართული ფილმები საერთაშორისო კინოფესტივალების პრემიებით მატებდნენ პრესტიჟს საბჭოთა კინოს. მატერიალურ დანახარჯსაც ანაზღაურებდნენ საკავშირო ეკრანზე დემონსტრირების წყალობით. რაც მთავარია, ქართული კინო საბჭოთა იდეოლოგიის სამსახურში იდგა.

ძვირად დაგვიჯდა საკავშირო „მფარველობა“ და „მზრუნველობა“. მხარდამჭერის გარეშე ქართულ კინოს არსებობა არ შეუძლია, რადგან საკუთარი თავის შენახვის უნარი არ გააჩნია!

ჩვენი ფილმები საზღვარგარეთის სანახაობით განებივრებული მომხმარებლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მას არც ქართველი მაყურებელი სწყალობს!

ეკონომიკურად აყვავებულ ქვეყნებშიც კი არ აფინანსებს სახელმწიფო კინემატოგრაფს. პირიქით, სოლიდური გადასახადების მეშვეობით კინოხელოვნება შემოსავლის წყაროდაა ქცეული.

დღეს პროდიუსერებისა და სპონსორების იმედზე ქართველი კინორეჟისორების დატოვება ფაქტიურად მათ შემოქმედებით განწირვას მოასწავებს.

ქართულ კინოს კომერციული სკოლის გაკვეთილები არ გაუვლია და, აქედან გამომდინარე, ვერც კონკურენციას გაუძლებს.

ეროვნული კინო ამ საყოველთაო გასაჭირის ჟამს რესპუბლიკის ბიუჯეტით უნდა დაფინანსდეს. სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს და მთავრობა იძულებულია ყველა ღონე იხმაროს ქართული კინემატოგრაფის გადასარჩენად.

ქებით ცაში აყვანილი ეროვნული კინემატოგრაფია შველას ითხოვს. დაავადებულს სასწრაფოდ ჭირდება დიაგნოზის დასმა და მკურნალობა.

15 წელი, როცა კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ მოსკოვიდან ბრძანებას ვერ უბედავდნენ(?!), საამისოდ საკმაო დრო იყო. ამ ხნის მანძილზე ქართულმა კინემატოგრაფიულმა ელიტამ მხოლოდ „კოლეგიალური“ სულისკვეთების გამომჟღავნება მოახერხა.

მათ სამსჯავროზე, ვინც დღესაც „მუნდირის“ დასაცავად ირჯება, გამომაქვს 15 წლის წინათ დაწერილი წერილი. იგი რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებას ვერ ეღირსა, რადგან აკრძალულ თემას ეხებოდა.

მასში წამოჭრილ პრობლემას აქტუალობა არ დაუკარგავს, პირიქით, საარსებო მნიშვნელობა

შეიძინა და ქართველ კინორეჟისორებსაც გარჯა სწორედ ამ საბედისწერო პრობლემის დასაძლევად მართებთ.

## ქართული ფილმები და მაყურებელი

ქართული კინოს მიღწევებზე რესპუბლიკურ პრესაში იმდენად ხშირად წერენ, რომ გამეორებას აზრი არა აქვს. მითუმეტეს, რომ ჩვენი კინოკრიტიკოსები დუმილით უვლიან გვერდს იმ ფილმებს, რომელთა შექება არ შეიძლება. ცალკეული ფილმების მისამართით გამოთქმული დითირამბები კი საერთო მდგომარეობაზე ბუნდოვან წარმოდგენას გვიქმნის.

საერთაშორისო და საკავშირო კინოფესტივალების პრიზების თვალისმომჭრელ ბრწყინვალებაში, მხოლოდ კარგის დანახვის სურვილით გაპიროვნებულ ქებათა-ქებაში, დავიწყებას მიეცა უბრალო და ნათელი ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ კინოხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოების უმაღლესი მსაჯული მაყურებელია.

როგორ ესწრება მაყურებელი ქართულ ფილმებს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გავეცნოთ IX ხუთწლედის სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც ეკრანებზე ფილმების დემონსტრირების 12 თვის შედეგების მიხედვით დგება.

ყველაზე მცირერიცხოვანი მაყურებელი საკავშირო მონაცემებით ფილმ-ალმანახ „თეთრ ქვებს" ჰყავდა — 1 192 800, აქედან საქართველოში 107 600. საერთოდ, ქართულ ფილმ-ალმანახებს საკავშირო ეკრანზე გამოშვებულ ფილმებს შორის დასწრების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ.

ფილმების სუსტი მხატვრული ღირსებებით ამ მდგომარეობის ახსნა სწორი არ იქნებოდა. გადამწყვეტ როლს თამაშობს ქართული ფილმ-ალმანახების სპეციფიკური თავისებურება — სიუჟეტური დაქსაქსულობა, იმ ერთიანი თემის ან იდეის უგულებელყოფა, რომელიც ცალკეულ ნოველებს ერთმანეთთან დააკავშირებდა.

კინორეჟისორ გ. შენგელაიას მიერ დადგმულ ფილმს „ფიროსმანს", რომელმაც დაიმსახურა „ოქროს ჰიუგო" საერთაშორისო კინოფესტივალზე ქ. ჩიკაგოში, და რომელიც აღიარებული იქნა წლის საუკეთესო ფილმად ინგლისში, დაესწრო—1 512 200 მაყურებელი, აქედან საქართველოში — 286 500.

კინემატოგრაფისტების მიერ ერთხმად აღიარებული, რეჟისორ ო. იოსელიანის ფილმი „იყო შაშვი მგალობელი" ნახა — 2 632 400, საქართველოში — 265 800 მაყურებელმა.

ქართული კინოხელოვნების ამ ორი მნიშვნელოვანი ნაწარმოების წარუმატებლობა მაყურებლებში იმით აიხსნება, რომ ისინი განეკუთვნებიან ძნელად აღსაქმელად რთულ, არასანახაობრივ ფილმების კატეგორიას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კარგი რეკლამის, კინოგაქირავებისა და კინოფიკაციის მუშაკთა კეთილგანწყობის, სათანადო სარეპერტუარო პოლიტიკის პირობებში, ისინი გაცილებით მეტ მაყურებელს მიიზიდავდნენ.

კინოფილმ „ნერგებს" დაესწრო 4 809 200 კაცი, აქედან საქართველოში — 409 000. კინორეჟისორ რ. ჩხეიძის ეს ფილმი მოსკოვის VIII საერთაშორისო კინოფესტივალზე აღინიშნა დიპლომით, მთავარი როლის შემსრულებელი რ. ჩხიკვაძე დაჯილდოვდა პრიზით „მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის". მიუხედავად ამისა, ფილმმა მცირერიცხოვანი აუდიტორია შემოიკრიბა.

ქართული ფილმებიდან ყველაზე ნაკლები მაყურებელი რესპუბლიკაში ჰყავდა კინოფილმს „მშვიდობიანი დღეები" — 47 400. ფილმის შემქმნელები ეცადნენ ფსიქოლოგიური დრამის ფონზე ეჩვენებინათ კამის საავტომობილო ქარხნის მშენებლობა, თანამედროვე ახალგაზრდობის შრომითი საქმიანობა და პარალელურად მოეთხროთ მთავარი გმირის დამოკიდებულებაზე ახალგაზრდა ბავშვიან ქალთან.

კადრების დოკუმენტურობამ ხელი ვერ შეუწყო ცხოვრებისეული სიმართლის გამოვლენას, რადგან გრანდიოზული მშენებლობა მხოლოდ მკრთალ ფონად იქცა, შრომითმა საქმიანობამ პლაკატური ხასიათი მიიღო და გმირების დამოკიდებულება ტრადიციულ სქემებს ვერ გასცდა. დრამას ფსიქოლოგიური სიღრმე და მხატვრული დამაჯერებლობა დააკლდა. საკავშირო მასშტაბით ამ ფილმს 3 445 200 მაყურებელი დაესწრო.

სანახაობრივად საინტერესო სათავგადასავლო, კომედიურ და მელოდრამატული ხასიათის საბჭოთა ფილმებს 60 მილიონზე მეტი მაყურებელი ესწრება. თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე გადაღებულ ზოგიერთ ფილმს 40 მილიონამდე მაყურებელი ჰყავდა.

ნიშანდობლივია, რომ არც ერთ ქართულ ფილმს არ შეუკრებია მაყურებელთა ასეთი რაოდენობა. იშვიათი გამონაკლისის გარდა დასწრება 10 მილიონის ფარგლებს არ სცილდებოდა. ამასთან, ფილმების უმეტესობას 5 მილიონზე ნაკლები მაყურებელი ესწრებოდა.

მოძმე რესპუბლიკების კინოსტუდიებს შორის კინოსტუდია „ქართულ ფილმს" ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია საკუთარი პროდუქციის ფილმებზე დასწრების მაჩვენებლებით.

საკავშირო ეკრანზე გამოსულ 4 ქართულ ფილმს: „როცა აყვავდა ნუში", „მოიტაცეს თამარ ქალი", „ნერგები" და „თეთრი ქვები", საერთო ჯამში 17 195 900 მაყურებელი დაესწრო.

ამავე პერიოდში მოლდავეთის კინოსტუდიამ საკავშირო ეკრანზე გამოუშვა 3 ფილმი: „უკანასკნელი ჰაიდუკი", „სახლი სერაფიმესათვის", „ლაუტარი". ამ ფილმებს 50 607 100 მაყურებელი დაესწრო.

საბჭოთა კინოგაქირავებისა და კინოფიკაციის მუშაკთა აქტიური „დახმარებით" ქართულმა ფილმებმა დაიმსახურეს არასანახაობრივი, მაყურებელთათვის ნაკლებად საინტერესო ფილმების არასახარბიელო რეპუტაცია. მაშინაც კი, როცა ფილმის წარმატება მაყურებლებში ეჭვს არ უნდა იწვევდეს, შექმნილი რეპუტაციისა და ინერციის ძალის წყალობით, იგი მაყურებელთა ფართო აუდიტორიამდე ვერ აღწევს.

თუმცა ყველა საფუძველი გააჩნდათ, მაგრამ ვერ შეკრიბეს მაყურებელთა ფართო აუდიტორია გ. შენგელაიას მიუზიკლმა „ვერის უბნის მელოდიები" (დაესწრო 7 302 200 მაყურებელი) და ე. შენგელაიას კინოკომედიამ „შერეკილები" (7 817 800).

იგივე შეიძლება ითქვას ისეთი საინტერესო ფილმების მისამართით, როგორიცაა: „წუთისოფელი", „ყელსაბამი სატრფოსათვის", რომლებიც 10 მილიონზე ნაკლებმა მაყურებელმა ნახა და ა. შ.

შეცდომები დაშვებული ქართული ფილმების ეკრანებზე გამოშვებისა და ჩვენების საქმეში აშკარაა. ცხადია ისიც, რომ ასეთი მდგომარეობა საგრძნობლად მოქმედებს დასწრებაზე. შექმნილი ვითარება შეიძლებოდა აგვეხსნა სუსტი რეკლამით, მოუფიქრებელი სარეპერტუარო პოლიტიკით და ა. შ.

ბოლოს და ბოლოს, შეიძლებოდა ყველაფერი თვით მაყურებლისათვის დაგვებრალებინა. მათი მოუმზადებლობა — აღიქვან კინოხელოვნების სერიოზული ნაწარმოებები — აგვეფარებინა ფარად. ძირითადი მიზეზი მაინც თვითონ ფილმებში უნდა ვეძიოთ. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართველი კინემატოგრაფისტები ვერ ითვალისწინებდნენ მაყურებელთა ინტერესებს, მათ მოთხოვნილებებს.

ქართულ კინემატოგრაფიაში თითქმის იგნორირებულია მაყურებლისათვის ისეთი საინტერესო ჟანრები, როგორიცაა: სათავგადასავლო და მელოდრამატული. ხარვეზი კინოკომედიებით ივსება.

კომედია პოპულარული ჟანრია და მას მრავალმილიონიანი აუდიტორია ჰყავს. ქართულ კინოკომედიებს მაყურებელი ნაკლებად ესწრება და ამის მიზეზები კომიკურის იმ თავისებურ გაგებაში უნდა ვეძიოთ, რომელიც ბოლო წლებში შეიმჩნევა ჩვენს კინემატოგრაფიაში.

ქართული კინოკომედიების ავტორთა ერთი ნაწილი მიილტვის რაფინირებული, ფილოსოფიური იუმორისაკენ. ეს მიმართულება ნათლად მჟღავნდება კომედიებში: „შერეკილები" და „ყელსაბამი სატრფოსათვის", მეორე ნაწილი სიტუაციის კომიკურობას უსვამს ხაზს და თან ისეთი გულმოდგინებით, რომ ათავისუფლებს იუმორს აზრის ყოველგვარი გაელვებისაგან.

„მოიტაცეს თამარ ქალის", „ჩარი-რამას", „მხიარული რომანის" მსგავსი ფილმების გამოშვებით ჩვენ ლახვარს ვცემთ ქართული კინემატოგრაფიის პრესტიჟს.

ეს კომედიები მხოლოდ სისულელეზე მწარედ გაღიმების საშუალებას გვაძლევს და საბჭოთა მაყურებელს აფიქრებინებს, რომ ქართველმა კაცმა ღვთისაგან მონიჭებული იუმორის გრძნობა დაკარგა.

იმის მტკიცება, რომ მაყურებელი ამგვარ ფილმებზე უბრალოდ ისვენებს, საფუძველს მოკლებულია, რადგან მსგავსი დასვენება არ გამოდგება არც გონებისა და არც გემოვნების საწვრთნელად.

კომედიებზე ყურადღების გამახვილება იმიტომაც ღირდა, რომ სადღეისოდ ამ ჟანრის დომინირება შეიმჩნევა ქართულ კინემატოგრაფიაში. კომედიური ელემენტების მოჭარბება სერიოზულ ფილმებშიც აღინიშნება და ჟანრების აღრევაც ძირითადად ამის საფუძველზე ხდება. იუმორი ქართულ ფილმებში ზოგჯერ გაუმართლებელ გროტესკშიც გადაიზრდება, პაროდიაშიც, ექსცენტრიკაშიც, მაგრამ საბოლოო ჯამში კეთილი ღიმილის სადარაჯოზე დგას. კეთილი და ამ სიკეთით შეზღუდული, რადგან იგი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაკლოვანებებს არ ამათრახებს, სატირაში არ იზრდება.

საერთოდ, ქართულ კინოს აკლია აქტუალობა. მასში სათანადო ასახვას ვერ პოულობს თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემები. იგი კაცობრიობის ისტორიის ყველა დროისათვის დამახასიათებელ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს ეჭიდება. ასეთი „ჭიდილი" კი ძალზე იშვიათად მთავრდება შემოქმედებითი გამარჯვებით.

ბევრ ქართულ ფილმს არ ჰყოფნის დინამიკა, რიტმი, დრამატურგიული დაძაბულობა. შეიმჩნევა მიდრეკილება კამერულობისაკენ, რაც მოვლენათა ასახვის რეალისტური მანერის გამოყენების სურვილითაა გამოწვეული, მაგრამ უმეტესად გაჭიანურებულის ეფექტს სტოვებს და მაყურებლის ინტერესსაც ანელებს ფილმის მიმართ.

რეჟისორებს ავიწყდებათ უბრალო ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ცხოვრებისეული სიმართლე და მხატვრული სიმართლე ერთი და იგივე არ არის. „ცხოვრებისეულობით" გატაცება ხშირად გადადის დოკუმენტალიზმში და ნაწარმოების მხატვრულ ქარგას მნიშვნელოვნად აღარიბებს.

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ რეჟისორები ფილმებზე მუშაობის დროს ან ცოტას ფიქრობენ, ან სავსებით არ იწუხებენ თავს იმაზე ფიქრით, თუ როგორ მიიღებენ მათ ქმნილებებს მაყურებლები.

სამაგიეროდ, თითოეული მათგანი აუცილებლად ფიქრობს თავის გამოჩენაზე. უმეტესობას საამისოდ ძალა არ შესწევს. ასე იბადება უფერული, მოსაწყენი, არაფრისმთქმელი ფილმები.

ამასთან ერთად, ქართული კინოხელოვნების ძალა და პოტენციალური შესაძლებლობა ისეთია, რომ ვინმე აუცილებლად გამოირჩევა. სწორედ გამორჩეული ფილმი ხდება ფართო აღიარების საგანი და ფესტივალების პრიზებსაც იხვეჭს.

ძირითადი პროდუქცია კი, რომლის დონე მეტად არასახარბიელოა, ყოველგვარი რეაგირების გარეშე რჩება. მაყურებელი სწორედ საერთო ფონს ითვალისწინებს და გამორჩეულ ფილმს ვერ ამჩნევს, ვერ აფასებს სათანადოდ.

ასე უპირისპირდება ქართული ფილმების შეფასებისას ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო პოზიცია. კინოკრიტიკოსები ცალკეულ ფილმებზე დაყრდნობით (საერთო პროდუქციას ისინი არც ნახულობენ) მაღალ შეფასებას აძლევენ მთელ ეროვნულ კინემატოგრაფიას.

მაყურებლები (ძირითადი პროდუქციის საერთო დონის გათვალისწინებით, რაც ცალკეული წარმატებების იგნორირებამდეც მიდის) უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებენ და ნაკლებად ესწრებიან ქართულ ფილმებს.

IX ხუთწლედის მანძილზე საკავშირო ეკრანზე გამოვიდა 33 ქართული ფილმი: „ნერგები", „ფიროსმანი", „იყო შაშვი მგალობელი", „ვერის უბნის მელოდიები", „შერეკილები", „წუთისოფელი", „ციმბირელი პაპა", „ზოია რუხაძე", „განთიადისას", „ჩერმენი", „სემირამიდას ბაღები", „მოლოდინი", „წყალდიდობა", „ჩაძირული ქალაქის საიდუმლოება", „ბებია და შვილიშვილები", „ბურთი, ხელთათმანი და კაპიტანი", „მე გამომძიებელი ვარ", „გზა მშვიდობისა, ჯაყო", „თეთრი ქვები", „მოიტაცეს თამარ ქალი", „ჩარი-რამა", „მხიარული რომანი", „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი", „ყელსაბამი სატრფოსათვის", „ანარეკლი", „შემოდგომის თბილი მზე", „მშვიდობიანი დღეები", „როცა აყვავდა ნუში", „დაისი", „საჰაერო ხიდი", „მშობლიურ ხეთა ჩრდილში", და ორი ორსერიანი კინოსურათი „დიდოსტატის მარჯვენა" და „მთვარის მოტაცება". ამ ფილმებს საბოლოო ჯამში დაესწრო 234 270 900 მაყურებელი.

მექსიკური ფილმი „ესენია" და ინდური „ბობი" საკავშირო მასშტაბით გაცილებით მეტმა მაყურებელმა ნახა. ამ საეჭვო მხატვრულ ღირსებების ფილმებს 297 986 300 მაყურებელი ჰყავდა!

საქართველოს ეკრანებზე გამოშვებულ 33 ქართულ ფილმზე 15 537 700 ბილეთი გაიყიდა. ოთხმა ინდურმა ორსერიანმა ფილმმა საგრძნობლად მეტი შემოსავალი მისცა სახელმწიფოს: „ბობი", „ხამრაზი", „სპილოები ჩემი მეგობრები", „ეშმაკობა სიხარბის წინააღმდეგ" — ამ მდარე მხატვრული ღირსებების მქონე კინოსურათებზე ჩვენს რესპუბლიკაში 1 643 100 ბილეთი გაიყიდა.

მეტად დამაფიქრებელი და საგანგაშო ციფრებია! როგორ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, თურმე, ქართული ფილმები უფრო ხშირად საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების პრემიებს ეუფლებიან, ვიდრე მაყურებლების გულებს.

ქართველ კინემატოგრაფისტებს ეროვნული კულტურის მოწინავე რაზმად მიიჩნევენ, მაგრამ რაზმი მაყურებელთა არმიის გარეშე დარჩა. და თუ შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა გაგრძელდება, ქართული კინოს კრიზისი გარდაუვალი იქნება.

## ქართული კინემატოგრაფიის ახალი მოდელის კონტურები

„ნუთუ გორბაჩოვის მსგავსად ზოგიერთ ხელმძღვანელს (ვგულისხმობ კულტურის მინისტრსა და განსაკუთრებით მინისტრის მოადგილეს კინოს დარგში ბატონ ბ. გუგუშვილს) დაავიწყდათ ცნება პოლიტიკური პლურალიზმისა?! ნუ გაგვიტაცებს ურთიერთქიშპობა და ანგარიშსწორება. ქართველი კინემატოგრაფისტები ხომ დღეს გარდამავალი და ახალი ეკონომიკური სისტემის გათვალისწინებით ქმნიან ქართული კინოს ახალ მოდელს!.. მაშ გვაცალეთ, ჩავატაროთ ეს რთული და საპასუხისმგებლო სამუშაო".

ასე ამთავრებს კინორეჟისორი გ. ჩხეიძე წერილს „ცოტა არ იყოს, მეშინია"... ეტყობა, უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ „შეშინებულს" სრულიად არ აშინებს ეროვნული კინემატოგრაფიის რეორგანიზაციის ურთულესი და საპასუხისმგებლო მისია.

არადა, საშიში სწორედ ისაა, რომ ქართველ კინორეჟისორებს ძალა არ ეყოფათ ესოდენ მძიმე „ტვირთის" საზიდად. კინოსისტემის რეორგანიზაცია ხომ წმინდა წყლის შემოქმედებითი პროცესი არაა, იგი მოითხოვს კინომცოდნეების, ეკონომისტების, იურისტების, ინჟინერ-ტექნიკური კადრების საერთო ძალისხმევას.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს კინორეჟისორებს არა აქვთ სრული წარმოდგენა რეორგანიზაციის მასშტაბებზე, იმ მრავალმხრივ და შრომატევად სამუშაოზე, რომელიც ძლიერ და კომპეტენტურ მაორგანიზებელ საწყისს მოითხოვს.

ისიც ნათელი უნდა იყოს კინორეჟისორებისათვის, რომ პრიორიტეტი რეორგანიზაციაში დამფინანსებელ ორგანოს, ამ შემთხვევაში ეროვნულ მთავრობას ეკუთვნის. სადავო და საჭიშპო აქ არაფერია.

ყველამ საკუთარ საქმეს უნდა მიხედოს. „ქართული კინოს გვემა" მიზნად არავის დაუსახავს. ეროვნული კინოს მონაპოვარზე მსჯელობისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ქართული კინოფენომენის" შესაქმნელად გამიზნული და თავდაუზოგავი შრომა გვმართებს.

ქართული კინო ვალშია საქართველოს ისტორიისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე. გულუბრყვილობაა საერთაშორისო ტერმინად „ქართული კინოსკოლის" მონათვლა მაშინ, როცა ცივილიზებულ სამყაროს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს საერთოდ საქართველოს არსებობის შესახებ.

ქართული ფენომენი სწორედ ეროვნული კინემატოგრაფიის მეშვეობით უნდა გაიცნოს ცივილიზებულმა სამყარომ, რომლისგანაც 70 წლის განმავლობაში იზოლირებული ვყავდით. საქართველოს მრავალტანჯული და გმირული ისტორია ამის ამოუწურავ შესაძლებლობას იძლევა.

ქართული კინოს რომელ მიღწევებზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა ეროვნულ კინემატოგრაფიაში არ ასახულა დავით აღმაშენებლის, თამარ დედოფლის, ვახტანგ გორგასლის, გიორგი ბრწყინვალის და უამრავ სხვა გამოჩენილ გმირთა სახეები.

საქართველოს ისტორიის ულამაზესი და უმდიდრესი მასალა აუთვისებელ პლასტად დევს ეროვნულ კინემატოგრაფიაში. ამ დროს კი არაფრისმთქმელი, მხატვრულად და იდეურად უსუსური ფილმების ნაკადმა წალეკა ეროვნული კინო.

კარგი ფილმების შესაქმნელად ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ გაგვაჩნიაო — იტყვიან ქართველი კინორეჟისორები. ესეც რომ ვიკმაროთ გასამართლებლად, ვითომ ამით გვეშველება რამე?

იმისათვის, რომ თავი დააღწიონ საბჭოური კინოს ტრადიციების ტყვეობას და მატერიალური პასუხისმგებლობის გრძნობა გამოიმუშაონ, ქართული კინორეჟისორები ჯერ უნდა იზიარონ ანბანური კითხვას: რა არის კინო?

ნუ გაიკვირვებთ ამგვარ კითხვას, რადგან იგი ჩვენს კინემატოგრაფიულ პრაქტიკაში არგუმენტირებული პასუხის გარეშე რჩება. ნურც გულუბრყვილოდ და ღიმილისმომგვრელად მიიჩნევთ, რადგან მას გადამწყვეტი და პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება დეფორმირებული კინოსისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.

ამერიკის შეერთებული შტატების კინომწარმოებელთა, გამქირავებელთა და კინოთეატრების მფლობელთა ასოციაციის თავმჯდომარის ვილი ჰეისის აზრით: „კინო ისეთივე ბიზნესია, როგორც ავტომობილების, ფეხსაცმლის, ანდა ფოლადის წარმოება".

საბჭოთა კინემატოგრაფისტებს შორის წლების განმავლობაში მიმდინარეობდა დისკუსია იმის თაობაზე, თუ რა არის კინო: ხელოვნება თუ მრეწველობა? სულიერი თუ მატერიალური წარმოება?

20-იან წლებში ლ. კულეშოვი წიგნში „კინოს ხელოვნება" საქონელს უწოდებს ფილმს. ვ. ეროფეევი განიხილავდა ფილმის წარმოებას, როგორც „მრეწველობის ყველაზე ჩამორჩენილ უბანს" და ადარებდა მას „ნავთის წარმოებას — მრეწველობის ყველაზე მოწინავე დარგს".

(დასასრული მე-10 გვ.)



ზაალ ტაბაღუა

# ძაღლები

რმანიაში ჰქონდა მილებული და ხოფლისთვის ზრუნვას იყო გადაყოლილი, ზოოვეტერინარს — ათანასე მზარელუას, აგრონომს — მათე ჟორდანიას, ინჟინერს — გერმანე ხორავას, პედაგოგებს — რაჟდენ და ნოე ჩიჩუებს, ეკონომისტს — ტარიელ ნანეიშვილს,

ზალუმი მაღალი იყო. მკერდგანიერი, ფერდებხრული, მუხლმაგარი და ძლიერი. ხპილოსძვლისფერი გრძელი ბეწვით მოხილს, დიდებული, რაღაცნაირი მეფური, ზვიადი შეხახედაობა ჰქონდა. დამკრახულ ყურძნისფერ თვალებში აუმღვრეველი, მომთმინე,

…

ბიჭმა და ბიძამ ხევს გაღმა გათხარეს მისი საფლავი. რამდენიმე დღის მერე ზალუმის საფლავის გვერდით ერთი დიდი საფლავი გათხარეს, რომელშიც მახტი, ჰარუღლი და კარბაში მიაბარეს მიწას...

მხატვარი გიორგი წერეთელი

(დასასრული)

საბჭოთა კინოს ეს ორი ცნობილი თეორეტიკოსი მრეწველობის დარგებსა და კინოწარმოებას შორის განსხვავებას მხოლოდ „ტექნოლოგიურ პროცესში" ხედავდნენ.

„პროლეტარული კინო" 1931 წლის ერთ-ერთ მოწინავე წერილში აღნიშნავდა: „მთელი კინოწარმოების სასწრაფო გარდაქმნა სოციალისტური მრეწველობის პრინციპებზე, ინდუსტრიის ერთ-ერთ მოწინავე დარგად მისი სასწრაფოდ ჩამოყალიბება — მარტო სათაურით კი არა, არამედ შინაარსით, მუშაობის მეთოდებით — ასეთია ახლა ცენტრალური ამოცანა".

მოწინავე წერილში საუბარი იყო არა ფირების ფაბრიკებზე და კინოაპარატურის ქარხნებზე, არამედ ფილმების დამდგმელ „კინოფაბრიკებზე".

თეორეტიკოსები მაშინ პრაქტიკას იშველიებდნენ, რადგან კინემატოგრაფია მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შედიოდა. ეს ისტორიული ექსკურსი იმიტომ დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა, საწყის ეტაპზე საბჭოთა კინოს მესვეურებიც იძულებული იყვნენ ელიარებინათ კინემატოგრაფიის სპეციფიკა. საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კინოსტუდიების შექმნის შემდეგ საბჭოურ კინემატოგრაფიაში საბოლოოდ დამკვიდრდა პოზიცია, რომლის მეშვეობით ფილმი მხოლოდ და მხოლოდ იდეოლოგიური ხასიათის მოვლენად იქცა.

რამდენად პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, ეს პოზიცია უპირატესად ფილმის შექმნის პროცესზე გავრცელდა და მაყურებელთა მოთხოვნების იგნორირებამდე მიიყვანა საბჭოთა კინო.

ამასთან, ფილმის, როგორც საქონლის, ფუნქცია კინოგაქირავებისა და კინოფიკაციის მუშაკებს დააწვა მძიმე ტვირთად. ასე დაიბადა საბჭოთა კინემატოგრაფის მთავარი შეუსაბამობა.

კინოსტუდიების საქმიანობას ეკონომიკური განუკითხაობა წარმართავდა. ისინი ფაქტიურად მხოლოდ მორალურ პასუხს აგებდნენ საკუთარ პროდუქციაზე. წლების განმავლობაში კინოსტუდია „ქართული ფილმი" ერთ-ერთ ბოლო ადგილს იკავებდა კინოფილმებზე მაყურებელთა დასწრების მაჩვენებლით, ამასთან, საუკეთესო საწარმოო-ეკონომიკური შედეგებისათვის სოციალისტურ შეჯიბრში გამარჯვებულის გარდამავალი დროშა გადაეცემოდა.

როგორ შეიძლება საწარმოო-ეკონომიკური შედეგების განსაზღვრა, საბოლოო მაჩვენებლის — მაყურებელთა რაოდენობის გარეშე?

რა ფასი აქვს ფილმის გადაღებასთან დაკავშირებულ საწარმოო-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, თუ მას მაყურებელი არ ეყოლება?

არ არსებობს მეორე ისეთი სისტემა, რომელიც სოლიდურ, მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვდეს და ესოდენ დაუხვეწელი იყოს ეკონომიური სტიმულირების თვალსაზრისით. სრული განუკითხაობა და ქაოსი, რომელიც ეკონომიკური საფუძვლიდან იღებს სათავეს, ვრცელდება და დაღს ასვამს საბჭოური კინოსისტემის ყველა სფეროს.

ფილმის არსებობა შექმნით მხოლოდ იწყება და მისი ღირებულება განისაზღვრება მაყურებელთა მიზიდვის მაშტაბებით, საზოგადოებრივ შეგნებაზე ზემოქმედების ძალით, იმისათვის, რომ კინემატოგრაფიული ცხოვრების აქტიური მონაწილენი გავხდეთ, მარტო შემოქმედებითი პროცესით კი არ უნდა შემოვიფარგლოთ, არამედ, ფილმის ეკრანული ცხოვრებაც შევისწავლოთ.

ამერიკელი სოციოლოგი ლასუელი ძალზე ლაკონურად გვაცნობს ტიპიური მასობრივი კომუნიკაციის ყველა ელემენტს: „ვინ გვაუწყებს, კერძოდ რას, რა არხებით, ვის და რა ეფექტით". ლასუელის ფორმულირება რეალური კინემატოგრაფიული პროცესის რეორგანიზაციის დროს შეიძლება სამუშაო სქემად გამოვიყენოთ.

წარმოდგენა რომ გვქონდეს მთლიან კინემატოგრაფიულ პროცესზე, უნდა შევისწავლოთ მთელი ჯაჭვი: ფილმის ავტორები — თვითონ ფილმი — გაქირავება და კინოქსელი (აქვე შედის კრიტიკა და რეკლამა) — მაყურებელთა აუდიტორია-სოციალური და ეკონომიკური შედეგი. ამ ერთიანი ჯაჭვის ხუთივე რგოლი ერთმანეთთან მჭიდრო, დიალექტიკურ კავშირშია.

ქართული კინომცოდნეობა ცალმხრივად ვითარდება. იგი განიხილება არა როგორც მრავალმხრივი მეცნიერება, ხელოვნებათმცოდნეობის დიდი მონაკვეთით, არამედ როგორც ხელოვნებათმცოდნეობის ნაწილი.

კინომცოდნეების უმეტესობა მოღვაწეობს მხატვრული ფილმების ისტორიაზე და კრიტიკაზე, რეჟისორების და მსახიობების ბიოგრაფიებზე. სტატიები, მონოგრაფიები, წიგნები, დისერტაციები, ეძღვნება ძირითად ფილმებს და მათ შემქმნელებს, ე. ი. კინემატოგრაფიული პროცესის პირველ ორ რგოლს. ამასთან, მომდევნო 3 რგოლი: ფილმის სვლა მაყურებლამდე, თვით მაყურებელი, ფილმის სოციალური და ეკონომიკური ეფექტი მთლიანად დავიწყებულია. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ კინოს რეალური ზემოქმედების საკითხებს საქართველოში დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

რესპუბლიკაში არ გამოსულა არცერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი (თუნდაც თარგმნილი, საკუთარს ვინ ჩივის!) კინოს სოციოლოგიის დარგში. ვერც პრაქტიკული მნიშვნელობის ცდით, ან გამოკვლევით დავიტრაბახებთ, ეს მაშინ, როცა კინოს სოციოლოგიის განვითარება დროის აუცილებლობითაა განპირობებული.

იმის მაგივრად, რომ კინომცოდნეთა მოწინავე რაზმი სათავეში ედგას და ასახავდეს რესპუბლიკის კინემატოგრაფიული ცხოვრების მრავალმხრივ პანორამას, კინოკრიტიკოსთა დეზორგანიზებული ჯგუფი საგრძნობლად ჩამორჩა მას და ამით თვით პანორამას აყენებს ჩრდილს.

გულახდილად თუ ვაღიარებთ, შეიძლება ითქვას, რომ კინომცოდნეები და კინოკრიტიკოსები ოფიციალურად გვყავან, მაგრამ კინომცოდნეობა და კინოკრიტიკა საქართველოში ფაქტიურად არ არსებობს.

ასეთ ვითარებაში ქართული კინოს ახალი მოდელის შექმნა, ფაქტიურად „ყამირის" ათვისებას ნიშნავს. გააჩნიათ კი ქართველ კინორეჟისორებს იმის კომპეტენცია და უნარი, რომ ამ მრავალმხრივი და გრანდიოზული ოპერაციის წარმართვა ითავონ? ხომ არ აჯობებდა საკუთარი ასპარეზისათვის მიეხედათ და იქ მაინც დაემკვიდრებინათ „ქართული ფილმის ახალი მოდელი?".

ფართო აუდიტორიის მოთხოვნილებათა გათვალისწინება კინემატოგრაფთა აუცილებელი ამოცანაა, რადგან კინემატოგრაფი მხოლოდ და მხოლოდ აუდიტორიის მხარდაჭერით საზრდოობს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მაყურებელთა მასა არ არის ერთფეროვანი. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ კინოხელოვნებისადმი დამოკიდებულების, ესთეტიკური მომზადების დონე მაყურებელთა სხვადასხვა ფენებში ერთნაირი არ არის, მაყურებელთა უმეტესობის საერთო კინოკულტურა უკანასკნელ ხანებში გაიზარდა, მაგრამ სასურველამდე ჯერ კიდევ შორსაა.

„ინტელექტუალური" კინოს პრობლემა არსებობს და უახლოეს მომავალში არ გადაიჭრება. ამიტომაც ზოგჯერ ასე მკვეთრად განსხვავებულია კინოკრიტიკოსთა და რიგითი მაყურებლის მიერ კინოფილმის აღქმის კრიტერიუმი. პრეტენზია მაყურებელთა მოუმზადებლობაზე საფუძველს მოკლებულია. რადგან ჩვენი მთავარი ამოცანა თავის მართლება კი არა, მაყურებლის ესთეტიკური აღზრდაა, მასების გემოვნებას მრავალ კონკრეტულ ფაქტორთან ერთად დრო და სოციალური გარემოც განაპირობებს.

მე-20 საუკუნეში, ცივილიზაციის არნახული განვითარების წყალობით ადამიანთა კონტაქტები, ადამიანური ურთიერთობები, საოცრად გართულდა და დაიძაბა. აუარებელი და აუცილებელი ინფორმაციის ნაკადი შემოაწვა ადამიანს, რომელიც დროს უნდა მიჰყვეს და ამ ნაკადს ვერ ჩამორჩება. ამან თავისთავად დაბადა გარკვეული ინდიფერენტულობა იმ დამატებითი ინფორმაციის ათვისებაში, რომელიც ხელოვნების სხვადასხვა დარგებს და კერძოდ, კინემატოგრაფს მოაქვს.

ცნობილმა იტალიელმა მწერალმა და კინოკრიტიკოსმა ჯუზეპე მოროტომ გამოთქვა ასეთი აზრი: „კინო სხვა არაფერი არ არის, თუ არა დაკმაყოფილება საყოველთაო სურვილისა — იცხოვრო სხვისი ცხოვრებით და დაივიწყო შენი საკუთარი". ამ საკამათო აზრში არის ჭეშმარიტების ელემენტი. შეგნებულად თუ შეუგნებლად მაყურებელთა უმრავლესობა კინოფილმს ემოციური განმუხტვისათვის ესწრება.

კინემატოგრაფი ითვალისწინებს მაყურებელთა მოთხოვნებს და მაყურებელიც იმ სულიერი საზრდოთი იზრდება, რომელსაც მას აწვდიან. ამ ორმხრივი, მჭიდრო, დიალექტური კავშირის დროს აუცილებელია პროპორციების დაცვა, სწორი სარეპერტუარო პოლიტიკის ჩატარება.

მაყურებელი სანახაობას მოითხოვს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს აზრობრივ დატვირთვას და კინემატოგრაფიულ ძიებებს. პირიქით, სწორედ სანახაობითი მხარის და შინაარსის შერწყმა გვაძლევს კინემატოგრაფიული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს.

ქართველმა კინორეჟისორებმა ეროვნული კინოს ახალი მოდელი სწორედ ამ გზით უნდა დაამკვიდრონ და არა ორგანიზატორულ-ადმინისტრაციული მოღვაწეობით. საამისოდ მათ არც კომპეტენცია გააჩნიათ და არც უნარი!

მაშინ, როცა თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს იმპერიული ძალები ეთნოკონფლიქტებისა და ეკონომიური ბლოკადის ალყაში აქცევს, საქართველოს მთავრობა ბედის ანაბარად არ ტოვებს ეროვნულ კინემატოგრაფს!

ამის დანახვა და დაფასება უნდა შეძლონ ქართველმა კინორეჟისორებმა. მათ მეტი პასუხისმგებლობის გრძნობის გამოჩენა მართებთ ეროვნული კინემატოგრაფისა და სრულიად საქართველოს წინაშე.

ახლა დავის, ურთიერთობათა კვლევის დრო არ არის. უსაფუძვლოდ განაწყენებისა და მითუმეტეს „მუნდირის" დაცვას არ უნდა გამოვეკიდოთ. მხოლოდ საერთო ძალისხმევით, მრავალმხრივი და მაშტაბური რეორგანიზაციით დამკვიდრდება ქართული კინოს ახალი მოდელი.

P. S. რეზო ჩხეიძის წერილით: „ლაზარე! გამოდი გარეთ!" საოცარ „გარდაქმნასა" და „ღვთიურ სასწაულს" ვეზიარეთ.

ათეული წლების განმავლობაში კომუნისტური იდეალების პროპაგანდისტებიც ქრისტიანობის მქადაგებლებად გვევლინებიან.

იქნებ გვეშველოს!...

ქრისტიანული ეთიკის მიხედვით ისღა დაგვრჩენია, რომ სულიერად განვიწმინდოთ, პირად ანგარიშსწორებაში გადაზრდილი გაჭიანურებული პოლემიკა ქართული კინოს სატკივარს დავუკავშიროთ და საერთო საქმე საკეთილდღეოდ წარვმართოთ.

ღმერთმა ქნას!..

# ფიქრი ქირისუფლური

ბევრი ლამაზი ქალაქია ქვეყანაზე, მათ შორისაა ზაარბრუკენი, ამ რამდენიმე წლის წინ იქ სტუმრად ვიყავით: მორის ფოცხიშვილი, გიორგი ჟორჟოლიანი და მე — თქვენი მონა-მორჩილი.

მართლა დიდი მასპინძლობა გამოიჩინეს იქაურმა მეგობრებმა, თან გადაგვყვნენ, სადღაც, ცხრა მთას იქეთ დაიკარგა ეგრეთ წოდებული „ნემეცკი შჩოტი", რომლის მოგონებასაც გერმანელები ჰოლანდიელებს აბრალებენ.

თავს იკლავდა იქაური სამწერლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი მარტინ ბუჰორნი, ზედა გვყვებოდა.

უნახავი არაფერი დაგვრჩენია, საკონცერტო დარბაზში ვერ შევიხედეთ, რომ ქართული სიმღერა არ შემოგვეგებებოდა. „ჩავუხტეთ მუხრან-ბატონსაო", „მაცალე ერთი, ავლესოო", „ბატონებო, მოუთხეთო", ყელმოღერებით მღეროდნენ ფრაკებში გამოწყობილი გერმანელი მომღერლები, „არ დაიჯერო, არ დაიჯერო"-ო, გიტარებზე აკვნესებდნენ იმხნელების მიბაძვით მშვენიერი გერმანელი გოგონები.

„ცუდი ღვინო და ქალი არ არსებობსო", — თქვა ბატონმა ოსკარ ლაფონტენმა, ზაარის მხარის პრეზიდენტმა და თან დასძინა — ეს ბაზვა ლობჟანიძემ მასწავლაო.

ჩვენც მეტი რა გვინდოდა! საქართველოდან შორს, უცხოეთში ვიყავით და ქართულ-გერმანულ გარემოში თავს ბედნიერად ვგრძნობდით.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, ჩვენს იქაურ მასპინძლებს აქაც ბევრჯერ შევხვდით...

რამ გამახსენა ის ძველი შეხვედრები? რამ და „ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდილმა ვაჟა გურგენიძის წერილმა:

„სიკვდილი ყველას ათანასწორებს"... სულამდე შემძრა, იქნებ უდროობა იყოს ამ წერილის დაბეჭდვაო, ამბობს ავტორი, არა და ეს პატარა წერილი სწორედ რომ დღეს უნდა დაბეჭდილიყო, დღეს განსაკუთრებითაა საჭირო ჭირისუფლური ფიქრი „სხვათა მიცვალებულებზე"... დღეს, როცა დაუნდობლად გვებრძვიან შინაურ-გარეულები, სწორედ ისინი, ვისაც ქართვლის ძუძუ თავიანთი მიზეზით არმად შერგებია.

რა გაეწყობა, ალბათ, ქართველებმა საჭიროებისამებრ ვერ გამოვფინეთ მზის სინათლეზე ჩვენი თვინიერი და მზრუნველი ხასიათი, ჩვენი სიყვარული და ჩვენი მშობლიური კალთის მცხუნვარება.

მუდამ ასე იყო, ფასი ვიცოდით მტრისაც და მოყვრისაც და ცოდვა-მადლიანი ხალხი მტერსა და მოყვარეს სიკვდილ-სიცოცხლესავით ერთად ვახსენებდით.

ქართველი კაცი მარად პატივს მიაგებდა სხვათა სარწმუნოებას, სწორედ ეს იყო მისი ხასიათი ქრისტიანული, ქრისტესმიერი სიყვარულით ცდილობდა ეცხოვრა ქართველ კაცს.

ვაჟა გურგენიძის წერილში თბილისში მყოფ მაშინდელ გერმანელ ტყვეებზეა ლაპარაკი, ჩვენს მაშინდელ ურთიერთობებზე... აბა, ყური დავუგდოთ: „იყო ამ ურთიერთობაში რაღაც ადამიანური, ნაღვლიანი, მაგრამ კეთილშობილი. მე არ მახსოვს, რომელიმე ჩვენს მეზობელს კარი არ გაეღოს, ან ვინმე წყევლა-კრულვით შეხვედროდეს, თუმცა ზოგს ქმარი ჰყავდა ომში დაღუპული, ზოგს — შვილი".

გულზე მომხვდა ეს სიტყვები, იმიტომ, რომ ქართველი კაცის უტყუარ ალღოზე და ხასიათზეა საუბარი, იმიტომ, რომ ვინმეს მოსწონს თუ არა, ქართველი კაცი არასოდეს დამპყრობელი არა ყოფილა, ერთი ბეწო სიყვარულითაც, ერთი ბეწო ყურადღებითაც კი ხშირად მოუნადირებიათ და დაუპყრიათ გული ქართველი კაცისა, იქნებ ხშირად თავსაც იტყუებდა, მაგრამ ასე იყო.

კვლავ ზაარბრუკენში დავბრუნდით, ბატონი ოსკარ ლაფონტენის სტუმრები ვართ და მის კუთვნილ კაფეში გაშლილ მაგიდას ვუსხედვართ...

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემს გვერდით გაჩნდა ერთი ხორბლისფერი სახედახანჭკლული 60 წლის ინტელიგენტი, გვერდით მომიჯდა და მკითხა: საიდან ბრძანდებითო...

საქართველოდან-მეთქი...

— არა, ეს კი ვიცი, საქართველოდან რომ ხართ, მაგრამ, რომელი ქალაქიდანო.

— ნუთუ ასე კარგად იცით საქართველო? — ვკითხე მე.

— კი, კარგად ვიცი, განსაკუთრებით თბილისი და მცხეთაო, — მიპასუხა.

— ომის დროს მცხეთაში ტყვედ ვიყავი, და განსაკუთრებით კარგად მახსოვს ქართველების სითბოო, — დაუმატა.

შემდეგ მიამბო საოცარი ალელვებით:

მსოფლიოში ქართველ დედაზე უკეთესი დედა არ არსებობსო, ჩვენთან, მშიერ-მწყურვალ გერმანელ ტყვეებთან მოდიოდნენ ქართველი დედები და პური მოჰქონდათო, თვითონ იკლებდნენ და ჩვენთვის მოჰქონდათო...

ერთმა დედამ მითხრა, ეი, ფრიც, დედაშენი იგრძნობს, მე რომ შენთან პური მომაქვს, არ შეიძლება დედამ დედისა არ იგრძნოს, რა შორსაც არ უნდა იყოს, დედა დედას მაინც გაუგებს, შო და იქნებ დედაშენმაც მიუტანოს ჩემს შვილს იქ, გერმანიაში პური, იქნება, ისიც ტყვედაა ჩავარდნილი, წერილი აღარ მიმიღიაო...

დიახ, ასე იყო, თქვენი დედები, ქართველი დედები, გერმანელ დედებს აფხიზლებდნენ... მე ვერ ვიტყვი, გერმანელ დედამდე აღწევდა თუ არა ქართველი დედის მიერ გერმანელთა შვილებისადმი დახარჯული სითბო, მაგრამ ღმერთი რომ ყველაფერს ხედავდა ეს ჭეშმარიტებაა, ჭეშმარიტებაა, რომ ქართველი დედა ჩვენი დედაც აღმოჩნდა.

მორჩა საქართველოში ტყვედნამყოფი გერმანელი საუბარს და ქართველი დედის სადღეგრძელო შესვა...

მე ჩემთვის ვფიქრობდი:

ღმერთო, ამ გზით ატარე ჩვენი საქართველოს მომავალი, ქართველი დედის გზით...

ქვეყანა, რომლის ხალხიც ავტორია „ვეფხვისა და მოყმის" ლექსისა, სხვა გზით როგორ უნდა ვიდოდეს?

მე გულწრფელად ვეთანხმები ბატონ ვაჟას, რა თქმა უნდა, მიხედვა უნდა გერმანელთა სასაფლაოს თბილისში, ისინი ხომ ჩვენს უწმინდეს მიწაზე განისვენებენ.

ხშირად მსმენია ერთი სადღეგრძელო — „მიწისქვეშა საქართველოს გაუმარჯოსო", ხოდა, გაუმარჯოს! იქ ყველანი ერთნი არიან...

ჩვენი მკვდარიც ჩვენ უნდა ვიტიროთ, და სხვისიც, ეს ყოფილა ჩვენი იღბალი.

ჭირისუფლობა ამაღლებს ქართველი კაცის სულსა და ხასიათს...

სააღდგომო ეპისტოლეში უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს:

„ქრისტიანულ რწმენაზე და სიყვარულზე დაფუძნებულმა მიმტევებლობამ კი არ დაგვღუპა, გადაგვარჩინა".

**ჯანსულ ჩარკვიანი**

# საჭირო განმარტება

მიმდინარე წლის „ლიტერატურულ საქართველოში" (№ 15) დაიბეჭდა ბატონ ვაჟა გურგენიძის წერილი „სიკვდილი ყველას ათანასწორებს."

წერილის ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ სასურველი იქნებოდა ომის პერიოდში თბილისში მყოფი გერმანელი ტყვეების სასაფლაო კეთილმოეწყოსო.

გვსურს გაუწყოთ, რომ ერთ წელზე მეტია, რაც საზოგადოება „თბილისელმა" მიიღო გადაწყვეტილება, თბილისში საირმის გორაზე გერმანელ ტყვეთა მიტოვებულ სასაფლაოს კეთილმოსაწყობად (პროექტის ავტორია არქიტექტორი გივი ჯაფარიძე).

ვვარაუდობთ, რომ სამუშაოები დასრულდება ამა წლის მაისის ბოლოსთვის.

**დავით ციციშვილი**
საზოგადოება „თბილისელის" თავმჯდომარის მოადგილე-განმკარგულებელი

შარშან, წლის მიწურულს „გრაკან თერთში" გამოქვეყნდა გრიგოლ რობაქიძის ერთი უცნობი წერილი; წერილი თავისთავად ბრწყინვალეა და ისეთი ბედის მწერლისთვის, როგორიც რობაქიძეა — უაღრესად მნიშვნელოვანიც კი. აი, ოვანეს თუმანიანისადმი გაგზავნილი ამ წერილის გარშემო არსებული მეტად საინტერესო მასალის მიმოხილვას გვთავაზობს აკადემიკოსი **ედუარდ ჯრბაშიანი**; წერილის თარგმნა ერთმა გარემოებამაც მაფიქრებინა: მასში ქართველი მკითხველისათვისაც ბევრი რამ საგულისხმოა.

**ზიზი შაჰნაზარი**

# ერთი წერილის კვალდაკვალ

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან ოვანეს თუმანიანის პირადი ურთიერთობები, განსაკუთრებით მისი სიცოცხლის ბოლო ათწლეულში, ძალზე მდიდარია და მრავალმხრივი. ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, ლევან ყიფიანი, იაკობ ნიკოლაძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სიკო ფაშალიშვილი, — აი არც თუ სრული სია იმ ქართველ შემოქმედთა, ვისთანაც მეგობრული შეხვედრები და მიმოწერა ჰქონია თუმანიანს, ვისთანაც ერთად მას ორი ქვეყნის ბედზე უფიქრია და ერთობლივი მოქმედების გეგმები შეუმუშავებია. ეს ყოველივე, სომხურ-ქართული სულიერი ერთიანობისა და ურთიერთთანამშრომლობის ბრწყინვალე ფურცლებია, რაზეც თითოეული მათგანის შესახებ ცალ-ცალკე და დაწვრილებით შეიძლება ლაპარაკი.

თუმცაღა, ამ სიაში არის ერთი ისეთი პიროვნებაც, ვის სახელსაც, როცა თუმანიანისეულ ქართულ კავშირურთიერთობებზე გვიხდებოდა საუბარი, მრავალი ათწლეულის განმავლობაში იძულებით დუმილით ვუვლიდით გვერდს. ეს იყო გრიგოლ რობაქიძე (1880-1962), საუკუნის დასაწყისის ქართველი სიმბოლისტების დასის — „ცისფერყანწელების" — მოძღვარი, სახელოვანი პოეტი და დრამატურგი, პროზაიკოსი და პუბლიცისტ-ფილოსოფოსი. ხოლო, რაც შეეხება მისი სახელის ხსენების გვერდის ავლას, ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. 1931 წელს, საზღვარგარეთ მყოფმა გრიგოლ რობაქიძემ შეიტყო მის წინააღმდეგ შეთითხნილი ბრალდებების რეალურად არსებობის ამბავი და, სამშობლოში აღარ დაბრუნდა. შემდგომ ამისა, იგი სამ ათეულ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დასავლეთ ევროპაში და მხატვრული, პუბლიცისტური და ფილოსოფიური ჟანრის ახალ-ახალ ნაწარმოებებს ქმნიდა.

დღეს გრიგოლ რობაქიძე მშობლიურ კულტურას კვლავ უბრუნდება. მისი ნაწარმოებები ხელახლა იცემა, ითარგმნება სხვადასხვა ენებზე. პირადად ჩემზე განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილება დატოვა ამა წლის აპრილის თვის „დრუჟბა ნაროდოვის" ფურცლებზე გამოქვეყნებულმა მისმა პოლიტიკურ-ფილოსოფიურმა რომანმა „ჩაკლულმა სულმა", რომელიც იენის 1933 წლის გერმანული გამოცემიდანაა თარგმნილი.

ავტობიოგრაფიული და მითოსური მოტივებით ნაძერწი ეს რომანი ეროვნულ და საკაცობრიო დიდ პრობლემებს მოიცავს. რომანი 20-30-იანი წლების საბჭოთა სინამდვილის ისეთ ღრმა ანალიზს გვთავაზობს, რომ დღეს იგი წინასწარმეტყველურ საწაულად აღიქმება. ხოლო სტალინის, ამ „უხეში, ველური კავკასიელის" სახე, ვისი „გონი ამოურწყავი ცხოველური ინსტინქტებითაა ნაკვები" და ვისაც მწერალი ადარებს „ისტორიამდელი ჯოჯოს გაქვავებულ თავს", წარმოდგენილია დესპოტის სულიერი მიმოქცევის ისეთი შორს და ზუსტად მხედის დაკვირვებით, რომელთა გასიგრძეგანებას ჩვენ აგერ უკვე ექვსი ათეული წლის შემდგომღა თუ ვახერხებთ... რობაქიძე არა თუ „ამაყობს" იმით, რომ უკიდეგანო სახელმწიფოს ერთპიროვნული ტირანი მისი მცირერიცხოვანი ერის შვილია, არამედ მასში მშობლიური ძირების, მისი ბუნების საუკეთესო თვისებების მოწინააღმდეგესა და უარმყოფელს ხედავს. აი, რას წერს იგი: „ყოველი ერის წიაღში აგრეთვე უცხო სხეულიც იბადება, ასე განსაჯეთ, რაღაც ისეთი, რაც მშობლიურის უარმყოფელია და მისდამი მტრულად ჩასახული. ეს, ეტყობა, ჭეშმარიტად მისი ავტობიოგრაფიული საიდუმლოებაც უნდა იყოს... სტალინი ქართველი იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მის წინააღმდეგობას წარმოადგენდა".

ამგვარი განმსჭვალობით წერისათვის ფართო შემოქმედებითი ჰორიზონტი, საგნის ღრმა ჭვრეტა და ეროვნულის საკაცობრიო სიმაღლეებამდე აყვანის უნარია საჭირო. ეს ყოველივე ღმერთმა მიმადლა რობაქიძეს და ამის გამო, არ შეიძლება იგი ჩვენს ულრმეს პატივისცემას არ იმსახურებდეს.

უნდა ვაღიარო, რომ „ჩაკლული სულის" წაკითხვის შემდეგ სულ სხვა აზრი შეიძინა თუმანიანისა და რობაქიძის მეგობრობის ჭეშმარიტმა არსმა, რაც, რა თქმა უნდა, ჩემთვის თითქოს ადრევე იყო ცნობილი. ადამიანურისადმი ასეთი დიდი მნიშვნელობის მიმნიჭებელი, პოლიტიკურისა და ეთიკური რაობის ასეთი მაღალი განმსჭვალობის მწერლის აზრმა ეროვნული პოეტის მიმართ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. აი, ეს იყო თავიდათავი, რამაც ეს წერილი დამაწერინა, რათა მკითხველს სცოდნოდა, თუ რატომ იყო უცნობი დღემდე ოვანეს თუმანიანის ბიოგრაფიის ეს ფურცლები.

თუმანიანი და რობაქიძე, რომელთა შორის ასაკობრივი განსხვავება ათზე მეტ წელიწადს ითვლის, პირველი მსოფლიო ომისა და მის შემდგომ წლებში გაეცნენ და დაუახლოვდნენ ერთმანეთს, როცა განსაკუთრებით მძიმე პოლიტიკური ვითარების დროს სომხურ-ქართულ ურთიერთობებსა და ურთიერთთანამშრომლობასაც შეეხო. ქართველ მწერალთა და კრიტიკოსთა შორის სწორედ რობაქიძე იყო, ვისაც თუმანიანი პერიოდულად იწვევდა ხან კავკასიის სომეხ მწერალთა მეგობრობის საზოგადოებაში, ხანაც სომხური კულტურის სახლში ლექციების წასაკითხად; რობაქიძე მეზობელი ერის საზოგადოებრიობას ქართული მწერლობის ისტორიასა და მის თანამედროვე ლიტერატურის პრობლემებზე ესაუბრებოდა. 1921 წელს წაკითხული ერთ-ერთი ასეთი ლექცია, რომელიც მსმენელმა დიდის ინტერესითა და გულისყურით მოისმინა, ქართულ პერიოდიკაში მითქმა-მოთქმის საბაბადაც კი იქცა; დაიწერა, თითქოს რობაქიძე სომეხ მსმენელს არწმუნებდა, „ცისფერყანწელთა" ირგვლივ შემოკრებილმა პოეტებმა, მხატვრული ოსტატობის ისეთი სიმაღლეები დასძლიეს, რომ ახლა თვად რუსთაველსაც კი ტოლს არ დაუდებენო. თუმანიანმა არ დააყოვნა და მეგობრის დასაცავად, შესაძლოა მისი თხოვნითაც, მეტად საგულისხმო წერილი გამოაქვეყნა. იგი ტფილისში რუსულ ენაზე გამომავალ გაზეთ „კავკაზსკოე სლოვო"-ში დაბეჭდა, სათაურით — „ჭეშმარიტების აღსადგენად".

განფანტა რა რობაქიძის ლექციის ირგვლივ შექმნილი გაუგებრობები, თუმანიანი, წერილს ასე ამთავრებს: „დასასრულს უნდა მოგახსენოთ, მსმენელზე, სომხურ საზოგადოებრიობაზე, ლექციამ იმ საღამოს დიდი შთაბეჭდილება დატოვა. რობაქიძემ თავისი მჭევრმეტყველური ტალანტითა და მაღალი ლიტერატურული გემოვნებით მიმოიხილა უმდიდრესი მასალა და ქართული ლიტერატურისადმი დამსწრეების დიდი ინტერესი აღძრა; სომხური ლიტერატურული წრეები ყოველთვის მოუთმენლად მოელიან მის შემდგომ ლექციებს".

იმავე პერიოდში (ან ცოტა უფრო ადრე) თუმანიანს რობაქიძისათვის ოთხტაეპოვანი ლექსიც უძღვნია; ლექსმა ჩვენამდე ხელნაწერის სახით მოაღწია და დღემდე, გასაგებ მიზეზთა გამო, არ დაბეჭდილა (ცნობისათვის უნდა მოგახსენოთ, რომ მალე იგი გამოქვეყნდება თუმანიანის თხზულებათა სრული კრებულის 2-ე ტომში; სამწუხაროდ, ისიც უნდა დავძინო, რომ უკვე ორი წელია დასაბეჭდად ხელმოწერილი და აწყობილიც კი ამ უქაღალდობისა და უკანასკნელ ხანებში დატრიალებული „სასტამბო დომხალის" გამო შეფერხდა მისი გამოცემა. აი, ეს ოთხტაეპოვანი ლექსიც:

„სამშობლოსავით რა სევდიანი, რა ფერმკრთალი ხარ დღეს, მაგრამ ვით არცროს ღრმა ხარ და მშვენი, მტკიცე რვალი ხარ დღეს, ძმასთან ხარ მწუხარ, წუხილის მისის ალი-კვალი ხარ დღეს, თუმც, გულს მიტანჯავს, ტრფობის ძლიერი, ძმაო, ძალი ხარ დღეს".

ყოველნაირად ეტყობა, რომ ლექსი ჩვენი ორი ერის მძიმე ხვედრის თაობაზე სევდიანი საუბრის უშუალო შთაბეჭდილებითაა შექმნილი. არა და, თითოეულ სტრიქონში რაოდენი სიყვარულია გამჟღავნებული მეზობელი ერისა და მისი პოეტის, ძმად აღიარებული პოეტის მიმართ.

თუმანიანსა და რობაქიძეს მსგავსი საუბრები ერთმანეთში არაერთხელ ჰქონიათ; უმცროსი მეგობარი ამ საუბრებს ჩვეული გულისყურით მოქცევია და, ეტყობა, ისეთი სიყვარულითა და პატივისცემით ყოფილა განმსჭვალული თანამოსაუბრისადმი, რომ ეს ყოველივე ჩაუწერია და დასაბეჭდადაც კი მოუმზადებია, 1923 წლის აპრილის თვეში თუმანიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთ „რუბიკონში" გამოქვეყნებული სამძიმრის წერილიდანაც დასტურდება: „ვიმედოვნებ, ჩემს საუბრებს თუმანიანთან როცა იქნება, გამოვაქვეყნებ", — აღნიშნავდა რობაქიძე.

რა ბედი ეწია ამ ჩანაწერებს? საზღვარგარეთ მოხვდა მის ავტორთან ერთად თუ სამშობლოდან მისი გაძევების შემდეგ დამსჯელი ორგანოების მსხვერპლად (რაც უფრო სავარაუდოა) იქცა? ეს კითხვა პასუხს ალბათ, უფრო ქართველი ლიტერატორებისაგან უნდა მოელოდეს. სასწაულად თუ მართლა გადარჩა მათი საუბრების ეს ჩანაწერები, იქნება ჭეშმარიტად ბრწყინვალე აღმოჩენა, რაც იმ წლების ქართულ-სომხური ურთიერთობების ჩვენს წარმოდგენას კიდევ უფრო გაამდიდრებს.

დაწვრილებით აღარ შევჩერდები რობაქიძის უკვე ხსენებულ წერილზე („დაუვიწყარი შეხვედრები"); გასული წლის ივლისში იგი ერევნის რუსულ გაზეთშიც („კომუნისტი") დაიბეჭდა და თბილისის „ვეჩერნი ტბილისი"-შიც. მხოლოდ ერთს კი შევნიშნავთ, რომ წერილში განსაკუთრებული სიყვარულია გამოხატული „ნათლითმოსილი თუმანიანისადმი", როგორც თავად რობაქიძე მოიხსენიებს უკვე განსვენებულ პოეტს. ჩვენ თუმანიანის მომხიბვლელობის, მისი დიდი ადამიანური და შემოქმედებითი ღირსებების შესახებ თქმული არა ერთი და ორი სიტყვა გვსმენია, როგორც მშობლიური, ისე სხვა ერის შვილებისაგან, მაგრამ არ შემიძლია განსაკუთრებით არ აღვნიშნო ქართველი მწერლის სიტყვები მის მიმართ, რაც ჩვენში ერთგვარ სიამაყის გრძნობასაც კი იწვევს. აი, რამდენიმე ადგილი რობაქიძის წერილიდან:

„ამგვარი სიღრმე, ასეთი სისადავე მხოლოდ საუკუნეში ერთხელ თუ ანათებს".

„ოვანესი თავად იყო სიყვარულის განსახიერება. საგნებსა და მოვლენებს იგი ყოველთვის სიყვარულის პრიზმაში ჰვრეტდა".

„სიცოცხლე შეხვედრაა, სიკვდილი — განშორება. ოვანეს თუმანიანი ჩემთვის მთელი, უჩვეულო, დაუვიწყარი შეხვედრა იყო".

ამავე წერილ-ნეკროლოგში რობაქიძე ერთ ბარათს იხსენებს, 1922 წლის დეკემბერში რომ გაუგზავნია თუმანიანისათვის; ეს ის დღეებია, როცა პოეტი მოხკოვს გასამგზავრებლად ემზადება, რათა იქიდან ევროპაში ჩავიდეს უკურნებელი სენის განკურნების ვაგლახ რომ არამყარი იმედით. „შესაძლოა, რომ გამგზავრების წინ ცოტა ხნით ადრე ჩემი წერილი მიიღო? — წერს რობაქიძე, — ან იქნებ ისეც მოხდა, რომ წერილი ვერ მიიღო? არა და, თუ ვერ მიიღო იგი და ჩემი დამშვიდობების სიტყვები წაუკითხავი დარჩა, დიდად დამწყდება გული".

რა წერილზეა აქ ლაპარაკი? ნეტავი, გადარჩა თუ არა? საბედნიეროდ წერილმა ჩვენამდე მოაღწია. თუმანიანის მემკვიდრეებმა სხვა სიწმინდეებთან ერთად დიდი მზრუნველობით შემოგვინახეს რობაქიძის ხსენებული წერილი (ცამა რომ თქვას, საზღვარგარეთ „გაქცეული" მწერლის მიმართ განსაკუთრებულად მტრულ ვითარებათა წლებში, როცა ყველაფერი საშიში იყო, არავის გაგვიკვირდებოდა, წერილი რომ გამქრალიყო...). რამდენიმე წლის წინათ, როცა აწ განსვენებულმა თამარ თუმანიანმა, პოეტის უმცროსმა ქალიშვილმა, გადაწყვიტა — ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფისათვის მამისეული უცნობი მასალები გაეცნო, სწორედ ამ მასალებში აღმოვაჩინეთ რობაქიძის წერილიც. სიფრთხილის გამო წერილს წაჭრილ-წაკვეთილი აქვს გრიგოლ რობაქიძის ხელმოწერა. იმჟამინდელი შემზარავი ვითარებების გამო სრულიად გასაგები (აგრეთვე — მისატევებელი) იყო ეს „ნამოქმედარი". ამჟამად წერილი თუმანიანის მუზეუმის ახალი მასალების განყოფილებაშია დაცული.

გრიგოლ რობაქიძის წერილი ისე კარგად წარმოგვიდგენს ორი მწერლის სიახლოვესა და ურთიერთსიყვარულის ამაღლებულობას, იმდენად კარგად ასახიათებს იგი ადრესატსაც და მის ავტორსაც, რომ გამორჩეული ადგილი უკავია იმ უამრავ (შემორჩენილი ასეულობითაა) წერილებს შორის, რაც კი თუმანიანს ოდესმე მიუღია. თავს ვალდებულად ვთვლით, წერილი მკითხველს რუსულადაც გავაცნოთ და მისი თარგმანიც წარმოვუდგინოთ (გრიგოლ რობაქიძის წერილს ვთავაზობთ მხოლოდ ქართულ ენაზე. — „ლს" რედ.).

**ძვირფასო ოვანეს!**

იაკობ ნიკოლაძის საიუბილეო შენმა წერილმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა ყველაზე, ჩემზე კი განსაკუთრებული. შენს სიტყვებში გაცხადებულად ვგრძნობთ საქართველოს სიყვარულს, სიყვარულს, რისი განცდაც მხოლოდ დიდი ადამიანის ხვედრია. იქნებ, არც არასდროს მქონია შენთან სიახლოვის ისეთი დიდი სურვილი, სიახლოვის, როგორც ამჟამად. მე ახლა ერთიანად ჩემი სიღრმეების წიაღისაკენ მივიქეც და ერთდროულად „საკუთარს — განსაკუთრებულად ჩემეულს" შემოქმედებითად სავსებით დავშორდი... მე ახლა ის ენითუთქმელი სისადავე მიტაცებს და მანცვიფრებს, რომელიც ბუნების ჯერეთ შეუცნობ მონაკვეთებზეა ამოტვიფრული. ეს — დაღლილობის გამო ნუ ეგონება ვინმეს. ეს ყოველივე სიბრძნის გამო უფროა. ეს ნაკადი ჩემს მისტერიაში — „წმინდა ნინოს ჯვარი" — მაქვს წარმოჩენილი. მსგავსი განცდებით ჩემ ძმად (უფროს ძმად) წარმომიდგენიხარ. ის, რომ შენ ახლა სარეცელს ხარ მიჯაჭვული, ჩემი დიდი საწუხარია. ხშირად, ჩემს ლოცვებში უცებ შენი სახელიც გაკრთება ხოლმე. **სიყვარული** — აი, თავიდათავი. დანარჩენი, ყველაფერი სისულელეა. **სიყვარული** კი **გმირობაა**, — საშინელი, ძნელი.. ასე მგონია, რომ **სიყვარულს** მწვერვალამდე თუ აიყვან, — ბოლო, დასრულებულ საზღვრამდე, — სიკვდილი გაქრება მაშინ... მე თუ შენ მიყვარხარ, ადამიანო, ბოლომდე. მაშასადამე, მარადიული სიმშვიდის საუფლოშიც შევხვდებით... რაკი ეს ასეა, აღარც **სიკვდილი** ყოფილა, ძვირფასო ოვანეს! არ იფიქრო, თითქოს დაგივიწყე, ანდა — რაღაც ამგვარი; გახსოვდეს, რომ შენ არ გივიწყებენ: სიყვარულსა, ბავშვურ გრძნობებსა და მამაშვილურ ერთგულებაში.

სულით და გულით შენი

**გრიგოლ რობაქიძე**
**ტფილისი, 22.XII, 1922.**

აი, როგორი წერილი მიუწერია ქართველ მწერალს თუმანიანისათვის 68 წლის წინათ. ამ სულაც რამდენიმე სტრიქონშიც კი თვალნათლივ ჩანს რობაქიძის დიდი სიყვარული გენიალური სომეხი პოეტისადმი, მისი კაცთმოყვარული, დიდებული აზრებისადმი, რომლებშიც ძალიან ბევრი რამ არის საკუთრივ თუმანიანისეული... ვფიქრობთ, წერილი დამატებით რაიმე განმარტებებს არ უნდა მოითხოვდეს, მხოლოდ ერთი რამ უნდა აღვნიშნო, რომ იგი ბრწყინვალე მოქანდაკის, იაკობ ნიკოლაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით, 1922 წლის 11 დეკემბერს თუმანიანისეულ მისასალმებელ სიტყვას გულისხმობს. ეს იყო სომეხი პოეტის ბოლო სიტყვა იმ მრავალრიცხოვან სიტყვათა შორის, მან „საქართველოს სულს", „საკაცობრიო და ღვთაებრივ" ქართველ ხალხს რომ მიუძღვნა.

დაბოლოს, რა შეიძლება ითქვას იმის თაობაზე, თუმანიანმა მიიღო თუ არა „დამშვიდობების" ეს წერილი, ასე რომ, აწუხებს რობაქიძეს? უფრო სარწმუნო ის უნდა იყოს, რომ არ მიუღია. წერილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1922 წლის 22 დეკემბერსაა დაწერილი, თავის უკანასკნელ მოგზაურობაში, საიდანაც თუმანიანი აღარ დაბრუნებულა, მეორე დღეს წავიდა... თუმანიანის ქალიშვილის, ნვარდ თუმანიანის დღიურში 1922 წლის 23 დეკემბრით დათარიღებულ ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „განწყობილება ძალზე მძიმე იყო... გარეგნულად თავი ვითომ ყინჩად ეჭირა, მაგრამ შინაგან მღელვარებას მაინც ვერ ფარავდა. და, საერთოდაც, საგონებელში ჩავარდნილს ჰგავდა, ცოტას ლაპარაკობდა, უმეტესწილად სდუმდა, გამოზომილი, ფრთხილი ნაბიჯით დადიოდა. უკანასკნელად თავის კაბინეტშიც შევიდა, შეათვალიერა საწერი მაგიდის უჯრები და ხელნაწერებისთვის განკუთვნილი საქაღალდეები. ღამის ათი საათისთვის უკვე მოსკოვის გზას დავადექით".

რაოდენ სასიხარულო იქნებოდა, გამგზავრების წინა დღით დაწერილი წერილის მიღება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, სადაც სიკვდილზე გამარჯვებული სიყვარულისა და მეგობრობის, „მარადიული სიმშვიდის" ქვეყანაში მათი მომავალი შეხვედრის შესახებ მოგვითხრობს რობაქიძე...

თუმცა ეს კია, რობაქიძე და თუმანიანი სულიერად ისე მტკიცედ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, ორივე მწერლის ცხოვრება ეროვნული თუ საკაცობრიო იდეებით იმდენად იყო გაჯერებული, რომ მათი გულების ძახილი უსიტყვოდაც გასაგები იქნებოდა მათთვის...

დაე, მათი ორმხრივი სიყვარულის ეს ხმა სომეხ და ქართველ ხალხებსაც ხწვდებოდეს აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე.

**ედუარდ ჯრბაშიანი.**
„გრაკან თერთი" (ლიტერატურული გაზეთი).

1990 წლის 7 დეკემბერი.

# ქართველები და მათი ნაფუძარ-ნასახლარები ირანში

**— გიორგი ჭიპაშვილი —**




ქართველთა ნასახლარების კერები ირანში

ცნობილია, რომ ქართველთა ერთადერთი სამკვიდრო ადგილი დასაბამიდან მხოლოდ საქართველოს ტერიტორია იყო. ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარ მიწა-წყალზე მყარი დასახლებით გამოირჩეოდა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ქართველების წინაპრები აქ უხსოვარი დროიდან ეწეოდნენ ინტენსიურ მეურნეობას, მოჰყავდათ უნიკალური ჯიშის მრავალწლიანი კულტურები, გამომუშავებული ჰქონდათ ბინადარი ცხოვრებისა და საქმიანობის ორიგინალური ჩვევები. ყოველივე ამას ხელს უწყობდა ქვეყნის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა და მეურნეობისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები. ამიტომაც არის, რომ დღესაც ქართველი მოსახლეობა მამა-პაპათა ტერიტორიაზე კონცენტრაციის დონით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში (აქ ქართველების უდიდესი უმრავლესობა, 96 პროცენტი, საკუთარ ტერიტორიაზე ცხოვრობს), არამედ მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხებს შორისაც. წინაპართა მიწისადმი განსაკუთრებული სიყვარული და ერთგულება მუდამ იყო და არის ქართველი კაცის გამორჩეული თვისება. ისტორია მოწმობს, რომ თუ არა იძულება, მას ვერაფერი მოგლეჯდა საკუთარი ფუძე-მიწიდან.

მაგრამ ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, მეტადრე ირანში, ქართველთა ინფილტრაცია, როგორც ისტორიული ფენომენი, დამახასიათებელი გახდა მთელი ფეოდალური შუასაუკუნეების პერიოდისათვის, განსაკუთრებით მეცამეტე საუკუნის შემდეგ, როცა თათარ-მონღოლთა ურდოების შემოსევები იღებს სათავეს. სწორედ ამ დროიდან მოკიდებული, როცა აზიელი ნომადი მარბიელების თარეშმა პერმანენტული ხასიათი მიიღო, რბევა-განადგურებისა და მოსახლეობის დეპორტირების შედეგად მრავალი ქართველი მოწყვიტეს საკუთარ მიწას და უცხო ადგილებში გახიზნეს. ამ დროს მტრის მოხდომებთან იყო დაკავშირებული და მის უშუალო ანარეკლს წარმოადგენდა აგრეთვე ისეთი მოარული სოციალური სენი, როგორიც ტყვეებით ვაჭრობა იყო. მონათვაჭრობა საქართველოში თვით მეცხრამეტე საუკუნის შუამდე მძვინვარებდა. ქართველი ფეოდალ-თავადებიც კი იმდენად გადაგვარდნენ, რომ ბევრმა მათგანმა ყმა-გლეხების ბავშვების გასაღება ჩვეულებრივი შემოსავლის წყაროდ გაიხადა. ქართველოლოგი ვ. ალენი აღნიშნავს, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში საქართველოს სამეფო კარმა (თეიმურაზ პირველი) ბრალი დასდო თავადებს, რომლებმაც ათასობით მონა ბიჭი მიჰყიდეს ოსმალებს. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც მეჩვიდმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მოიარა საქართველო და ირანი, თავის შთაბეჭდილებებში წერს, რომ „თავადები ტირანულ ხელისუფლებას ახორციელებდნენ ხელქვეითების მიმართ. მათ სრულ განკარგულებაში იყო ყმების მთელი ავლადიდება, თავისუფლება და სიცოცხლე. მათ მიჰყავდათ მათი ბავშვები და მონათა ბაზარზე ყიდდნენ“. ტყვე ქართველი ყმაწვილებით ავსებდნენ და აკომპლექტებდნენ ეგვიპტელ, სირიელ თუ ერაყელ მამლუქთა რაზმებს, თურქეთის იანიჩართა რეკრუტებს, ირანის შაჰების ყულარ-ღოლამ გვარდიელებს, გაყიდული ქართველი ქალწულები სულთნების, შაჰების, ბეგებისა და ხანების მრავალრიცხოვანი ჰარემების სამკაულებს წარმოადგენდნენ.

აზიელ ნომად-მარბიელთა შემოსევების დაუსრულებელი ჯაჭვიდან ერთ-ერთი ავბედითი რგოლი იყო ქვემო ქართლსა და კახეთში შაჰ-აბასის ყიზილბაშთა ურდოების ლაშქრობები. შაჰის შემოსევები საქართველოში სისასტიკით თვით თათარ-მონღოლთა და თემურიანთა თარეშებს აღემატებოდა. ჯერ კიდევ მანამდე თურქ-ოსმალებისა და სეფიანი ყიზილბაშების დარბევებით თავმობეზრებული ქართველი მმართველები ხსნას ერთმორწმუნე რუსეთში ეძებდნენ. ეს კიდევ მეტად აბოროტებდა მტერს და შურისძიებისათვის განაწყობდა. 1614-1617 წლებში შაჰ-აბასი დიდძალი ჯარით ოთხგზის შემოიჭრა საქართველოში. მიუხედავად ქართველი პატრიოტების ქედუხრელი შერკინებისა, მოწინააღმდეგის რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა. ყიზილბაშთა ურდოებმა მოითარეშეს ქვემო ქართლი, ბარის კახეთი და ჰერეთი. ათასობით ოჯახი, რომლებმაც მთებში გახიზვნა ვერ მოასწრეს, დაატყვევა და ირანს წაასხა. თურქმანები ჩამოასახლა. ამით შაჰს განზრახული ჰქონდა გაეტეხა ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგობა, ხოლო შემდეგ ჩამოსახლებულ თურქმანებზე დაყრდნობით, საბოლოოდ დაეპყრო საქართველოს მიწა-წყალი. საბედნიეროდ, როგორც ყოველთვის ხდებოდა ხოლმე, ზღაპრული ფენიქსის მსგავსად საქართველო ამჯერადაც კვლავ აღდგა ნანგრევებიდან და ფერფლიდან. მტრის განზრახვას აღსრულება არ ეწერა.

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც ირანში ქართველების გადასახლებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩავიდა, წერს, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს მოწყობილი ლაშქრობების შედეგად საქართველოდან ირანში 80 ათასი ოჯახი გადაასახლეს. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ თითოეულ ოჯახში საშუალოდ ხუთ სულს მაინც ვიანგარიშებთ (მაშინდელი ოჯახები უფრო მრავალრიცხოვანი იყო), გადასახლებულთა რიცხვი 400 ათასი სულს შეადგენდა.

ტყვე ქართველები, შაჰის ბრძანებით, ირანის სხვადასხვა მხარეში ჩაასახლეს. მათ ბინა დაუდეს ირანის კასპიისპირეთში (გილანი, მაზანდარანი), ხორასანში, ისფაჰანში, ფარსში, ქერმანში, ქერმანშაჰში, ქურთისტანში, ირანის აზერბაიჯანში, დიზკულის მხარეში, ხუზისტანში და კიდევ ბევრ სხვა ადგილას. შაჰმა კულტურული მეურნე ქართველების დიდი ჯგუფები ჩაასახლა ირანის უზარმაზარი ზეგნის ცალკეულ ადგილებში, რათა აქ ინტენსიური მეურნეობის განვითარებისათვის შეეწყო ხელი. ამ გზით იგი ცდილობდა დაეპირისპირებინა ისინი მომთაბარე ტომებისათვის, რომელთა ექსტენსიური, არარენტაბელური წარმოება სარფიანი არ იყო. რჩეული ტყვე ქართველი ვაჟკაცები შეიყვანა ყიზილბაშთა არარეგულარული რაზმებისაგან განსხვავებულ ახალ, ბრძოლისუნარიან სამხედრო შენაერთებში, რომელთა ჩამოყალიბება ინგლისელ სამხედრო ინსტრუქტორებს, ძმებს ანტონი და რობერტ შერლებს მიანდო. ქართველი ტყვე მეომრებით დაკომპლექტებული ღოლამყულარების ლაშქარი, რომელიც ქვეყნის სამხედრო პოტენციალს ამაღლებდა, შაჰს გამდგარი ყიზილბაში ტომების თვითნებობის ალაგმვადაც სჭირდებოდა. ეს უკანასკნელნი მას საიმედოდ არ მიაჩნდა და ეჭვის თვალით უყურებდა მათ. ქართველი მეომრები კი, იმ დროს შაჰის კარზე მყოფი იტალიელი პიეტრო დელლა ვალლეს თქმით „ადვილად იწვრთნებოდნენ და ერთგულად ემსახურებოდნენ“. ამასთან ისინი ხომ განთქმული იყვნენ მაღალი მხედრული თვისებებით. საქმე ისე წარიმართა, რომ ქართველი ვაჟკაცები, რომლებმაც თავიანთ სამშობლოში დამპყრობლების წინააღმდეგ სამართლიან და გმირულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში მოიხვეჭეს სახელი, აქ, შორეულ ირანში უსამართლო, დაპყრობითი ომების უნებლიე თანამონაწილენი, შაჰის ნების აღმსრულებელნი უნდა გამხდარიყვნენ. მაგრამ უაღრესად ძნელ პირობებშიც კი ირანს გადახვეწილ ქართველებს არცერთი წუთით არ დაუკარგავთ სამშობლოში დაბრუნების იმედი, მისი სიყვარული. ამისათვის თუნდაც ძმა უნდილაძეთა — იმამ ყულიხანისა და დაუდ-ხანის მაგალითიც კმარა: მათ ხომ კავშირი არ გაუწყვეტიათ საქართველოსთან, მიუხედავად იმისა, რომ ამით საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდნენ, ათასობით ყულარი და ღოლამი, რომლებიც შაჰის მცველი გვარდიელები იყვნენ, თავიდანვე ადგილობრივ მოსახლეობაში ასიმილაციისათვის იყვნენ განწირული. მათ შთამომავლებს მალე დააკარგვინეს მამაპაპათა ადათ-წესები, წაართვეს დედა-ენა და სპარსულ მოსახლეობაში გაითქვიფნენ. 1677 წელს, როცა ინგლისელი მოგზაური ჯონ ფრაიერი ისფაჰანის მიდამოებს ეწვია, ნახა, რომ აქ იმ დროს მრავალი ათასი ქართველი ყულარი იმყოფებოდა. ისინი მხედრული უნარით გამოირჩეოდნენ. შემდეგი თაობის ევროპელი მოგზაურები უკვე აღარაფერს წერენ ტყვე ღოლამთა შთამომავლების ქართველობის შესახებ.

ეხება რა ხასას როლს ისლამურ პოლიგამიურ საზოგადოებაში, იტალიელი პიეტრო დელა ვალე, რომელიც როგორც რომის პაპის ურბან მერვის დესპანი, ისფაჰანში იმყოფებოდა 1618-23 წლებში (მას ცოლად ჰყავდა ტყვე ქართველი ქალი თინათინი, რომელთანაც 11 შვილი შეეძინა) წერს, რომ შაჰის პირველი ოთხი ცოლი, რომლებიც კანონიერ ცოლებად („აღდი“) ითვლებოდნენ, ჩვეულებრივ, კავკასიიდან იყვნენ წამოყვანილი. „ამათგან უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ“. ჟან შარდენის აზრით, ირანში იშვიათად ნახავდით მაღალი წრის წარმომადგენელს, რომლის დედა ქართველი ან ჩერქეზი ქალი არ ყოფილიყო.

ირანში გადასახლებული ქართველების შთამომავლებმა დედა ენა და ზოგიერთი ქართული ტრადიცია შეინარჩუნეს მხოლოდ ფერეიდანის შაჰრესთანში (პროვინცია, ქვეგუბერნია), რომელიც ისფაჰანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. აქ, ზაგროსის მაღალი მთების ფერდობებზე სეფიანთა ძველი სატახტოდან 140-165 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1500-2670 მეტრის სიმაღლეზე შემორჩენილია 14 ქართული სოფელი. ფერეიდნის მთიანეთში ქართველების ჩასახლების თაობაზე სხვადასხვა გადმოცემა და ლეგენდა არსებობს. ირანელ მემატიანეთა და იმდროინდელ ევროპელ თვითმხილველ მოგზაურ-დამკვირვებელთა ცნობით, აქ ქართველები შაჰს ჩაუსახლებია უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალის — ისფაჰან-ბორუჯერდ-ჰამადანის გზის მომთაბარე ტომების თავდასხმებისაგან დასაცავად. ეს გზა ირანის მაშინდელ დედაქალაქ ისფაჰანს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებთან და თურქეთთან აკავშირებდა. ახლა ფერეიდნის ამ 14 სოფლიდან 10 სოფელში მოსახლეობამ საკმაოდ კარგად შეინარჩუნა ქართული ენა. დანარჩენ 4 სოფელში კი ქართული საუბარი შედარებით უჭირთ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახლომდებარე სპარსელებისა და ლურების სოფლებში ფერეიდნელი ქართველების კეთილმყოფელი გავლენით მოსახლეობის ნაწილი ახერხებს ქართულად საუბარს. ნიშანდობლივია, რომ აქაურ ადგილებს გადასახლებულმა ქართველებმა მშობლიური მიწის სიყვარულით შეარქვეს ისეთი სოფლების სახელები, როგორიცაა მარტყოფი (ზემო და ქვემო), ვაშლოვანი, რუისპირი, ჩუღურეთი, ნინოწმინდა და სხვა. მაგრამ ირანელ მმართველებს ხელს არ აძლევდა ეს და ამ სოფლებს სპარსული ტოპონიმიკის შესაფერი სახელები გამოუძებნეს. მაგალითად, ზემო და ქვემო მარტყოფებს შესაბამისად ახორე ბალა (ზემო დასახლება) და ახორე ფაინ (ქვემო დასახლება) უწოდეს. ზემო მარტყოფი უკანასკნელი ორი ათეული წელია ახალ სახელს — ფერეიდუნშაჰრს (ფერეიდანის ქალაქი) ატარებს. გაორებული სახელები (ქართული და სპარსული) აქვთ სხვა სოფლებსაც.

ქართველების დასახლებული სოფლები ფერეიდანში (ცივი კლიმატით, სარდ სირ) ხასიათდება. მკაცრი ბუნებრივ-კლიმატური პირობები გავლენას ახდენს მეურნეობის ხასიათზე. მოსახლეობა ძირითადად მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას ეწევა. ცალკეულ, შედარებით დაბლა მდებარე სოფლებში, აქვთ ხეხილის ბაღები და ვენახები.

ისტორიამ მძიმე ხვედრი არგუნა ფერეიდნელს, ისევე როგორც ირანში გადახვეწილ მრავალ ქართველს. ასეული წლების მანძილზე ისინი სამშობლოსაგან მოწყვეტით, იზოლირებულად ცხოვრობდნენ მაღალი მთიანეთის ძნელ პირობებში. საქართველოს, რომელსაც არანაკლებ ძნელ პირობებში უხდებოდა გადარჩენისათვის ბრძოლა, შესაძლებლობა არ ჰქონდა მათთვის დახმარების ხელი გაეწოდებინა. XIX საუკუნემდე არც რომელიმე ევროპელი მოგზაური ჩანს, რომელსაც შესაძლებლობა ექნებოდა ფერეიდანის მთებში ასულიყო და საკუთარი თვალით ნანახი აღეწერა. ლაიარდი შეჩერებულა ქართველებით დასახლებულ ყველაზე დიდ სოფელ ზემო მარტყოფში, რომელიც, როგორც ვიცით, მაშინ ახორე ბალას სახელით იყო ცნობილი. ავტორის თქმით, იმ დროს ფერეიდნის მარტყოფში 150 კომლი ცხოვრობდა. იგი ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებს ახასიათებს, როგორც შრომისმოყვარე და გამრჯე ადამიანებს. აქაური სოფლები, მიუხედავად მაღალმთიანი მდებარეობისა, „ბაღებსა და ხილნარებში არის ჩაფლული“. ისინი „თვალისმომჭრელი სილამაზით და მიმზიდველობით გამოირჩევიან მათ გარშემო მდებარე ყველა დასახლებებისაგან“. ჰ. ლაიარდის ყურადღება მიუპყრია იმას, რომ ფერეიდნელი ქართველი ქალები, მუსლიმი ქალებისაგან განსხვავებით, უჩადროდ, სახეახდილი დაიარებოდნენ. „ისინი საოცრად ლამაზები არიან“ — დასძენს იგი.

როგორც ცნობილია, 1894 წელს ფერეიდანს დიდი გაჭირვებით მიაღწია ქართველმა ლადო აღნიაშვილმა, რომელმაც თავისი შთაბეჭდილებების საფუძველზე 1896 წელს თბილისში გამოაქვეყნა საკმაოდ გახმაურებული და დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“. წიგნში მოცემულია ფერეიდნის ქართული სოფლების საფუძვლიანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერა.

1905 წელს ინგლისელმა ა. ფ. სტაჰლმა, რომელმაც ცენტრალური და აღმოსავლეთი ირანის ზეგანი მოიარა, ფერეიდნის ქართველებით დასახლებული სოფლებიც მოინახულა. მან დაწვრილებით აღწერა სოფლები ახორე ბალა (ზემო მარტყოფი), ახორე ფაინი (ქვემო მარტყოფი), აფური (რუისპირი) და დაშქესანი. ა. სტაჰლი წერდა, რომ აქაურმა მცხოვრებლებმა ქართული ენა შეინარჩუნეს, მაგრამ ისინი „ახლა მაჰმადიანები არიან და ზოგჯერ მეზობლად მცხოვრებ სპარსელებთანაც ამყარებენ საქორწინო კავშირს“.

1925 წელს, ირანში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს, ცნობილი ენათმეცნიერის აკადემიკოს ნიკო მარის შვილი იური მარი ისფაჰანში შეხვედრია ფერეიდნელ ქართველ ჯარისკაცს და მასთან საუბარი ჩაუწერია. იური მარს უამბეს, რომ ფერეიდანის ქართულ სოფლებში სახლებს ხურავენ განსხვავებული ფორმით, რომელსაც მიუღია „გურჯი ფუშტ“ (ქართულად დახურული) სახელწოდება. „შეხვედრისას, აღნიშნავდა ი. მარი, ფერეიდნელი ქართველები ერთმანეთს მოიკითხავენ: „ნამა ხარ!“, „შენი დავლათით როგორა ხარ!“, და არა ისე, როგორც საქართველოში: „გამარჯობა, გაგიმარჯოს!“.

1926 და 1927 წლებში ფერეიდანში იმოგზაურა ცნობილმა ქართველმა ეკონომისტმა, მთარგმნელმა და მწერალმა ამბაკო ჭელიძემ, რომლის წიგნი „ფერეიდნელი ქართველები“ ორჯერ (1935 და 1951 წლებში) დაიბეჭდა. ა. ჭელიძის ნაშრომებში ჩმას ეკუთვნის აგრეთვე სპარსელ კლასიკოსთა თარგმანები და წიგნი „ექვ-

ხი წელი სპარსეთში“. თბილისი, 1966 წ.) საინტერესო სტატისტიკური, გეოგრაფიული, ისტორიული და დემოგრაფიული ცნობებია ირანისა და იქ მცხოვრები ქართველების შესახებ. ამბაკო ჰელიძემ თბილისში ჩამოიყვანა ფერეიდნელი ამირა (ამირანი), რომელმაც თბილისში დაამთავრა საშუალო სკოლა და შემდეგ კვლავ ფერეიდანს გაემგზავრა. მან გარკვეული როლი ითამაშა ფერეიდნელთა შორის ქართული წერა-კითხვის გავრცელების საქმეში.

ფერეიდნელთა ცხოვრებას ასახავს კინორეჟისორების ირაკლი კანდელაკისა და გურამ პატარაიას მიერ 1944 და 1969 წლებში გადაღებული ფილმები „ქართველები ირანში“ და „შორია გურჯისთანამდე“.

ფერეიდნული ქართულის თავისებურებათა შესწავლით დაინტერესდნენ აკადემიკოსები არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია. 70-იანი წლების დასაწყისიდან ფერეიდნული კილოს თავისებურებებს კომპლექსურად იკვლევენ თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი და ჯ. გიუნაშვილი. გარდა ამისა, ირანში მცხოვრებ თანამემამულეთა წინაპრების საქართველოდან გადასახლებისა და მათი დღევანდელი ცხოვრების შესახებ არაერთი საყურადღებო ნაშრომი შექმნეს ზ. შარაშენიძემ, მ. თოდუამ, რ. კიკნაძემ, კ. ტაბატაძემ, კ. კუციამ, თ. ნატროშვილმა და სხვ. აგრეთვე მწერლებმა (ვ. ჟურული, ი. რურუა, რ. ჩაჩანიძე და სხვ.), ეთნოგრაფებმა (გ. გოცირიძე და სხვ.) და ჟურნალისტებმა. აღსანიშნავია, რომ 1979 წელს ირანში მცხოვრები თანამემამულეების წარსულისა და თანამედროვეობის საკითხებზე ისფაჰანში გამოქვეყნდა თავად ფერეიდნელი ქართველის მაჰმად სეფიანის (სეფაშვილი) მეტად საინტერესო წიგნი. ეს ირანში დაბეჭდილი პირველი მონოგრაფიული ნაშრომია ამ თემაზე. ავტორს დიდი რუდუნებით უმუშავია საკითხის სრულყოფილად გასაშუქებლად, რისთვისაც გამოუყენებია საკუთარი დაკვირვებები და მდიდარი ისტორიული და ფაქტობრივი მასალა. მ. სეფიანის წიგნში მკითხველი იპოვის მრავალ საისტორიო ცნობას იმ ქართველთა შესახებაც, რომლებიც შაჰ-აბასს ირანის სხვადასხვა მხარეში ჩაუსახლებია.

გარდა ფერეიდანის ამ რამდენიმე სოფლისა, სადაც მოსახლეობამ საუკუნეები გამოატარა და შეინარჩუნა მშობლიური ენა, ქართველი კაცის იერსახე, ხასიათი, ზოგიერთი ქართული ადათ-წესები და, ამნაირად, მიუხედავად დიდი ტანჯვისა და წამებისა, მაინც დარჩა ქართველად. ირანის უზარმაზარ ტერიტორიაზე ბევრ ისეთ ადგილსაც ვხვდებით, რომლებსაც მხოლოდ ქართველი მოსახლეობის ნაკვალევი და ნასახლარიღა შემორჩა. ქართველთა კვალს, რომელიც უმეტესად სიტყვა „გორჯთან“ (ქართველი) დაკავშირებულ ტოპონიმებში ამოიკითხება, მეტწილად ვხვდებით მაზანდარანის პროვინციაში, სადაც დეპორტირებულთა პირველი დიდი ჯგუფები ჩაუსახლებიათ. 1618 წლის თებერვალში მაზანდარანს ქართველთა ჩასახლების „ცხელ კვალზე“ ეწვია ჩვენთვის ცნობილი პიეტრო დელა ვალე. მან თავისი თვალით ნახა ის ადგილები ქალაქ სარის შემოგარენში, სადაც შაჰს ტყე-ჯაგნარი გაუჩეხინებია და იქ ქართველი, სომეხი და ებრაელი ტყვეები ჩაუსახლებია. პიეტროს იქ მისვლის დროისათვის ახლად მოსულები უკვე შესდგომოდნენ ახოებისა და ყამირის ათვისებას. ჩასახლებულებს „მზრუნველმა“ შაჰმა სახელმწიფო ხაზინიდან გამოუყო სესხი თავშესაფრის ასაშენებლად, თუთის ნარგავების გასაშენებლად და მეურნეობის მოსაწყობად. სესხი მაღალი პროცენტით უნდა გადაეხადათ. ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ტყვეებს ქვეყნის მბრძანებლისათვის გოგო-ბიჭები უნდა ეძლიათ. ამასთან, ერთ-ერთ პირობად გამაჰმადიანებაზე უსიტყვო თანხმობაც იყო დაწესებული. შაჰს ქართველების სხვა ჯგუფის ჩასახლება ფარაჰაბადის, აშრაფის, ამოლის, ბაბოლისა და შაჰის (ადგილის სახელია) მიდამოებში უბრძანებია. მარტო მაზანდარანის დასახელებულ რაიონებში ქართველებისა და სომხების 80 ათასზე მეტი ოჯახი ჩაუსიზნავთ. ფრანგი ლუი ბულანის თქმით, მაზანდარანში ჩასახლებულ ქართველებს შორის 8 ათასი ოჯახი მარტო ჰერეთის (ახლანდელი საინგილო) ქალაქ ზაგემის (ბაზარი) მიდამოებიდან აყრილები იყვნენ.

ჰ. ლ. რაბინო, რომელიც XX საუკუნის ათიან წლებში მაზანდარანში ინგლისის საკონსულოში მუშაობდა, 1928 წელს ლონდონში გამოცემულ წიგნში „მაზანდარანი და ასთარაბადი“ წერდა, რომ აშრაფის მცხოვრებლები „ქართველთა იმ კოლონიის შთამომავლები არიან, რომლებიც აქ ოდესღაც შაჰ-აბასს მოუყვანია“. მაგრამ მათ უკვე დაუკარგავთ დედა-ენა, რელიგია და ადათ-წესები.

ახლანდელი მაზანდარანის ტერიტორიაზე წააწყდებით ბევრ ადგილს, წერდა 1963 წელს ქართველოლოგი პ. ობერლინგი, რომელთა სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ ამ მიდამოებში თავის დროზე ქართველებს უცხოვრიათ. ქალაქ ამოლის ცხრა უბნიდან ერთ-ერთს გორჯი (გურჯი) მეჰალე ანუ ქართველთა უბანი ეწოდება. აქ არის სხვა ადგილი აბდანგსარის (ნაწისქვილარი) სახელწოდებით. აქაურ მოსახლეობაში არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად აქ ერთ დროს ქართველების მიერ აგებული წისქვილი იდგა. ამ უბანშია შემორჩენილი გორჯი მაჰალეს ძველი მეჩეთი. აქვეა ქართველების მიერ აგებული წყალსაცავი (აბამბარი), აგრეთვე ციხე, ბაღი და მწვანე მოედანი.

1950 წელს თეირანში გამოცემულ ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ აშრაფი, რომელიც მაზანდარანის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობით არის დასახლებული. „აქ ცხოვრობენ იმ ქართველ გადასახლებულთა ერთი ნაწილის შთამომავლები, რომელთა წინაპრები შაჰ-აბასმა კავკასიიდან მოიყვანა“.

მაზანდარანის თონექაბუნში ერთი ადგილის სახელწოდებაა გორჯი ქუჰი (ქართველთა მთა), რომელიც შესაძლებელია ქართველთა ძველი საცხოვრებელი ადგილიდან იღებს სახელწოდებას — აღნიშნულია ლექსიკონში.

რაბინო ლაპარაკობს ბეჰშაჰრის (ფარაჰაბადი) მახლობლად მდებარე სოფლის შესახებ, რომელსაც ქასანე გორჯი (ქართული ჯალაბი) ეწოდება. უეჭველია, აქ ერთ დროს ქართველები ცხოვრობდნენ.

სარის პროვინციის ბეჰშაჰრის მაზრის ყარათაყანის სასოფლო თემის სოფლის სახელია გორჯი მაჰალე, რომელიც მდებარეობს რვა კილომეტრზე ბეჰშაჰრის დასავლეთით. სოფელი ბეჰშაჰრ-სარის გზიდან სამხრეთით ორი კილომეტრით არის დაშორებული. ნესტიანი და ჭაობიანი დაბლობი ადგილია, რაც მალარიის კერას ქმნის. აქ ახლა 800-მდე სული ცხოვრობს. მოსახლეობა სპარსულ და მაზანდარულ ენებზე ლაპარაკობს. რელიგიით შიიტი მუსლიმები არიან.

ფრანგი დე მორგანი გორჯი მაჰალეში 1888 წელს იყო. იგი წერდა, რომ რამდენიმე წლის წინ აქაურ მოხუცებს ჯერ კიდევ შეეძლოთ ქართულად ლაპარაკი „...და მაინც მათ დღემდე შეინარჩუნეს კავკასიელის (ქართველის — გ. ქ.) იერსახე“.

ირანელი გენერალი (შემდეგში პრემიერ-მინისტრი) ალი რაზმარა, რომელმაც ათ ტომიანი გეოგრაფიული ლექსიკონი შეადგინა, ეყრდნობოდა რა 40-იანი წლების დამლევის ოფიციალურ მონაცემებს, მაზანდარანის პროვინციაში ასახელებდა კიდევ რამდენიმე სოფელს, რომელიც ეტიმოლოგიურად სიტყვა „გორჯთან“ არის დაკავშირებული. ასეთებია:

გორჯანსუ (ქართველთა მხარე). ეს სოფელი მდებარეობს ლაჰიჯანის რაიონში, რუდსარის სამხრეთით 50 კილომეტრზე.

აქვეა სოფელი გორჯი, რომელიც შაჰრედის რაიონში შემავალი ყალენოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით 13 კილომეტრზეა დაშორებული.

გორჯი ხეილი (ქართული სავანე) დღევანდელი მაზანდარანის ოსთანის (საგუბერნატორო) შაჰის შაჰრესთანის ხუდქუს ბახშის (მაზრა) რასთუფის დეჰისთანის (სასოფლო თემის) სოფელია.

გორჯი სარა (ქართული სადგომი) მაზანდარანის პატარა სოფელია. ეს სოფელი შაჰსევარის შაჰრესთანში შედის.

გორჯი ქოლანი (ქართველობა) მაზანდარანის სარის შაჰრესთანის ცენტრალური ბახშის ასფიურდ სურაბის თემის სოფელია. მოჰყავთ ბრინჯი, ბამბა, კანაფი, ქუნჯუთი. მოსახლეობა სპარსულად ლაპარაკობს.

სოფელი გორჯი მაჰალე იმავე სარის შაჰრესთანის ბეჰშაჰრის ბახშის ყარათაყანის თემში შედის. მდებარეობს 8 კილომეტრზე ბეჰშაჰრის დასავლეთით. მოსახლეობა შიიზმის აღმსარულებელია და მაზანდარულად და სპარსულად ლაპარაკობს. მოჰყავთ ბრინჯი, ხორბალი, ქერი, ბამბა, აბრეშუმი, კანაფი, ქუნჯუთი, ბალჩეული.

არსებობს ამ სახელწოდების მეორე დასახლებაც.

ქართველთა მნიშვნელოვანი კოლონია შაჰ-აბასმა შექმნა ხორასანის აბასაბადში, რომელიც მდებარეობს თეირან-მეშჰედის გზის შაჰრუდ-საბზევარის მონაკვეთის შუაგზაზე. აქ შაჰს ქართველი ტყვეები ჩაუსახლებია ნახევრად უდაბნოში საქარავნო გზის თურქმანი ტომების თავდასხმებისაგან დასაცავად. აბასაბადს ჯეიმს ბ. ფრეზერი ეწვია 1822 წელს. იგი წერს, რომ „ორი დედაქალაქის“ (იგულისხმება თეირანი და მეშჰედი — გ. ქ.) შემაერთებელ დიდ გზაზე არსებობდა უნაყოფო და უდაბნო სივრცე, რომელსაც მუდმივი საფრთხე ემუქრებოდა ჩრდილოეთიდან თურქმანთა შეიარაღებული ბანდების განუწყვეტელი თავდასხმების გამო. ამ გზაზე მიმოსვლა ფაქტიურად შეუძლებელი იყო. ამ უდაბურ, ხიფათით სავსე ადგილას ნებაყოფლობით არავინ სახლდებოდა... შაჰ-აბასმა გზის დაცვა სახელმწიფო პოლიტიკის სიმაღლეზე აიყვანა. მან ათასი ქართველის ოჯახი გადმორეკა მდიდარი და ნაყოფიერი მშობლიური მიწებიდან და ამ გადარჩუკულ, მშიერსა და მარილიან ხორასნის მიწაზე დაასახლა“. შაჰმა აქ ააშენებინა ციხე (ფორტი) და ქარვასლა და ქართველი ტყვეებისაგან შექმნა კოლონია აბასაბადი (აბასის დასახლება). აუწერელია ქართველთა კოლონიის მიერ აქ გადატანილი ტანჯვა, არ არის არცერთი ტყვე ქართველი, აღნიშნავდა ჯ. ფრეზერი, რომელსაც რამდენჯერმე არ ეცადოს გაქცევით თავის დახსნა, მაგრამ მათი გაქცევა არასოდეს დამთავრებულა წარმატებით. გაქცევის მცდელობისათვის მათ როზგავდნენ შაჰის მოხელეები, რომლებიც მუდმივად ფორტში იმყოფებოდნენ.

მეორედ აბასაბადს ფრეზერი 1833 წლის მაისში ეწვია. მისი პირველი მოგზაურობის შემდეგ აქ ახალი უბედურება დატრიალებულიყო. ქარვასლა და ფორტის ნაწილი მიწისძვრას დაენგრია.

ჯეიმს ბასეტმა აბასაბადში 1878 წელს გაიარა. იგი აღნიშნავდა, რომ ამ დროისათვის დიდი ქართული, ათას ოჯახიანი კოლონიიდან სულ რაღაც 70 ოჯახი (სამასამდე სული) დარჩენილიყო. ისინი თიხის კედელშემოვლებულ ციტადელში ცხოვრობდნენ. მესამე თაობა გაამაჰმადიანეს. აბასაბადიდან დაახლოებით 16 ოჯახი აქედან 20-მდე კილომეტრზე მდებარე სადრაბადში გადავიდა, სადაც ისინი შიმშილით დაიხოცნენ. „კოლონიის დიდმა ნაწილმა ქართული ენა დაკარგა“, — წერს ჯ. ბასეტი. მათ საბოლოოდ დაკარგეს თავის გამოხსნის იმედი, დასძენს იგი.

1934 წელს აბასაბადში იმყოფებოდა ვლადიმერ მინორსკი. მისი ცნობით, ამ დროს „მხოლოდ ერთ მოხუც ქალს შეეძლო გაეხსენებინა ცოტაოდენი ქართული“.

50-იანი წლების დამდეგს ალი რაზმარა აბასაბადის მთელ მოსახლეობას სპარსულენოვნად მიიჩნევდა. ამას გარდა, ხორასანში შემორჩა კიდევ ორი სოფელი, სადაც ერთ დროს ქართველებს უცხოვრიათ. ესაა პატარა სოფელი გორჯანი, რომელიც 8 კილომეტრზე მდებარეობს ქუსაფის დასავლეთით.

ქართველთა ნაკვალევს ვაწყდებით ქერმანშაჰის მხარეშიც. აქ არის სოფელი ქართილაბადი (ქართლის დასახლება). საკმაოდ მოზრდილი სოფელია. მასში 1200-მდე მცხოვრებია.

სოფელი გორჯი მალაიერის შაჰრესთანის ქამაზანის დეჰისთანში შედის. იგი მდებარეობს ქალაქ მალაიერიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 36 კილომეტრზე.

გორჯი ბაიანი (მოქართულე) ქერმანშაჰის შაჰრესთანის სუღარ ქალიაის ბახშის ქალიჰის დეჰისთანში შემავალი სოფელია. მდებარეობს სუღარის ჩრდილოეთით 34 კილომეტრზე. მოსახლეობა 600 სულს აღემატება. ახლა აქ სპარსულად და ქურთულად მოლაპარაკენი ცხოვრობენ.

ირანის დასავლეთ აზერბაიჯანში მარაღის შაჰრესთანის ცენტრალური ბახშის სარაჯუს დეჰისთანის სოფელია გორჯიაბადი (ქართული დასახლება). სოფელი მდებარეობს მარაღა-ყარაალაჯის გზის ჩრდილოეთით 6 კილომეტრზე. მოსახლეობა რელიგიით შიიტია, ლაპარაკობს თურქულ ენაზე. მოჰყავთ მარცვლეული, ქიშმიში, მუხუდო, ნუში.

არის ცნობები ქართველების გილანში ცხოვრების შესახებ. პეტრე პირველი, რომლის არმია მე-18 საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს გილანში შევიდა, ხელს უწყობდა ამ პროვინციაში კავკასიური ელემენტის მომძლავრებას. მაგრამ აქ ჩამოსახლებულ ქართველთა და სომეხთა მცირე ჯგუფები მალე შეერია ადგილობრივ მოსახლეობას.

ქართველთა ერთი მცირე კოლონია ცხოვრობდა დიზფულში (სუზისთანი). დე მორგანი 1890-91 წლებში ეწვია ამ კოლონიას და აღნიშნავდა, რომ ქართველებს, მიუხედავად იმისა, რომ გამაჰმადიანებულიყვნენ, შენარჩუნებული ჰქონდათ წინაპართა გარეგნობა და რამდენადმე შეეძლოთ კიდეც ქართულად ლაპარაკი.

შაჰ-აბასს საქართველოდან წაყვანილი ქართველების ერთი ნაწილი ჩაუსახლებია ასუფასის ახლოს რამდენიმე სოფელში ისფაჰან-შირაზის გზის დასაცავად. 1621 წლის ოქტომბერში პიეტრო დელა ვალემ, რომელიც ისფაჰანიდან შირაზს მიემგზავრებოდა, გაიარა სოფელი ქუშქე ზარდი (ყვითელი კოშკი), სადაც ქართველებისა და ჩერქეზების რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. ქართველები იყვნენ ჩასახლებული აგრეთვე სოფელ მაინში, რომელიც აქვე მდებარეობს. 1627 წელს ინგლისელმა სერ თომას ჰერბერტმა, რომელიც ისფაჰანს მიდიოდა, ასუფსში გაიარა. იგი თავისი მოგზაურობის წიგნში, რომელიც მოგვიანებით ლონდონში გამოქვეყნდა, წერდა, რომ ამ დროისათვის ქართველებს ჯერ კიდევ შეენარჩუნებინათ როგორც ენა, ასევე რელიგია. ისინი სპარსელებისაგან გამოირჩეოდნენ იერით, სიფიცხითა და თავაზიანობით. „საბრალო სულები! — წერს ჰერბერტი — როცა შეიტყვეს რომ ჩვენც ქრისტიანები ვართ, თავი მოიყარეს ჩვენს გარშემო და თვალცრემლიანი შემოგვცქეროდნენ. გული შეგვიღონდა ამ საცოდავი ქრისტიანების ბედით“!

1665 წელს ასუფასის ქართველთა კოლონია მოინახულეს შირაზში მომავალმა ფრანგმა მოგზაურებმა ჟან ბატისტე თავერნიერმა და ჟან დე თევენოტმა. მათი ცნობით, ამ დროს ქართველების ერთ ნაწილს ჯერ კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული რელიგია. აქაური ქართველები ღვინოსაც აყენებდნენ.

1677 წელს ასუფასში რამდენიმე ხნით შეჩერდა ინგლისელი ჯონ ფრაიერი. ისიც ადასტურებდა, რომ „ასუფასი ახლა ქართველი ქრისტიანებით არის დასახლებული. ისინი ეწევიან მიწათმოქმედებას და მევენახეობას. აქ ფერდობების ტერასებზე გაშენებული ვაზი კარგ მოსავალს იძლევა“. აქაურ ქართველებს რომ ახასიათებს, ფრაიერი წერს „ისინი უფრო ფეროვანი არიან, ვიდრე სპარსელები. ახალგაზრდები ტანკენარები და ახოვნები არიან. ახლა ბევრი მათგანი მაჰმადიანობის სპარსულ სექტაზე გადაიყვანეს“.

საუკუნენახევრის შემდეგ, 1818 წელს, აქ გაიარა სერ რობერტ კერ პორტერმა. წიგნში „მოგზაურობა საქართველოში, სომხეთში, სპარსეთში, ძველ ბაბილონში და სხვ.“, იგი წერდა, რომ დრომ ახალი უბედურება მოუტანა ასუფასს. შემცირდა მისი მოსახლეობა. ქართველთა კოლონიისაგან უბადრუკი ნაშთიღა დარჩა. აქ მხოლოდ „განადგურებას, სიღარიბეს და უბედურებას დაუსადგურებია“. ასუფასში ერთ დროს ქართველების ცხოვრების ფაქტს შემდგომში ადასტურებდნენ აგრეთვე ჰასან ფასაი (1895 წ.), დე მორგანი (1913 წ.), ოლივერ გაროდი (1946 წ.) და პ. ობერლინგი (1957 წ.).

ფარსში დეზე ქორდის მახლობლად შემორჩა ქართველთა შთამომავლების ერთი თემი, რომელსაც გორჯაი ეწოდება. იგი ახლა ყაშყაელთა ტომის ერთ-ერთ კლანს შეადგენს.

გარდა ამისა, ირანის ტერიტორიაზე, უეჭველია, სხვაგანაც მოიძებნება კიდევ მრავალი ადგილი, სადაც თავის დროზე ცხოვრობდნენ ძალით ფუძემოშლილი და სამშობლოდაკარგული ქართველები. მათი ნაკვალევი შემდეგში დრომ წაშალა. მაგრამ ქართველ ტყვეთა შთამომავლების მეხსიერებაში არ წაშლილა ხსოვნა მათი ბედკრული წინაპრებისა, რომელთა სისხლი ახლა ბევრი მათგანის ძარღვებში სჩქეფს. ისინი დღეს ამაყობენ კიდეც თავიანთი წარმომავლობით, ვინაიდან სპარსულ ლექსიკაში სიტყვა „გორჯი“ (გურჯი) დამკვიდრდა, როგორც ვაჟკაცობის, სიმამაცისა და სილამაზის სიმბოლო.



ქართველთა სოფლები ფერეიდანში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თუ არ დახარჯე, ფულს ვერ იშოვი“

## შტრიხები ქართველი ბიზნესმენის პორტრეტისათვის

**სერგო აბაშიძე...** ორიოდე წლის წინათ ამ სახელს პატარა ზღვისპირა ქალაქ გაგრის ვიწრო წრეებში იცნობდნენ მხოლოდ.

1989 წელს მან ჩამოაყალიბა საწარმოო-სავაჭრო ფირმა „გაგრა“, რომელსაც დღეს თავისი ფილიალები აქვს არა მარტო საქართველოში (ხაშური, ოჩამჩირე, გალი, ფოთი), არამედ, რუსეთსა და უკრაინაშიც. ახლო მომავალში „გაგრა“ წარმომადგენლობებს გახსნის პრაღასა და ბელგრადში. ერთი სიტყვით, სერგო აბაშიძეს — ფირმა „გაგრის“ გენერალურ დირექტორს — უკვე იცნობენ აღმოსავლეთ ევროპის საქმიან წრეებში.

სერგო აბაშიძე დაიბადა და გაიზარდა გაგრაში. 44 წლისაა. პროფესიით ეკონომისტია, მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში: ინჟინრად, წარმოების უფროსად, სავაჭრო ცენტრის უფროსად; ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

მასთან შეხვედრა იოლი არ ყოფილა — ერთთავად საქმიანი შეხვედრები და მივლინებები აქვს. თუმცა, შეხვედრასაც ვჩიოდით, ინტერვიუზე ძლივს დავითანხმეთ — „არაჩვეულებრივი არაფერი გამიკეთებიაო“.

●

— ფირმა „გაგრა“ ეს-ესაა გავიდა საერთაშორისო ბაზარზე და უკვე მილიონერი ფირმის სახელი მოიპოვეთ. რამ განაპირობა ასეთი უეცარი წარმატება?

**— საქმე რომ კარგად აეწყო, ეს, პირველ რიგში, ფირმის ყველა წევრის კვალიფიციური შრომის ნაყოფია. „გაგრა“ საერთოდ ვერ ეგუება ზარმაცებსა და მუქთამჭამელებს. თითოეულმა წევრმა კარგად იცის, რომ ფირმის წარმატება მისი პირადი წარმატებაცაა.**

**საერთაშორისო ბაზარი საბჭოთა ბაზარი როდია, — რასაც გინდა, გაიტან და გაასაღებ. იქ, გარდა იმისა, რომ დაცული უნდა იყოს უმთავრესი და უპირველესი მოთხოვნა — პროდუქციის მაღალი ხარისხი — კარგად უნდა მოგეხსენებოდეს საბაზრო ფასები, მომხმარებლის გემოვნება და მოთხოვნილება; უნდა გაგაჩნდეს ინფორმაცია შენი უცხოელი კონკურენტების შესახებ. თუკი მათთან თამაში და, მით უმეტეს, მოგება გაქვს განზრახული, თამაშის წესებსა და ტაქტიკას ზუთი თითივით უნდა იცნობდე. ეს ბიზნესის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, და ამიტომ, ჩვენს საერთაშორისო ბაზარზე გასვლას წინ საკმაოდ დიდი მუშაობა უძღოდა. დღეს „გაგრას“ დამოუკიდებელი კომერციული ურთიერთობები აქვს ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, თურქეთის, ავსტრიის, ფინეთის ისეთ მსხვილ სავაჭრო ფირმებთან, როგორიცაა: „ედნოტა“, „ევროტური“, „გორექსი“, „ჯესსა“, „ინტერკონტაქტსერვისი“, „სლუშოვიცე“ და სხვ. უცხო ფირმებთან კავშირის დამყარებაში გვეხმარება რეკლამაც, რომელსაც საზღვარგარეთის პერიოდულ გამოცემებში ვაძლევთ. ასეა, თუ არ დაიხარჯე, ფულს ვერ გააკეთებ. ბევრს რატომღაც ჰგონია, რომ ჩვენ ვძარცვავთ ქალაქს და აქედან ყველაფერი საზღვარგარეთ გაგვაქვს. სწორედ მათ საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ გაგრიდან არაფერი გაგვიტანია, გარდა რამდენიმე ათეული ტონა მანდარინისა. უფრო ზუსტი რომ ვიყო, ციფრებს მოვიშველიებ — შარშან მთლიანად რესპუბლიკიდან გავიტანეთ 280 ათასი მანეთის საქონელი, 2,5 მილიონი მანეთისა კი — შემოვიტანეთ. მე მგონი, ურიგო არითმეტიკა არ უნდა იყოს, მით უფრო, როცა ფირმას შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, მოგების 100 პროცენტი მთლიანად ქალაქის საჭიროებას მოახმაროს. ძალზე ხშირად ვშუამდგომლობთ საბჭოთა საწარმოებს უცხო ფირმებთან, რისთვისაც გარკვეულ პროცენტებს ვღებულობთ საქონლის სახით. მიმდინარე წელს, ამ გზით მიღებული მოგებიდან დაგეგმილი გვაქვს რესპუბლიკაში დამატებით შემოვიტანოთ 11 მილიონი მანეთის საქონელი. შემოტანილი საქონელი კი სხვადასხვა სახისაა: საკონდიტრო, სამრეწველო, სამეურნეო... წლეულს გავითვალისწინეთ მოსახლეობის დიდი მოთხოვნილება საწვავზე და ქვანახშირიც შემოვზიდეთ.**

— რამდენადაც ცნობილია, ფირმა „გაგრა“ თავის საქმიანობაში ჯერჯერობით მარტოოდენ ვაჭრობას და უცხოურ ფირმებთან საქონელგაცვლას ეყრდნობა. გაქვთ თუ არა განზრახული საქონლის წარმოება და ერთობლივი საწარმოების დანერგვა?

**— ერთობლივი საწარმოების დანერგვაზე დიდი ხანია ვფიქრობთ და პირველი კონკრეტული ნაბიჯებიც გადავდგით — ჩვენს ფირმასა და თურქულ სამრეწველო ფირმა „გიულტეკინს“ შორის დადებული ხელშეკრულება სასტუმრო კომპლექსებისათვის განკუთვნილი ავეჯის გამოშვებას ითვალისწინებს, მაგრამ... ცოდვა გამხელილი სჯობს, ჯერ კიდევ დიდია ჩვენდამი უნდობლობა, და არა მარტო ჩვენდამი — უცხოელმა პარტნიორებმა ვერა და ვერ გადახძლიეს საბჭოთა ბაზრისადმი შიშის კომპლექსს და, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ საბჭოთა ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ არ არის საბაზრო. თუკი ისინი ბიზნესის ენას, ლამის დაბადებიდან სწავლობენ, ჩვენ, სულ სხვა იდეოლოგიაზე აღზრდილები, მას ახლა ვეუფლებით...**

— და მაინც, გვექნება გაგრაში თურქული ავეჯის ფაბრიკა?

**— ამ საკითხით ძალიან ვართ დაინტერესებული და გვინდა, რომ ფაბრიკაც, რაც შეიძლება მალე გვქონდეს. ახლო მომავალში, გაგრაში გაიხსნება ფირმის რესტორანი, რომელიც მომსახურების ნამდვილად მაღალი კულტურით უნდა გამოირჩეოდეს, ზაფხულში ფირმის ოფისის სახით, ვგონებ, ჩვენს კურორტს კიდევ ერთი მშვენიერი არქიტექტურული ნაგებობა დაამშვენებს... ასე რომ, ცოტა დრო და ყველაფერი იქნება.**

— გაგრაში ბევრს ლაპარაკობენ ფირმის საქველმოქმედო აქციებზე. ზოგის აზრით, ეს ერთგვარი პოლიტიკური კაპიტალის დაბანდებაა, ზოგის აზრით კი — ჭკვიანი კომერსანტის მიერ შორსგამიზნული სვლა...

**— თუ ძალიან ხმამაღლა ნათქვამად არ ჩამეთვლება, ეს სიკეთეა, რომლის არათუ თესვას, მიღებასაც გადავეჩვიეთ (სხვათა შორის, ამაზე ნოველაც დაწერა რევაზ მიშველაძემ). ვერ გამიგია, თუკი შენ დღეს კარგად ხარ და არ გიჭირს, რატომ არ უნდა დაეხმარო იმას, ვინც ცუდადაა და უჭირს. უჭირდათ გაგრაში სამკურნალოდ ჩამოსულ ჩერნობილელ ბავშვებს და როგორ არ დავხმარებოდით, უჭირდა აფხაზთა და ქართველთა შეტაკების დროს ცალი ფეხის ამარა დარჩენილ ზვიჩა ხურიძეს და მასაც დავეხმარეთ — ჩვენი სახსრებით ჩეხოსლოვაკიაში გავაგზავნეთ სამკურნალოდ. ამას წინათ, უცხოეთში გავაგზავნეთ კიდევ ერთი გაგრელი ბიჭუნა. 8-8 ათასი მანეთი გადავეცით ავლანეთში დაღუპული ხუთი გაგრელი ახალგაზრდის ოჯახს, 8 ათასი მანეთით დავეხმარეთ მრავალშვილიან დედას, რამდენიმე ქართულ და აფხაზურ საბავშვო ბაღს უფასოდ გავუგზავნეთ საახალწლო საჩუქრები, ქვანახშირი, საწვავს შეღავათიან ფასებში ვაძლევთ პენსიონერებსა და მოხუცებს. ფულადი დახმარება გავუწიეთ გაგრის საფეხბურთო კლუბს, „სიხარულს“, ცენტრალურ საავადმყოფოს, სოფელ კოლხეთის სასოფლო საბჭოს, ამავე სოფლის საშუალო სკოლას... სიმართლე გითხრათ, არ მსიამოვნებს ყოველივე ამაზე ლაპარაკი, სიკეთეს ხმაური არ უყვარს, მაგრამ თუკი მაინც ვამბობ, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებმაც მოგვბაძონ. გაგრაში არის ისეთი ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ სხვებს დახმარება გაუწიონ. თუნდაც კურორტი ავიღოთ. განა ცოტა რამ არის გასაკეთებელი? ჩვენი სიამაყე — ძველი გაგრის პარკი ჭაობად ვაქციეთ, სამარცხვინოდ გამოიყურება საკურორტო დანიშნულების რამდენიმე, პრინც ოლდენბურგისდროინდელი შენობა. ძველი, დანგრევისპირას მისული ისტორიული ნაგებობის აღდგენა ფირმა „გაგრას“ უცხოელი პარტნიორების დახმარებითაც შეუძლია, მაგრამ ავვიმხედრდნენ ფორმალები და არაფორმალები, რა მიზეზი არ მოიშველიეს ჩვენი იდეის საწინააღმდეგოდ, კი ბატონო, გეთანხმებით, არ გვინდა უცხოელის გაჭაჭანება ჩვენს ტერიტორიაზე, მაშინ ჩვენ მაინც დაგვრთეთ ნება, შევისყიდოთ ან არენდაზე ავიღოთ შენობა, მოვუვლით, ვუპატრონებთ. არა, არც ეს გვინდა. მაშ, რა ვქნათ, ისევ იმ ერთიანი, საერთო სახელმწიფო ჯიბის იმედად ვიყოთ?**

— ბატონო სერგო, იმ დღეებში, როდესაც მთელი ქვეყანა პრეზიდენტის ბრძანებით იყო შოკირებული და გაგრაშიც ფულის გაცვლის ციებ-ცხელება იდგა, თქვენზე ამბობდნენ, აბაშიძე ბევრ ფულს დაკარგავდაო...

**— მინდა ყველა დავამშვიდო — ბიზნესმენი ფულებს ტომრებში არ ინახავს, იგი მთელს თავის კაპიტალს აბანდებს. მადლობა ღმერთს, დღეს მაინც შეგვიძლია იმის ხმამაღლა თქმა, რომ ფულმა ფული უნდა მოიგოს. იმათთვის კი, ვისაც ძალიან აინტერესებს, რას ვაკეთებდი, და ვიყავი თუ არა შოკირებული ბრძანების გამოცხადების მეორე დღეს, ვიტყვი: თავს ძალიან მშვიდად ვგრძნობდი და ჩვეულებრივი, რიგითი სამუშაო საქმეებით ვიყავი დაკავებული. სხვათა შორის, ჩვენმა მოლარემ ბანკში, ფირმის მაღაზიებში წინა დღით ნავაჭრი თანხა რომ მიიტანა, და 50 და 100 მანეთი კუპიურების გარდა, იქ ოცდახუთმანეთიანი, ათმანეთიანი თუ სხვა წვრილი ფულიც ერია, თურმე ბანკის მუშაკებსაც გაკვირვებიათ.**

— როგორ გესახებათ გარდამავალი პერიოდის საქართველოს ეკონომიკა და, თქვენი აზრით, განვითარების რა გზას უნდა დაადგეს იგი?

**— ჩვენ უკვე ვადგავართ განვითარების ე. წ. დასავლურ გზას, რომელმაც რა „უბედურებაც“ მოუტანა დასავლეთის ქვეყნებს, ყველანი კარგად ვხედავთ. ფირმის გენერალურ დირექტორად მუშაობის ორი წლის მანძილზე დავრწმუნდი, რომ ეკონომიკის დასავლური მოდელი შესანიშნავად ეგუება ჩვენს ხასიათსა და ბუნებას, ფართო გაგებით, რა თქმა უნდა, ოღონდ, აქაც ზომიერება გვმართებს — ყველაფრის ბრმად გადმოტანამ შეიძლება უკუეფექტიც მოგვცეს. მე ასე მესმის — საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის მიერ ერთხმად გამოცხადებული გარდამავალი პერიოდი საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებას უნდა მოვახმაროთ. ეს ძალიან რთული, ხანგრძლივი და, ამავე დროს, მტკივნეული პროცესიცაა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკის სტრატეგიულ პროდუქციაზე ფასებმა რომ აიწია, ბევრს, რა თქმა უნდა, არ მოეწონა, ან რა მოსაწონია ფასების ზრდა, მაგრამ თუკი სხვა გამოსავალი არა გვაქვს? მე ასე ვიტყოდი — თუკი საქართველო გვიყვარს და ჩვენი ქვეყნის პატრიოტებად მოგვაქვს თავი, მისი მომავალი კეთილდღეობისათვის ცოტა რამ უნდა დავთმოთ და ცოტაზე მეტი მოვითმინოთ. სხვანაირად არ გამოვა, დღეს, ისე როგორც არასოდეს, ახლო ეკონომიკურ კავშირში უნდა ვიყოთ რუსეთთან და სხვა რესპუბლიკებთან. ხოლო, რაც შეეხება ცენტრთან ურთიერთობას, აქ, ჩემი აზრით, მეტი სიფრთხილე და მეტი ეშმაკობა გვმართებს, ვინაიდან ჩვენ, გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ჯერჯერობით მაინც ცენტრზე ვართ დამოკიდებული.**

— ალბათ, კანონები გაქვთ მხედველობაში.

**— პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს ფული და რესურსები, რომელსაც ისევ ცენტრი ანაწილებს. ხოლო, რაც შეეხება კანონებს, საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონები უნდა მოქმედებდეს. მე მხარს ვუჭერ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ბრძანებულებას, საქართველოს ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონების მოქმედების შეჩერების შესახებ, ცენტრი, რომელსაც ხან ერთი რესპუბლიკა უსხლტება ხელიდან და ხან მეორე, რა თქმა უნდა, ყველა საშუალებას გამოიყენებს „ურჩი“ და „თავნება“ რესპუბლიკის მოსარჯულებლად. ამასთან დაკავშირებით, არ შემიძლია ჩემი აღშფოთება არ გამოვხატო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი გადაწყვეტილების გამო, რომლის თანახმად, თითქმის შეზღუდულია უცხოეთის ფირმებთან საქონელგაცვლა. თუკი ასე გაგრძელდა და რესპუბლიკის მთავრობა, კერძოდ კი საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობის სამსახური საქმეში არ ჩაერია, რესპუბლიკაში მოქმედ ყველა იმ სავაჭრო ფირმას, რომლებიც თავის საქმიანობაში უმთავრესად საქონელგაცვლას ეყრდნობა, დიდძალი ჯარიმის გადახდა მოუწევს. მარტო ფირმა „გაგრამ“, უცხოეთის ფირმებთან უკვე გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, უნდა აწარმოოს საქონელგაცვლა 50 მილიონი დოლარის პროდუქციაზე, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკიდან შემოვიტანეთ. თუკი გაცვლითი ოპერაციები ვერ ჩავატარეთ და საამისოდ, როგორც ვხედავთ, ყველა საშუალებას მიმართავს ცენტრი, ადვილი მისახვედრია, როგორ მდგომარეობაშიც აღმოვჩნდებით. ყველაფერი ეს, ჩემის აზრით, კარგად მოფიქრებული და შორს გამიზნული, ამჯერად, უკვე, სახელმწიფო საბოტაჟია, რომელიც საგანგებოდ იქმნება, რა თქმა უნდა, ისევ რესპუბლიკის ეკონომიკის საზიანოდ.**

— დღეს თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით საზკვების კოოპერატივებს...

**— ყველა მათგანს აუცილებლად თავისი დამხმარე მეურნეობა უნდა გააჩნდეს. ჩვენს ფირმას რესტორნის გახსნა სწორედ იმიტომ დაუგვიანდა, რომ დამხმარე მეურნეობას მხოლოდ ახლა ჩავუყარეთ საფუძველი.**

— რამდენადაც ვიცით, თავიდანვე გქონდათ განზრახული გაგრასთან დაძმობილებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობის დამყარებაც...

**— დიახ, ჩვენს ქალაქს მეგობრული კონტრაქტები აქვს შვეიცარიის კურორტ ლოკარნოსთან, საფრანგეთის პატარა ქალაქ გრასთან, ფინეთის სამ ქალაქთან — პარკანოსთან, კანკამპეასთან და იკაალინენთან. შარშან გადაწყვეტილი გვქონდა, შვეიცარიელი ქართველოლოგების მოწვევა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ. ვეცდებით, წლეულს მოვაწყოთ მათთან შეხვედრები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში და აფხაზეთის უნივერსიტეტში.**

**მარტში ფინეთის ზემოთაღნიშნულ ქალაქებში ვაპირებთ ერთგვარი კულტურის დღეების ჩატარებას. ფინელებს გავაცნობთ ქართული ეთნოგრაფიული კულტურის ამსახველ ნიმუშებს; ფინეთში გასამგზავრებლად ემზადება გაგრის ქართული საშუალო სკოლის ფოლკლორული ანსამბლი.**

— და ბოლოს, ბატონო სერგო, ბანალური კითხვა — ბედნიერი ხართ?...

**— დაკვირვებული ვარ, ამ კითხვით ჟურნალისტები ხშირად მიმართავენ იმას, ვისაც, ცხოვრების მატერიალური მხარე მოგვარებული აქვს.**

**ამბობენ, ბედნიერია ადამიანი, რომელსაც დილას სამსახურში წასვლა არ ეზარება და საღამოს კი — შინ დაბრუნებაო. თუკი მარტო ესაა ბედნიერება, მეც ბედნიერი ვყოფილვარ, — ვაკეთებ საქმეს, რომელიც მიყვარს და მყავს ოჯახი, რომელიც თავს მირჩევნია, მაგრამ მაინც მგონია, რომ სრული ბედნიერებისათვის, ეს მაინც ცოტაა — არ შეიძლება, კაცმა ბედნიერად იგრძნო თავი ქვეყანაში, სადაც ამდენი სისხლი იღვრება, სადაც, სხვა რომ არაფერი, ამდენი ძესვ დანატრებული ადამიანი ცხოვრობს. ერთმა იაროსლაველმა მანდილოსანმა საკავშირო პრესის ფურცლებიდან გაგვიმხილა — მე მზად ვარ ვიშიმშილო და სიღატაკეში ვიცხოვრო, ოღონდ ჩემს გვერდით მდიდარს ნუ დავინახავო. — როცა ასეთი, საბჭოთა გაუკულმართებული მორალის მატარებელი ადამიანის გვერდით გიხდება ცხოვრება, — და, სამწუხაროდ, ასეთები ცოტანი როდი არიან — განა იქნები ბედნიერი?! რაც უფრო მეტი მდიდარი ადამიანი იცხოვრებს ჩვენს გვერდით, განა მით უფრო, მდიდარი არ იქნება ჩვენი ქვეყანა? ადამიანის, ისევე, როგორც ქვეყნის სიმდიდრე, მის თავისუფლებაზეა დამოკიდებული. ამიტომ, შრომით და მარტოოდენ შრომით უნდა მოვიპოვოთ სანუკვარი თავისუფლება. თუკი ისეთ უზარმაზარ ქვეყანას, როგორიც ამერიკაა, მოსახლეობის 5 პროცენტი ასაზრდოებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ჩვენ, ჩვენი უნიკალური, ბუნებრივი სიმდიდრეების პატრონს, საკუთარი თავის გამოკვება არ უნდა შეგვეძლოს? ამერიკელი ბიზნესმენის ბედნიერება, საბჭოთა ახლადმოვლენილი ბიზნესმენებისაგან განსხვავებით, მაპატიეთ, ამ სიტყვაზე, კუჭის სიმაძღრით როდი განისაზღვრება, — ის ბედნიერია იმდენად, რამდენადაც ბედნიერია ქვეყანა, სადაც ცხოვრობს.**

ესაუბრნენ
ვენერა რურუა,
და
თენგიზ პაჭკორია.

ქ. გაგრა.





# დაუმთავრებელი მოთხრობა

## თენგიზ პატარაიას გახსენება

მწერლობის მასალა ამოუწურავია; და ყველაზე პარადოქსულია ის, რომ მასალა არ არის რაღაც განყენებული და აბსტრაქტული რამ, პირიქით, კონკრეტულია: მასალა თვითონ ავტორია ნებისმიერი ჟანრის მხატვრული ნაწარმოებისა — რომანის, ლექსის, პიესის, ან უფრო ზუსტად, ავტორის ბედია, ცხოვრება, მისი ხასიათი და ბუნება.

კაცი წერს მოთხრობას და ეს მოთხრობა არა მხოლოდ მისია, არამედ, ნებსით თუ უნებლიეთ, მასზეც არის.

მე აქ მწერლის შეგნებულ თვითანალიზზე არ ვლაპარაკობ. მე ვლაპარაკობ ლაკმუსის ქაღალდის თვისებაზე, სიტყვიერ შემოქმედებას რომ ახასიათებს, მიმზიდველ თვისებაზე, რომელსაც ძალუძს მწერალი თავის მასალად აქციოს.

თენგიზ პატარაიას მოულოდნელ გარდაცვალებამდე ოთხი თუ ხუთი წლით ადრე, ორთაჭალაში, ძველი ბინის პატარა ოთახში, მე მოვისმინე ავტორის მიერ წაკითხული დაუმთავრებელი მოთხრობა: ორნი ვისხედით თენგიზის მაგიდასთან, თვითონ თენგიზი და მე. ზაფხულის წყნარი საღამო იყო და შემოჭრილი მზის სინათლე სასურველ ფონს უქმნიდა მასპინძელსაც და მსმენელსაც. ახლა იმ მოთხრობის ორიოდე ეპიზოდილა მახსოვს, საკმაოდ მძაფრი და საინტერესო, უფრო მეტად კი ნაწარმოების მთლიანი განწყობილება დამამახსოვრდა. თენგიზი სწრაფად და ნერვიულად კითხულობდა მოთხრობას, ალაგ-ალაგ ულაპავდა კიდეც ფრაზის ცალკეულ ნაწყვეტებს. ვრცელი მოთხრობის ყოველი ფრაზა ოქრომჭედლის სიბეჯითით იყო გარანდული და გაკრიალებული. ავტორისთვის ფრაზის სისუფთავე მორალური კატეგორიის ტოლი ფასეულობა იყო. ამასთანავე მთარგმნელობითმა მუშაობამ რჯულზე უმტკიცეს ჩვეულებად უქცია თითოეული ფრაზის გაუთავებელი ხვეწა. რამდენადაც მახსოვს, მოთხრობაში შეგნებული ცდა ცალკეული დეტალების გამმიჯნავი კონტურების და ნატიფი კომპოზიციის ამგები ფიგურების წაშლისა უცნაურ გრძნობას აღძრავდა მსმენელში. მოთხრობა გაწვებოდა და გსრესდა არა დეტალების სიზუსტით, სიმახვილით და რელიეფური სიმკაცრით, არამედ მუდმივი ყოფითი ცხოვრების რიტმით, საერთო გაურკვეველი ვითარებით, მხატვრული სიმეტრიის ნგრევით. მოთხრობა იყო მოვლენების ათქვეფილი მასა, რომელიც ადამიანის თავზე დატრიალებული ბედისწერის ქაოტურობის და გაურკვევლობის შთაბეჭდილებას ქმნიდა. და ზაფხულის იმ უშფოთველ საღამოს, ავტორის წყნარ, პატარა, მყუდრო ოთახში დისონანსად გაისმოდა მღელვარე ხმა კაცთა ხვედრის მაუწყებელი.

ეს ჩვენი ურთიერთობის გარკვეული ფაზა იყო, რომლის მიღმაც მე თვალნათლივ დავინახე თენგიზ პატარაია, მოუსვენარი და მაძიებელი, ცხოვრებისა და ბედისწერის წინააღმდეგ ამბოხებული პიროვნება. რეალურ ცხოვრებაში და ურთიერთობაში კი ერთი შეხედვით ის არ ჩანდა ასეთი — თითქოს უფრო დინებას მიჰყვებოდა, თითქოს ოდნავ დუნე ცხოვრების მაჯისცემა იყო მისი ჩვეული კალაპოტი, თითქოს არ იყო ამგვარად აგზნებული და გულანთებული. მაგრამ არა! მოთხრობა, ამ შემთხვევაში, მართლაც ლაკმუსის ქაღალდი გამოდგა. ამოიზიდა ის ბზარი, რომელსაც თენგიზი მალავდა. ბზარი, რომელიც ილუზიების მსხვრევისა და რეალური, მკაცრი ცხოვრების განჭვრეტის შემდეგ ჩნდება ადამიანში, ეს ბზარი უკვე მისი სისხლხორცეული ნაწილი იყო, არა მხოლოდ სულიერი, არამედ ფიზიკურიც. მის გულს მტკივნეულად აჩნდა ამ ბზარის ნაწიბურები. ისე კი, დროდადრო თუ გაიელვებდა ბზარის მკრთალი აჩრდილი სათვალის სქელი ჩარჩოს მიღმა დაჭანცულ გამოხედვაში. მალავდა, მაგრამ უეცრად გამჟღავნდა ჩემთვის იმ დაუმთავრებელი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ. მე მკაფიოდ დავინახე დახვეწილი არტისტული ბუნების, ლაღ, რომანტიკულად მეოცნებე, ლამაზ, ხმამაღლა მოცინარ კაცში — დაღლილი, დაჭანცული, ყოფითი ტანჯვით გასრესილი, ცხოვრების საზრისის მაძიებელი დაეჭვებული ადამიანი. დაეჭვებული ყველაფერში, რაც საზიზღარი სტერეოტიპის ჩარჩოშია ჩაჭედილი, რაც ორსახოვანია, რაც ქვენაა, — დაეჭვებული ყბადაღებულ გამოთქმაში „კაი ბიჭია“, დაეჭვებული ობიექტურობის და წესიერების პრეტენზიით აღჭურვილ პირგამეხებულ კაცებში, საჭიროების ჟამს, უკიდურეს ტენდენციურობას და თავნება სუბიექტურობას რომ ამჟღავნებენ. დაეჭვებული იმ მოლაყბე დედაკაცებში, ავ-კარგის განკითხვის სურვილი რომ აქვთ და ამ ჟინით შეპყრობილები ჭორის ვეება ბადეში ახვევენ თავიანთ სასოწარკვეთილებამდე ცარიელ დღეებს. დაეჭვებული იმ კაცში, ვინც გმობს შემოქმედის მაძიებლურ ეჭვს, ოპტიმიზმის აუცილებლობაზე და სიკეთის ძლევამოსილებაზე ლაპარაკობს, ის კი არ იცის, რომ ტანჯვაგამოუვლელი ოპტიმიზი წყალწყალაა და ცხოვრების მკაცრ გაკვეთილებს ვერ გაუძლებს. ამიტომაც თავადვე დაეჭვებულა საკუთარ თავში და ბოლმა ტანჯავს. თენგიზ პატარაია ვერ ურიგდებოდა ადამიანის ორსახოვნებას, რადგან იცოდა, ზედაპირზე მოტივტივე სახე ყალბია, ფარატინა ნიღბით შემოსილი.

მოთხრობას რომ მიკითხავდა, ვიგრძენი, რომ მამხილებელი, ნიღბისჩამომხსნელი ზნეობრივი სულისკვეთება მისთვის ძალზე ახლობელი იყო და აქედან ვასკვნი ახლა: შემთხვევით არ გააკეთა ოცი წლის ჭაბუკმა არჩევანი, გერმანულ ენას ბავშვობიდანვე ეუფლებოდა, უკვე ხეირიანადაც ფლობდა და უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტმა ჰაინრიხ ბიოლის რომანის „უკაცო სახლის“ თარგმნას მოკიდა ხელი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეულ და გაპარტახებულ გერმანიაში დაბნეული ბიჭები შეგნებულ ცხოვრებას იწყებენ, დამოუკიდებლად იკაფავენ გზას იმ საოცარ პანოპტიკუმში, ბედისწერამ რომ მოახვედრა ისინი. ამ გზაზე მათ ათასნაირი ჯურის უზნეობა ელობებათ. ზღვრულ სიტუაციაში ზნეობრივი ორიენტირების ძიებაა ამ რომანის არსი; მე მესმის, რატომ დაინტერესდა ჭაბუკი თენგიზ პატარაია ამ წიგნით.

ბიოლს რობერტ მუზილი მოჰყვა, მუზილს ერიჰ კესტნერი და ზიგფრიდ ლენცი. და მე ვფიქრობ, თითოეული მწერლის არჩევა არ ყოფილა ე. წ. ლიტერატურულ მოდას ადევნებული მთარგმნელის კაპრიზი. აქ ნამდვილ, ღრმა, პროფესიულ დამოკიდებულებასთან გვქონდა საქმე. არჩევანის გაკეთებას ზნეობრივ სფეროში ძიების პროცესი უძღოდა.

ზიგფრიდ ლენცის დრამას „ჟამი უცოდველთა“ სხვა წიგნებთან შედარებით ნაკლები ყურადღება ხვდა წილად. არადა, ლენცის დრამა არაჩვეულებრივია ხასიათების სიმძაფრით, კომპოზიციის გონებამახვილურობით, კოლიზიების მოულოდნელობით. მართლაც რომ გერმანული სიზუსტითაა გათვლილი თითოეული პერსონაჟის ადგილი ვრცელ პიესაში. ერთგვარ კალეიდოსკოპურ პრინციპებზეა პიესა აგებული — პერსონაჟები მოძრაობენ ერთი, დახშული წრის ირგვლივ და ერთმანეთის წინაშე წარსდგებიან სხვადასხვაგვარ სიტუაციებში. ერთ სახელმწიფოებრივ სტრუქტურას ცვლის მეორე და ადამიანებიც, როგორც საკუთარი ინდივიდუალობის უქონელი ჰანჭიკები, ამისდა კვალად იცვლებიან. მხოლოდ ერთეულები ინარჩუნებენ თავიანთ ნამდვილ სახეს, ის ერთეულები, რომლებიც სინდისის კარნახით ცხოვრობენ ყველანაირ სიტუაციაში და ყოველგვარ სახელმწიფოში, ტოტალიტარული იქნება ის თუ არატოტალიტარული. ეს ნაწარმოები არაორაზროვნად ეხმაურება ჩვენს გარემომცველ სინამდვილეს. და მეც, როცა თენგიზ პატარაიაზე ვფიქრობ, სწორედ ასეთი, ერთეულთა მსგავსი კაცი წარმომიდგება ხოლმე — ინდივიდუალობის მქონე, დაღლილი და ჯანშერყეული, მაგრამ მაინც მუდმივად მაძიებელი და გამაღრმავებელი თავის პროფესიული და ზნეობრივი მრწამსისა. ორმოცდახუთი წლის ინტელიგენტი, რომელიც ვერ ეგუება სიყალბეს, ზერელობას, ცხოვრების ამღვრეულ ზვირთებს და მითქმა-მოთქმას, ამიტომაც შემოქმედებითი შრომის მეშვეობით განმარტოებით ეძებს ხსნას ამ დახლართულ წუთისოფელში.

ისე კი, იმ დაუმთავრებელი მოთხრობიდან დაიწყო ყველაფერი. კაცი წერს მოთხრობას და ეს მოთხრობა არა მხოლოდ მისია, არამედ ნებსით თუ უნებლიედ მასზეც არის.

ამიტომაც ხშირად მახსენდება ზაფხულის წყნარი საღამო, მზის ალმაცერი სხივებით ავსებული პატარა ოთახი. მაგიდის ირგვლივ ვსხედვართ. ოთახში ეზოდან დაძრული სუსტი ბგერები აღწევს. თენგიზი მღელვარე ხმით მიკითხავს თავის მოთხრობას. ვიცი, ეს მოთხრობა თვითონ თენგიზზეა, მისი ნათელი და ტანჯული სული ირეკლება პერსონაჟებში და მოთხრობაც ისევე ნაადრევად წყდება, როგორც თენგიზ პატარაიას სიცოცხლე.

**ანდრო ბუაჩიძე**

## და გაშავდა მზე...





საჩხერე, 1 მაისი



## მოსაგონარი

ძნელია წერო მეგობარზე, კოლეგაზე, სულიერად უაღრესად ახლობელ ადამიანზე წარსულ დროში, თანაც ისეთ სიცოცხლით აღსავსე, დაუდეგარ პიროვნებაზე, როგორიც ამირან ლომთაძე იყო.

საქართველოს აღმოსავლეთმცოდნეთა ოჯახში ამირან ლომთაძემ 1954 წელს შემოდგა ფეხი, როგორც უაღრესად ნიჭიერმა სტუდენტმა და დღევანდლამდე იყო ამ დიდი ოჯახის ღირსეული წევრი.

სპარსული ენის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, შეხამებული მშობლიური ენის, კულტურის სიყვარულთან მას საშუალებას აძლევდა შესანიშნავად ეთარგმნა საშუალო საუკუნეების სპარსული პროზის ისეთი ძეგლები, როგორიც არის „ყაბუს ნამე“, „სინდბად ნამე“, „თუთი ნამე“ და სხვანი... ეს თარგმანები ღირსეულ ადგილს დაიკავებენ ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების საგანძურში, როგორც ჭეშმარიტი პროფესიონალიზმის ნიმუშები.

მას მთარგმნელობით მოღვაწეობაში ხელს უწყობდა დახვეწილი გემოვნება, ფართო განათლება და ის თანდაყოლილი ესთეტიზმი, რომელიც იგრძნობოდა არა მხოლოდ მის ლიტერატურულ აზროვნებაში, არამედ ცხოვრებისეულ ყოფაშიც.

მისი პატარა ბინა ლევან გოთუას ქუჩაზე, რომელშიც ივნენ შეყუჟულნი — ამირანი და მისი უმცროსი და მედიკო, წარმოადგენდა ხელოვნების პატარა სამლოცველოს, მშვენიერი ნახატებით, დიდებული წიგნებით, ალბომებით, ნივთებით, რომლებიც ნათლად მეტყველებდნენ მათი პატრონების დახვეწილ სულზე.

ამირან ლომთაძე ლაღი და თავისუფალი პიროვნება იყო. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა რაღაც პირობითობებს, ტიტულებს, ხარისხებსა თუ წოდებებს. ისე ცხოვრობდა, როგორც უნდოდა. უნდოდა კი მხოლოდ სიკეთე. მის ნათელ არსებაში არ მოიძებნებოდა ისეთი კუთხე-კუნჭული, რომელშიც ბოროტება შეძლებდა თავის შეფარებას.

იგი წარმოშობით ჭეშმარიტი ქუთაისელი იყო (ეს მის ცინცხალ იუმორშიც ჭარბად იგრძნობოდა), და როდესაც ქუთაისის ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში მიიწვიეს ლექციების წასაკითხავად, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. როგორი ხალისით მიიჩქაროდა ხოლმე თავის მშობლიურ ქალაქში, რათა თავისი ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდა თაობისათვის გადაეცა.

ვაი, რომ მოულოდნელად და უეცრად მოესწრაფა სავალი გზა. ვეღარც თავის „თუთი ნამეს“ გამოსვლას მოესწრება, რომელსაც ცოტა ხანში გამოსცემს საქართველოს მთარგმნელთა ასოციაცია.

კაცურად იცხოვრა. უჩუმრად წავიდა და დაგვიტოვა ნათელი დარდი.

მაგალი თოდუა, ალექსანდრე ვეახარია, ჯემშიდ გიუნაშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი.

## და გაშავდა მზე...



საჩხერე, რკინიგზის სადგური



## გულისტკივილით გემშვიდობებით

ძალიან გვიყვარდი და დიდი გულისტკივილი მოგვაყენა შენთან დამშვიდობებამ, ჩვენო ჯემალ!

ჯემალ გოკიელი — ეს სახელი არა მარტო მუსიკოსებში, არამედ შენს დიდ საძმოშიც კეთილშობილების, კაცთმოყვარეობისა და მაღალი პროფესიონალიზმის ასოციაციას იწვევს. შენთვის არ არსებობდა დიდი და პატარა, ჩინიანი და უჩინო: შენ ყველას თავისას უზღავდი და სიყვარულს არ აკლებდი. შენთვის სისხლხორცეული იყო უშუალობა, გულითადობა. საოცრად ხათუთი მეუღლე, მამა და ბაბუა იყავი.

პროფესიონალიზმის გზა ერთობ ხაშური გქონდა; აბსოლუტური სმენით, ნებისმიერი სირთულის სწრაფად დაძლევის უნარით, მუსიკალური ალღოთი გამოირჩეოდი. სწორედ ამ თვისებებმა მიგიყვანეს ლეგენდარულ ევგენი მიქელაძესთან, რომლის ხელდასმით შეუდექი დირიჟორის ურთულეს პროფესიას, ჯერ კიდევ თოთხმეტი წლისამ უდირიჟორე ბერლიოზის „ფანტასტიკურ სიმფონიას“ და შემდგომი სადირიჟორო წვრთნაც ერთობ შედეგიანი იყო. შენ იყავი ქართული მუსიკის ერთ-ერთი გულმხურვალე პროპაგანდისტი, ქართველ კომპოზიტორთა დიდი მეგობარი.

დიდი შემოქმედებითი ძალით გვიპყრობდი მსოფლიოს კლასიკური მუსიკის საუკეთესო ნიმუშების შენეული ინტერპრეტაციით. შენი რომანტიკული ბუნება მჟღავნდებოდა ნებისმიერი ნაწარმოების შესრულებისას.

საქართველოში მსოფლიო მასშტაბის არაერთი მუსიკოს-შემსრულებელი ჩამოსულა საგასტროლოდ და მრავალი მათგანისთვის ღირსეული პარტნიორობა გაგიწევია.

ძალზე ხათუთად ეკიდებოდი მოზარდთა ანსამბლურ წვრთნას და თაობათა მრავალი წარმომადგენელი აზიარე დიდ ხელოვნებას, რომლებიც დღესაც მადლიერებით გიგონებენ.

დაუვიწყარია შენი იუმორი, რომლითაც უკიდურესი დაძაბულობისასაც კი გვახალისებდი და გვიმსუბუქებდი ყოფის სირთულეს.

ჩვენო ძვირფასო მეგობარო, დაე ასევე მსუბუქი იყოს შენთვის დამოუკიდებელი საქართველოს მიწა, რომლისთვისაც უკანასკნელად სიხარულის ცრემლი ღვარე და რომელსაც შენ ერთ-ერთი პირველი მიგაბარეთ.

ანდრია ბალანჩივაძე, ოდისეი დიმიტრიადი, ნიკოლოზ გუდიაშვილი, ფელიქს ლლონტი, გულბათ ტორაძე, ოთარ გორდელი, იუნონა აფაქიძე.

## სამაგალითო, დაუვიწყარი

დიდი გულისტკივილით განვიცადე ჩვენი საყვარელი ბატონი ჯემალ გოკიელის წასვლა ამ ქვეყნიდან. იგი გახლდათ მაღალი ნიჭით, მუსიკალურობითა და მომხიბვლელობით დაჯილდოებული ადამიანი. მისი გულისხმიერი დამოკიდებულება მუსიკისადმი, კოლეგებისადმი, ახალგაზრდობისადმი და, განსაკუთრებით, ბავშვებისადმი, სამაგალითო იყო და დაუვიწყარი.

ჯემალ გოკიელის ხანგრძლივმა და ნაყოფიერმა ურთიერთობამ საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ნათელი და შთამბეჭდავი კვალი დატოვა ქართულ მუსიკალურ საშემსრულებლო ხელოვნებაში.

ჯანსუღ კახიძე

## მონატრება

ამ სტრიქონებს, რასაც ახლა თქვენ კითხულობთ, გახსენებას ეძახიან. რატომ ჰქვია ასე, არ ვიცი. გახსენება ხომ მივიწყებულისა იქნება. ჯემალ გოკიელს კი ბევრი, ძალზე ბევრი, ვინც მას იცნობდა, ვერ დაივიწყებს. განა შეიძლება დაივიწყო სიკეთე? ნიჭიერება? ადამიანი, რომელიც საკუთარი ინიციატივით, სმენით აღადგენდა ზოგიერთ დაკარგულ პარტიტურებს იმისთვის, რომ მუსიკალური სკოლების პატარა შემსრულებლებს შესაძლებლობა ჰქონოდათ ორკესტრთან ერთად კონცერტზე გამოსულიყვნენ: ადამიანი, რომელიც დაუღალავად ილვწოდა ქართული მუსიკის პროპაგანდისათვის. რამდენი რეცენზია უცხოური, თუ შინაური თავისთვის ჰქონდა შენახული, და არავინ არ შეუწუხებია — არიქა, ჩემზე ასე სთქვეს და ყურადღება მომაქციეთო. 70 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო ტელეგადაცემაც ლამის ძალისძალაობით გადაიღეს. იმ გადაცემაში მეც მივიღე მონაწილეობა და მახსოვს მეორე-მესამე დღეს ქუჩაში რამდენიმე უცნობმა გამაჩერა, მკითხეს „მართლა 70 წლის იუბილე იყო თუ მოგვეხმაო“. ჩემი პასუხის შემდეგ კი თქვეს „რა საოცრად კეთილი კაცი ყოფილა ბატონი ჯემალი, რომ ასე შეუნარჩუნებია ახალგაზრდული სულიო“. მაშინ ამ სიტყვებისთვის არც კი მიმიქცევია ყურადღება, იმდენად ჩვეულებრივად ჩავთვალე. ახლა კი ვფიქრობ, ალბათ მხოლოდ ასეთ კეთილ ადამიანს აქვს ჭეშმარიტი უფლება იყოს ხელოვანი, რადგან ღვთისაგან მინიჭებული ამ ორი მადლით შეიძლება „მოყვასსა შენსა“ მიანიჭო სულიერი ბედნიერება. ალბათ ამიტომაც არის, რომ ჯემალის ხსოვნას მხოლოდ ერთი სახელი შეიძლება უწოდო — მონატრება.

ნოდარ მამისაშვილი


მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი მამუკა წიკლაური.



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-08; 99-08-65. 98-88-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალებს ავტორებს არ ვუბრუნებთ.

ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO“
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
გამოდის პარასკეობით